გამოდის ორშაბათობით

№42 (306)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქართული სიტყვა

ფასი 1 ლარი

28 ოქტომბერი – 3 ნოემბერი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

ვალერი გელბახიანი: „ხელისუფლება „ნაციონალების“ პროვოკაციას წამოეგო!“

გვ-10-11 გვ.

„თუ სიმართლე თქვი, ე.ი. „ნაციონალი“ ხარ!“

სახელმწიფო გადატრიალების უცნობი დეტალები

გვ-2-3-4 გვ.

„კარგად დაიმახსოვრონ: კოტე ფორჩხიძეს „ბეტერიც“ ვეღარ გააჩუმებს!“

როგორ დაუმტკიცებენ „ნაციონალებს“ შეთქმულებას — ქართველი სპეცსამსახურების საბედისწერო შეცდომა

„როცა ლაპარაკი ცენტრალურ ტერორზე, ე.წ. ცე-ტე-ზე, სახელმწიფო გადატრიალებასა თუ შეიარაღებულ ამბოხზეა, პირველ რიგში, სასიგნალო ინფორმაცია ფიქსირდება, რომლის გადამოწმებასაც დრო — ერთიდან სამ თვემდე სჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იმის თქმა, სინამდვილეში, საქმე რასთა[illegible] გვაქვს, თორემ მედიაში გასულ ინფორმაციაზე მეორე დღესვე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არ ხდება“.

„თუ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა რეალურია, ამის შესახებ სპეცსამსახურის ხელმძღვანელობა საჯარო განცხადებას არ უნდა აკეთებდეს... ოპერატიული მუშაობა უნდა დაწყებულიყო და საზოგადოებისთვის მაშინ ეთქვათ, როცა ლეგალიზაციისთვის საჭირო მასალა ექნებოდათ... „ვინმე ქალის“ სიკვდილი სახელმწიფო გადატრიალება კი არა, კრიმინალია... სიმართლე გითხრათ, ასეთი გამოძიების არ მწამს!“

„ოცნების“ დეპუტატს კოკა ყანდიაშვილი კინაღამ შემოელახა

გვ-8-9 გვ.

ომარ ნიშნიანიძე: „შეგვეძლო, ხალხისთვის მეტი დაგვენახებინა და მეტი შედეგი მიგვეღო!“

„ჩვენი უნიათობა იმაში გამოიხატა, რომ კოჰაბიტაციას შევრჩით და ყოფილი რეჟიმი არ გავასამართლეთ. დანაშაულისთვის, ჩვენც რომ არ წაგვეცდეს, ხელი უნდა მივაჭრათ, ვინც თუნდაც ის ჩაიდინა, კადრებზე რომაა ასახული. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ამას გავაკეთებდი, თუმცა ძალიან ლიბერალი ვარ და ფეხს ჭიანჭველასაც არ დავაბიჯებ.“

„ქიბარ ხალვაში კომერსანტი კაცია, ორივე მხრიდან ფულს შოულობს“

გვ-10-11 გვ.

„ქიბარ ხალვაში „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ შექმნილი ბიზნესმენია, რომელმაც ყველა მსხვილი ტენდერი მოიგო, მისი ფირმების მეშვეობითა და სახელმწიფო ფულით ააშენეს ყველა ციხე, სხვა უამრავი პროექტი განახორციელეს. ყველაფერ ამით ქიბარმა უზარმაზარი კაპიტალი დააგროვა...“

„ციყვი“ პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს!

გვ-12 გვ.

დავით გოგიშვილი: „იუმორი ტინგიცობასა და მაიმუნობასთანაა გაიგივებული!“

ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

როგორ დაუმტკიცებენ „ნაციონალებს“ შეთქმულებას – ქართველი სპეცსამსახურების საბედისწერო შეცდომა

ქართულ პოლიტიკაში „პრემიერა“ არ უყვართ და უპირატესობას რეტროს ანიჭებენ. ყოველ შემთხვევაში, ის, რასაც 315-ე მუხლი, ანუ სახელმწიფო გადატრიალებისა და ხელისუფლების დამხობის მცდელობა ჰქვია, არაერთხელ „გვინახავს“. ეს „კინო“ კი, ყველაზე „მძაფრსიუჟეტიანი“ 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ იყო, როცა „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ მაშინდელ ოპოზიციონერებზე სისხლის სამართლის საქმე სწორედ ამ ბრალდებით აღძრა და, მაგალითად, გოგა ხაინდრავასა და სხვებს ფარული ჩანაწერებიც გამოუქვეყნა... ფარული ჩანაწერები, უფრო სწორად, საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი ახლაც გამოქვეყნდა. მოკლედ, „სცენარი“ ძველია, უბრალოდ, „მთავარმა პერსონაჟებმა“ როლები გაცვალეს... ახალი „ძველი კინოს“ „ქეისი“ ასეთია: ე.წ. უკრაინული ვიკილიქსი, რომელსაც რუსული „ფესვები“ აქვს, მიხეილ სააკაშვილისა და გიგა ბოკერიას საუბრის სტენოგრამას აქვეყნებს. ამავე წყაროს მტკიცებით, საქართველოს პრეზიდენტყოფილისა და უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის „საიდუმლო სერობა“ თურქეთში, ათა თურქის აეროპორტში შედგა. ყველაფერ ამას, როგორც ირკვევა, კონტრდაზვერვის მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციაც დაემატა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა, თუმცა უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში განმარტავს, რომ შეთქმულების მუხლით საქმის აღძვრა ასე ჰაი-ჰარად არ ხდება. ფორჩხიძის ნათქვამი სარწმუნო იმიტომაცაა, რომ სპეცსამსახურში მუშაობის დიდი სტაჟი და გამოცდილება აქვს, თან „ქართული სიტყვა“ უკვე წერდა, რომ მისი, ასე ვთქვათ, ერთ-ერთი ხაზი სწორედ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობის გამოაშკარავება იყო... ასე და ამგვარად, რა შეცდომა დაუშვეს ჩვენმა ძალოვანებმა და როგორ დაუმტკიცებს „ოცნება“ „ნაციონალებს“, რომ ხელისუფლების დამხობას აპირებენ? – „ქართული სიტყვა“ აგრძელებს სკანდალური ექსკლუზივების ციკლს ქართველ სპეცსამსახურელთან, რომელიც, სხვათა შორის, აცხადებს, რომ მისი გაჩერება „ბეტეერსაც“ აღარ შეუძლია...

– ბატონო კოტე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, კონტრდაზვერვის მონაცემებსა და მედიაში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით, გამოძიება დაიწყო, საქმე სახელმწიფო გადატრიალებას ეხება...

– საერთოდ, შეთქმულების დადგენა ძალიან რთულია და იმ სამსახურების მხრიდან, ვისაც ევალებათ, სკურპულოზურ მუშაობას მოითხოვს... ისე, კონტრდაზვერვის, ანუ ოთარ კუპრაშვილისა და იმ ყოფილი „ნაციონალების“ მიერ, რომლებიც დღესაც იქ სხედან, არ ვიცი, რა ინფორმაციებია მიწოდებული, მაგრამ შემიძლია, იმ ტექნოლოგიაზე ვილაპარაკო, რომლითაც სპეცსამსახურები აღნიშნულ საკითხზე მუშაობენ ხოლმე: როცა ლაპარაკი ცენტრალურ ტერორზე, ე.წ. ცე-ტე-ზე, სახელმწიფო გადატრიალებასა თუ შეიარაღებულ ამბოხზეა, პირველ რიგში, სასიგნალო ინფორმაცია ფიქსირდება, რომლის გადამოწმებასაც დრო – ერთიდან სამ თვემდე სჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იმის თქმა, სინამდვილეში, საქმე რასთან გვაქვს, თორემ მედიაში გასულ ინფორმაციაზე მეორე დღესვე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არ ხდება.

– სხვათა შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არ დაუკონკრეტებიათ, საქმის აღძვრას საფუძვლად მედიაში გამოქვეყნებული კონკრეტულად რომელი ინფორმაცია დაედო, თუმცა არსებობს ეჭვი, რომ ლაპარაკია ე.წ. უკრაინული „ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებულ სააკაშვილ-ბოკერიას საუბრის სტენოგრამაზე. ამავე წყაროს მტკიცებით, ყოფილი პრეზიდენტი და უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ერთმანეთს თურქეთში, ათა თურქის აეროპორტში შეხვდნენ...

– სწორედ ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ სისხლის სამართლის ამ საქმეს შეიძლება, პოლიტიკური ნიშნები ჰქონდეს და შეკითხვებსაც ეს ბადებს.

– „პოლიტიკურ ნიშნებში“ რას გულისხმობთ?

– რას და, – დროის ასეთ მცირე მონაკვეთში, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის, ოპერატიული მასალის მოპოვება შეუძლებელია.

– ოპერატიული მასალისა და მტკიცებულებების გარეშე საქმის აღძვრა არ შეიძლება?

– თუკი მტკიცებულებები არ გაქვს, როგორ შეიძლება, საქმე აღძრა? სხვათა შორის, საქმის აღძვრა არც ერთი წყაროსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება და ყველა ქვეყანაში ასეთი წესია. მოკლედ, ეჭვი მეპარება.

– რაში?

– მგონია, რომ ასეთი აჟიოტაჟის შექმნა წყალს ორივეს – „ნაცმოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ წისქვილზე ასხამს. გახსოვთ, 90-იან წლებში, საქართველოდან იგორ გიორგაძე რომ გაიქცა და მერე, სულ გაიძახოდნენ, „ბუა მოდის, ბუა მოდისო“. მანამდე, „ზვიადი ჩამოდის, ზვიადი ჩამოდისო“... დღესაც ყველაფერი ხალხზეა გათვლილი.

– რა მიზნით?

– დასაშინებლად...

– შეიძლება, მაგრამ ეს „კინო“ 2007 წელს უკვე ვნახეთ, ეგაა ოღონდ, მაშინ „ნაციონალებმა“ ფარული ჩანაწერები გაავრცელეს, სადაც გოგა ხაინდარავაც ფიგურირებდა და რუს გენერალს „მაესტროს“ უწოდებდა...

– ცალკე საუბრის თემაა, ეგ ჩანაწერები როგორ იყო გაკეთებული, მაგრამ მაშინდელი და დღევანდელი მოვლენები, დაახლოებით, ერთი ტექნოლოგიაა. არადა, ეს ტექნოლოგია საჭირო არ არის. თუ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა რეალურია, ამის შესახებ სპეცსამსახურის ხელმძღვანელობა საჯარო განცხადებას არ უნდა აკეთებდეს.

– ანუ, საქმე ისე უნდა აღძრულიყო, რომ არაფერი გვცოდნოდა?

– რა თქმა უნდა. ოპერატიული მუშაობა უნდა დაწყებულიყო და საზოგადოებისთვის მაშინ ეთქვათ, როცა ლეგალიზაციისთვის საჭირო მასალა ექნებოდათ.

– უკრაინული ე.წ. ვიკილიქსის მიერ გავრცელებულ ზემოხსენებულ სტენოგრამაში, რომლის ავთენტურობაც უცნობია, ნათქვამია, ვინმე ქალი უნდა მოკვდეს, რაც ხალხის აღშფოთებას გამოიწვევსო...

– „ვინმე ქალის“ სიკვდილი სახელმწიფო გადატრიალება კი არა, კრიმინალია. გარდა ამისა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურები დარწმუნებულნი არიან, რომ ვინმეს სიკვდილი საზოგადოებას აღაშფოთებს? ხალხის განწყობა შესწავლილი აქვთ? საზოგადოება აღშფოთებას იმაზე არ გამოხატავს, „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობის“ კადრებს რომ „ხმარობს“, რომლებიც რეჟიმს 9 წელი ემსახურებოდნენ და 7 ნოემბერი თუ სხვა სისხლიანი თარიღები შექმნეს. აქ ლაპარაკი მხოლოდ მიშა სააკაშვილზე არაა, რომელიც ბრძანებას „გადააგდებდა“, ვიღაცები ამ ბრძანებას ხომ ასრულებდნენ და, შე მამაცხონებულო, თანამდებობაზე რაღას გისხედან? თუკი ბაჩო ახალაია ცუდია და დაიჭირე, გამაგებინე, მის კადრს კონტრდაზვერვაში რატომ ტოვებ? სიმართლე გითხრათ, ასეთი გამოძიების არ მწამს!

– უკრაინული ე.წ. ვიკილიქსის მონაცემებითვე, სირიაში დატრიალებული ამბების უკანაც, თურმე, „ნაციონალები“ დგანან და ამის დასტურად სააკაშვილ-კეზერაშვილის „სტენოგრამა“ გამოქვეყნდა...

– სისულელეა! ჩვენ ჩვენი მკვდარი ვიტიროთ და თავი დავანებოთ, უკრაინაში ვინ რას წერს...

– ისე, დადასტურდა, რომ უკრაინული ე.წ. ვიკილიქსი რუსული საიტია...

– მოდით, საკითხი ასე დავსვათ: წელიწადზე მეტია, ამერიკული „ვიკილიქსის“ მასალებზე ვლაპარაკობთ...

– საგულისხმოა, რომ გამოძიებამ ვერც ამ ნამდვილი „ვიკილიქსის“ გამოქვეყნებული მასალები დაამტკიცა...

გარდა ამისა, „ქართულ სიტყვაში“ ამერიკული დოკუმენტაციაც გამოვაქვეყნე, მაგრამ საქმე ამაზე არ აღძრეს, არადა, სწორედ ეს მასალები ნათელყოფს, რომ „ნაციონალები“ ქვეყნისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ. იცით, რა მგონია? – ყველაფერი ეს ჩვეულებრივი პოლიტტექნოლოგიის უნიჭოდ შესრულებული ტრიუკია.

– ბატონო კონსტანტინე, შეგიძლიათ, დამისაბუთოთ, „ნაციონალებს“ და „ოცნებას“ ეს აჟიოტაჟი ხელს რატომ აძლევთ?

– „ნაციონალებს“ სურთ, დასავლეთში წამებულის იმიჯი შეიქმნან. „ოცნებას“ კი უნდა, ყველაფერი ოპონენტს გადააბრალოს და ამ „ბუა მოდი“-ს ძახილით ხალხი დაზაფროს, თავზე ისევ „ნაცმოძრაობა“ რომ არ დაგაჯდეს, ხმა მე მომეციო, ანუ ორივეს ძალიან მარტივი გათვლა აქვს. „ნაცმოძრაობის“ არც აპოლოგეტი ვარ და არც მისი დამახინჯებული პროდასავლური იდეოლოგიის მწამს, მაგრამ როცა „ქართული ოცნების“ სახელით ვიღაც ტიპები „ნაციონალების“ ოფისებს ესხმიან, შე მამაცხონებულო, ამით ხომ ისედაც გარდაცვლილ, 13-პროცენტიან პარტიას აცოცხლებ? სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილი მართალი იყო, როცა ბოლო სატელევიზიო გამოსვლისას განაცხადა, „ნაცმოძრაობას“ ავტორიტეტი ისედაც არ აქვსო და თუ არ აქვს, მაშინ ასეთი რაღაცები ხელისუფლებას რისთვის სჭირდება?! 20 წელია, ვისმენთ, „ბუა“ მოდისო... იგორ გიორგაძისგან თავის დროზე ლამის ხატი შექმნეს, მერე, გიორგაძე ირაკლი ოქრუაშვილმა ჩაანაცვლა და ახლაც ზუსტად იგივე ხდება – მიშა მოდისო. თუკი გინდა, რომ სახელმწიფო გადატრიალება არ მოხდეს და ისიც იცი, რომ ყველაფერ ამის სათავეში სააკაშვილი დგას, „ოცნება“ რომ ხარ, ხელს რა გიშლიდა, მიშას მიერ ჩადენილი დანაშაულობები აქამდე გამოგეძიებინა?

იარაღით უკანონო ვაჭრობას თავი რომ დავანებოთ, საქმე კონსტიტუციის დარღვევაზე, ან შეიარაღებული ძალების უკანონო გადაადგილებაზე რატომ არ აღძრეს? – იმიტომ, რომ გამალიზიანებელი ჰქონოდათ და ეს ხელისუფლების შენარჩუნების ერთ-ერთი ძალიან ცუდი მეთოდია.

– 315-ე მუხლის პოლიტიზირება გასაგებია, მაგრამ წამების ამსახველი კადრების ლამის ყოველდღიური გავრცელების მიზანი რაღაა? – ხალხში აგრესიის ფორსირე-

გაგრძელება მე-3 გვ.

მამუკა მიდელაშვილს

გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს,საამაყო ქართველი ხარ, ღირსეული თვისებებით გამორჩეული. ხელოვნების თაყვანისმცემელი, პოეზიის უსაზღვროდ მოტრფიალე. იხარე და იბედნიერე, მრავალჟამიერ.... ძალიან მიყვარხარ....

***

**ლექსებს დაეწვეთა შენი ღიმილები,
პარნასს შეხიზნული ლამაზ პოეზიად,
თუკი ჩამოჰყვება მჩქეფავ ჩანჩქერებთან,
ნუღარ გადამიქცევ ხვალეს ამნეზიად...
ახლა სიყვარულის ფუნჯით ვხატავ ფიქრებს,
მწითურ შემოდგომას ცვივა რტოებიდან,
ფეხქვეშ ხალიჩებად გზებზე დაგეგება,
ვინძლო, გამოვიქცე განმარტოებიდან...
მე ხომ პოეტი ვარ შენი მონატრების,
სევდით გარითმული ვაჟას პოემიდან,
ნისლში დაცურავენ დღე და ღამის ტრფობა,
ჩუმი მოლიცინე, მთვრალი ბოჰემიდან...
ლექსებს გაემიჯნა გრილი შემოდგომა,
ყველა სისუსხე და ბნელი ამნეზია,
მე ხომ პოეტი ვარ ღმერთთან მოსაუბრე,
ჩემი მუზა ხარ და ჩემი პოეზია...**

ნინო კემულარია

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

28 X- 3 XI | № 42 (306) | 3

სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

ბა? მოკლედ, როგორც უსაფრთხოების ექსპერტი, ბატონო კოტე, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნებს ხედავთ?

— ივანიშვილმა თქვა, ასეთი ნიშნები არ არსებობსო. სამოქალაქო დაპირისპირება მაშინაა, როცა საზოგადოება გახლეჩილია, ხელისუფლება სიტუაციას ველარ მართავს და ხალხს ამ პირობებში ცხოვრება აღარ შეუძლია... ისეთი განცხადების გაკეთება კი, რომელიც პრემიერმა გააკეთა, მე თუ მკითხავთ, არ შეიძლება, რადგან ამით განაწყენებულ საზოგადოებას ქვეცნობიერად „ნაციონალების“ ჩაქოლვის საშუალებას აძლევ, აი, „ნაციონალები“ თუ დაბრუნდებიან, წამება, გაუპატიურება და ნარკოტიკის ჩადებაც დაბრუნდებაო.

— წამების ამსახველი კადრები ე.წ. სამეგრელოს სამალავებში, კასრებში, „ოცნებამ“ სამი წლის წინ აღმოაჩინა. დღეს ყველაზე აქტუალურია შეკითხვა: რამდენიმე ადამიანის გარდა, ყველა მწამებელი დასჯილია თუ არა? ამ კონტექსტში ხშირად ახსენებენ, მაგალითად, კოხტა კოდუას...

— კოხტა კოდუა გაიქცა... ამ კადრების დღეს გამომზეურება კი, არჩევნების მოახლოებას უკავშირდება.

— მაშასადამე, საქართველოში არჩევნები სექსსა და, როგორც ნიკა გვარამიამ თქვა, პორნოკრატიაზე გადის?

— დიახ, იმ სიტუაციიდან ვერ გამოვედით, რომ პოლიტიკურმა ძალებმა ხმების მოსაპოვებლად კომპრომატების ომი არ დაიწყონ! თუკი გინდა, რომ ხალხმა მხარი დაგიჭიროს, კარგი საქმეები უნდა აკეთო და გაჭირვებულ სოციალურ ჯგუფებს გვერდით დაუდგე.

— და ამ „პოლიტიკურმა პორნოინდუსტრიამ“ „გაზპრომი“, უფრო სწორად, სოკარი-ს განცხადება დაგვავიწყა. აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია აცხადებს, საქართველოს გაზით სრულად მომარაგების პრობლემა არ მაქვს და „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები რა საჭიროაო... სოკარი-ს ეს განცხადება, უდავოდ, პოლიტიკურია, არა?

— რა თქმა უნდა. ვანო, კარგად აღნიშნეთ, რომ სოკარი, „გაზპრომის“ მსგავსად, სახელმწიფო კომპანიაა. შესაბამისად, მისი ნებისმიერი განცხადება ოფიციალური ბაქოს განცხადებად უნდა მივიჩნიოთ.

— ეს იქიდანაც გამოჩნდა, რომ ბაქოს, დაუგეგმავი ვიზიტით, ჩვენი პრემიერი ესტუმრა...

— დიახ, აზერბაიჯანში გიორგი კვირიკაშვილიც იმყოფებოდა და საკმაოდ კარგი შეხვედრები გამართა, პრეზიდენტ ალიევსაც შეხვდა და, როგორც ვიცი, სწორედ გეოსტრატეგიული საკითხები განიხილეს, ანუ ქართულმა მხარემ ოფიციალურად იკითხა, აზერბაიჯანი საგარეო ვექტორს ხომ არ იცვლის.

— ანალოგიური შეკითხვა ქართულ მხარესთან შესაძლოა, ოფიციალურ ბაქოსაც აქვს, მით უმეტეს, „გაზპრომთან“ მოლაპარაკების ფონზე...

— აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესებზე წინა ინტერვიუებში ვისაუბრეთ და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ყველაფერ ამის გათვალისწინება აუცილებელია. რაც შეეხება „გაზპრომს“, მისგან 420-დოლარიანი გაზის ყიდვა, რომელიც აზერბაიჯანულ გაზზე ორ-სამჯერ ძვირია, საჭიროებას არ წარმოადგენს, რადგან საქართველოში გაზის მოხმარება არ გაზრდილა.

სხვათა შორის, ყურადღება მხოლოდ „გაზპრომზე“ კი არა, „როსნეფტზეც“ უნდა

გავამახვილოთ, რომელიც პოზიციებს ბათუმის პორტშიც იმაგრებს. თავის დროზე ვთქვი, რომ „როსნეფტის“ საქართველოში შემოსვლა სოკარი-ს ჩაჩოჩებას ნიშნავდა და ასეც ხდება. ენერგომომარაგების კუთხით, ჩვენი ძირითადი პარტნიორი აზერბაიჯანია და „გაზპრომის“ თუ „როსნეფტის“ შემოყვანით მას ვეუბნებით, დივერსიფიკაციას ვახორციელებთო. ოკუპანტთან კი, დივერსიფიკაცია არაფერში წაგვადგება. დივერსიფიკაცია მხოლოდ სტრატეგიულ პარტნიორებს შორის შეიძლება...

— არსებობს მოსაზრება, რომ აზერბაიჯანი აფხაზეთის რკინიგზის აღდგენითაც განაწყენებულია...

— ყარსის რკინიგზის გახსნა გაიწელა, მაგრამ როგორც კი გაიხსნება, ჩრდილოეთისა და იგივე აფხაზეთის რკინიგზასთან დაკავშირებული საუბრები შენელდება. რუსეთი ცდილობს, რომ ამ მაგისტრალის გახსნა არ მოხდეს, რადგან მისთვის ეს გეოსტრატეგიულად ძალიან ცუდია... მოკლედ, რუსეთი თავის საქმეს აკეთებს და, როგორც ვიცი, ე.წ. აფხაზეთის რკინიგზა უკვე გალამდეა მოყვანილი. აფხაზეთის რკინიგზა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მხოლოდ რუსეთისთვის კი არა, სომხეთისთვისაცაა, რადგან ამ ქვეყნის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია. სხვა თუ არაფერი, სომხეთის მოსახლეობის 43 პროცენტი ემიგრაციაშია, სომხური ვალუტა კი, ლარზე სამოთხჯერ მეტად გაუფასურდა. ამიტომაც ხალხის უკმაყოფილება მაქსიმალურად გაზრდილია...

სხვათა შორის, აფხაზეთში სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა.

— რას გულისხმობთ?

— ჩემი იფორმაციით, ზუგდიდსა და სხვა მიმდებარე რაიონებიდან აფხაზეთში მოსახლეობა სამუშაოდ მიდის.

— გალში?

„თუ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა რეალურია, ამის შესახებ სპეცსამსახურის ხელმძღვანელობა საჯარო განცხადებას არ უნდა აკეთებდეს... ოპერატიული მუშაობა უნდა დაწყებულიყო და საზოგადოებისთვის მაშინ ეთქვათ, როცა ლეგალიზაციისთვის საჭირო მასალა ექნებოდათ... „ვინმე ქალის“ სიკვდილი სახელმწიფო გადატრიალება კი არა, კრიმინალია. გარდა ამისა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურები დარწმუნებულნი არიან, რომ ვინმეს სიკვდილი საზოგადოებას ალაშფოთებს? ხალხის განწყობა შესწავლილი აქვთ? საზოგადოება აღშფოთებას იმაზე არ გამოხატავს, „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობის“ კადრებს რომ „ხმარობს“, რომლებიც რეჟიმს 9 წელი ემსახურებოდნენ და 7 ნოემბერი თუ სხვა სისხლიანი თარიღები შექმნას. აქ ლაპარაკი მხოლოდ მიშა სააკაშვილზე არაა, რომელიც ბრძანებას „გადააგდებდა“, ვიღაცები ამ ბრძანებას ხომ ასრულებდნენ და, შე მამაცხონებულო, თანამდებობაზე რაღას გისხედან? თუკი ბაჩო ახალაია ცუდია და დაიჭირე, გამაგებინე, მის კადრს კონტრდაზვერვაში რატომ ტოვებ? სიმართლე გითხრათ, ასეთი გამოძიების არ მწამს!“

— არა, უფრო სოხუმსა და გაგრაში.

— და ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველები რაზე მუშაობენ?

— მშენებლობაზე.

— ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე უპრობლემოდ გადადიან?

— დიახ. ყოველ შემთხვევაში, „საზღვრის“ გადაკვეთაში ხელს არც რუსი ე.წ. სამშვიდობოები უშლიან და არც — აფხაზები. გარდა იმისა, რომ აფხაზეთში სამუშაოდ წასული ქართველები, თვეში, 1000-1500 დოლარს გამოიმუშავებენ, ამაში სხვა რამეცაა ჩადებული.

— სახელდობრ?

— რუსული იდეოლოგია, აი, რუსეთი რა კარგია, სამუშაო ადგილებს ქმნისო, ანუ სამეგრელოში ნელ-ნელა ისეთი განწყობის დათესვა ხდება, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს დასავლეთი აღარ უნდა. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ სამეგრელოში პოლიტიკური ძალებიდან ყველაზე აქტიური პრორუსული პარტიები არიან. მართალია, ზუგდიდში „ეროვნულების“ შტაბი გახსნეს, მაგრამ ნინო ბურჯანაძის წარმომადგენლები, როგორც ვიცი, სერიოზულად მუშაობენ. იქ მოსახლეობას აღარც „ნაციონალების“ გაგონება უნდა და აღარც — „ქართული ოცნების“. ვანო, თუ გახსოვთ, თავის დროზე გამოვთქვი ვარაუდი, რომ რუსეთი კონფლიქტის ზონის მიმდებარედ ისეთ ველს შექმნიდა, მოსახლეობაში განწყობები შეეცვალა და ამას ნელ-ნელა აკეთებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მომაწოდეს: სამეგრელოში რუსული ინვესტიციით შესაძლოა, ხილის ქარხანა და, ასევე, ზუგდიდის ქაღალდკომბინატი ამუშავდეს. ყოველ შემთხვევაში, ამ კუთხით რუსული კაპიტალის შემოსვლაზე ლაპარაკი აქტიურად მიმდინარეობს.

— მაშასადამე, ბატონო კოტე, თქვენი ლოგიკით, ყველაფერი, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, ყურადღების გადატანის ერთგვარი ფანდია, სინამდვილეში კი, რუსეთი ოკუპირებულ საქართველოში თავის საქმეს მშვიდად აკეთებს?

— დიახ, ნამდვილად ასეა. „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით ქიბარ ხალვაშის გააქტიურებასაც ამავე კონტექსტში განვიხილავ — ყველამ კარგად ვიცით, ხალვაშის უკან რომელი „კანტორაც“ დგას... ხალვაში იმას აკეთებს, რაც დაავალეს — სამი წელია, „რუსთავი 2“ არ გახსენებია და რაღა მაინცდამაინც ახლა გაახსენდა?

წეღან ვთქვი, ეს ველი „ნაცმოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ რაშიც აწყობთ, მაგრამ აქ ყველაზე მთავარი რუსეთის გეგმაა, ანუ მისთვის უკეთესია, საქართველოში რაც მეტი დაძაბულობა იქნება და ამ სამმაგი თამაშიდან მოგებული მხოლოდ რუსეთი დარჩება. დიახ, ეს რუსული სცენარია და მეტი არაფერი!

გაგრძელება მე-4 გვ.

დედა-ენა

175 წლის იაკობ გოგებაშვილს

ეს შენი დედა-სამშობლო
ამაყობს დედა-ენითა,
ისე, ვით ქართვლის დედაი,
დედა-ქალაქთან შენივთდა.
დედა-ენისა დედანიც,
დედის ერთაა შენითა,
დედულეთიდან მოსულო,
შენს ყველა სიტყვას შევრითმავ.
ვაჰ, რა დრო გამოგივლია,
შენ ხომ ქართველთა მოძმის ხარ,
ვითარცა დიდი ილია,
ქართველთა დედა-ბოძი ხარ!

ჯანსუღ ჩარკვიანი

4 | № 42 (306) | 28 X-3 XI

ეროვნული ინტერესი

ლიტერატურული, ეროვნული, ჰოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სპანდალური ექსკლუზივი

მე-3 გვერდიდან

– თქვენი ინფორმაციით, საქართველოს მიმართ დასავლეთის განწყობა შეცვლილია?

– არა! დასავლეთი ჯერ გვაკვირდება და ამ ფონზე საგარეო საქმეთა მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადება ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებაზე ადექვატური იყო.

– კი ბატონო, მაგრამ შიდა არეულობები ვარშავისა და სხვა სამიტებს უსწრებს, ანუ ერთგვარი „დეჟა ვიუ“ არსებობს – 2007 წლის 7 ნოემბერი ბუქარესტის სამიტს უსწრებდა და მაშინ, მახსოვს, ითქვა, ყველაფერი გაკეთდა, რომ მაპ-ი არ მოეცათო...

– შეიძლება, მითხრათ, აზერბაიჯანზე ჩაციკლული ხართო, მაგრამ აზერბაიჯანი იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ შეიცვალა პროევროპული განწყობა – თუკი აზერბაიჯანის მედიას გადახედავთ, ევროპის პირდაპირი ლანძღვა მიდის. ჩვენთანაც, დაახლოებით, ასეთი სიტუაცია მწიფდება. სამეგრელოში მიმდინარე პროცესიც ამის ნაწილია... ყველაფერ ამას ევროპელებიც აკვირდებიან და ერთ მშვენიერ დღეს, რომელიმე ევროპელმა, მაგალითად, იგივე მარტინ შულცმა საქართველოსთან მიმართებაშიც შესაძლოა, ისეთი განცხადება გააკეთოს, როგორიც აზერბაიჯანთან მიმართებაში გააკეთა და ეს კატალიზატორი იქნება, ანუ ასეთ განცხადებას მძლავრი პრორუსული პროპაგანდა მოჰყვება, ევროპელებს ვინ ჰკითხავთო...

– ხელისუფლების მომხრეები „ნაცმოძრაობის“ გასამართლებას დაჟინებით ითხოვენ. პარტიის გასამართლება შესაძლებელია?

– პარტიას ვერ გაასამართლებ, პარტია შესაძლოა, აკრძალო!

– როგორ?

– თუკი „ნაცმოძრაობას“ კონსტიტუციითა და პარტიების შესახებ ორგანული კანონით დადგენილი დანაშაულის ჩადენა დაუმტკიცდა, მაშინ შეიძლება, აიკრძალოს, თან აკრძალვა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია.

– ბოლო დროს გავრცელებული პატიმართა წამებისა და გაუპატიურების კადრები „ნაცმოძრაობის“ ასაკრძალად საკმარისი მასალაა?

– არა. უნდა დაამტკიცო, რომ ამ კადრებში პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობენ, თორემ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელს, კანონით, უფლება არ აქვს, რომელიმე პარტიის წევრი იყოს.

– ეს გასაგებია, მაგრამ მაგალითად, ლალი მოროშკინა და სხვებიც აცხადებენ, რომ გაუპატიურების დავალებას მიშა გასცემდა და შემდეგ, ამ კადრებს უყურებდა...

– უნდა დაამტკიცო, რომ დავალებას საკაშვილი, მერაბიშვილი, ან გიგა ბოკერია გასცემდა, თორემ სიტყვიერი განცხადება არაფერს ნიშნავს. რომ გაიძახიან, აიკრძალოს, აიკრძალოსო, საამისოდ სამართლებრივ საფუძვლებს რატომ არ ამზადებენ?

სხვათა შორის, პოლიტიკური პარტიის აკრძალვის საფუძველი შესაძლოა, ისიც გახდეს, თუკი მისი საქმიანობა სახელმწიფო გადატრიალებასთანაა დაკავშირებული.

– ჰოდა, აი, კვანძიც შეიკრა: ზემოთ 315-ე მუხლი ვახსენეთ და, ეგებ, გამოძიებამ, საბოლოოდ, დაადგინოს, რომ „ნაცმოძრაობა“ სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა...

– პარტიის აკრძალვაზე გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს, მაგრამ რომელ „ნაცმოძრაობის“ აკრძალვაზეა ლაპარაკი, როცა კოხტა კოდუა გაიქცა, მეგის ქარდავა უკრაინაში ციხის უფროსია, სოსო თოფურიძე კი, თურქეთშია. ვკითხულობ: თოფურიძის თურქეთიდან ჩამოყვანას რა უნდა? ან უკრაინიდან მიშას ჩამოყვანაში ხელს რა უშლით? ყველაფერ ამისთვის პოლიტიკური ნება და პროფესიონალიზმია საჭირო და მეტი არაფერი! პარტიას კი არ უნდა ებრძოლო, არამედ, ის უნდა დაამტკიცო, რომ „ნაცმოძრაობაში“ იყვნენ „ტიპები“, რომლებიც ქვეყნის ინტერესებს პირად ინტერესებს ანაცვალებდნენ, მაგრამ ამის თავი არ აქვთ და რა უნდა დაამტკიცონ, ან ვინ უნდა დაამტკიცოს – „ნაცმოძრაობის“ კადრებმა, ვინც გამოძიებაში არიან ჩართულნი?!

„როცა ლაპარაკი ცენტრალურ ტერორზე, ე.წ. ცე-ტე-ზე, სახელმწიფო გადატრიალებასა თუ შეიარაღებულ ამბოხზეა, პირველ რიგში, სასიგნალო ინფორმაცია ფიქსირდება, რომლის გადამოწმებასაც დრო – ერთიდან სამ თვემდე სჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იმის თქმა, სინამდვილეში, საქმე რასთნა გვაქვს, თორემ მედიაში გასულ ინფორმაციაზე მეორე დღესვე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არ ხდება“.

– ბატონო კოტე, რა ამის პასუხია და, როგორც ვიცი, ფილმ „9+1“-ის კონსულტანტობას გთავაზობდნენ...

– დიახ, შემომთავაზეს, რომ კონსულტანტი ვიყო.

– ვინ შემოგთავაზათ?

– გოგა ხაინდრავამ და მასალების ნაწილიც მივეცი.

– რომელი მასალების?

– იარაღით უკანონო ვაჭრობის... გოგამ შემომთავაზა, რომ კონტრაქტს გამიფორმებდა, მაგრამ ფაქტია, თანამშრომლობა არ შედგა.

– ანუ, თუ კონტრაქტს გაგიფორმებდნენ, გარკვეულ ანაზღაურებასაც მოგცემდნენ, არა?

– ალბათ, მაგრამ ფული არ მაინტერესებს.

– აბა, რა გაინტერესებთ?

– გამიჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ვიღაცები, მათ შორის, ალბათ, გოგა ხაინდარავაც, ამ ფილმის შემკვეთს, ბიძინა ივანიშვილს აწვდიან ინფორმაციას, რომ ყველა მასალა მათი მოპოვებულია და ჩვენ, ვინც ვიშრომეთ და ვიწვალეთ არაფერ შუაში ვართ. არ ვიცი, ხაინდარავა ამ მასალებისგან რას გამოიყენებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, „გადაგდებული“ გამოვედი, მაგრამ თბილისელი კაცი ვარ და თავს არავის „გადავაგდებინებ“!

– „გადაგდებული“ რატომ გამოხვედით?

– კონტრაქტი სადაა?

– ვიდრე კონტრაქტი არ იქნებოდა, მასალები რატომ მიეცით?

– ნდობის მომენტი იყო...

მოკლედ, მაინტერესებს, ბიძინა ივანიშვილმა, ვისი შეკვეთითაც „9+1“-ს იღებენ, იცის, რომ სცენარისთვის მასალები ჩვენ მივეცით?

– გოგა ხაინდრავას რამდენჯერ შეხვდით?

– ბევრჯერ...

– საერთოდ, ბატონო კოტე, მსგავსი ფილმის შექმნას როგორ უყურებთ?

– როცა თანამდებობის პირებს ხვდები და ეუბნები, რომ გაქვს მასალები, მაგრამ გამოძიება არ იწყება, გამოსავალი ერთადერთია: რამე ისეთი შეიქმნას, რომელიც ისტორიას დარჩება. ეს ფილმი სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს... მოკლედ, ხაინდარავამ და ყველამ კარგად იცოდეს: თავს არავის „გადავაგდებინებ“! ამ მასალების ექსკლუზივი მე და, სხვათა შორის, „ქართულ სიტყვას“ ეკუთვნის, სადაც იარაღით უკანონო ვაჭრობაზე მასალები ლამის ორი წელია, ქვეყნდება. ნურავის ჰგონია, რომ გამაჩუმებენ. კარგად დაიმახსოვრონ: კოტე ფორჩხიძეს „ბეტეერიც“ ვეღარ გააჩუმებს, ვიდრე საერთაშორისო დამნაშავეთა ჯგუფს, რომლის სათავეშიც მხოლოდ სააკაშვილი, ან მერაბიშვილი კი არა, „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელიც იდგა, პასუხს არ მოსთხოვენ!

ისე, ყველაფერ ამაზე პასუხისმგებლობა თავდაცვის დღევანდელ მინისტრს, ქალბატონ თინა ხიდაშელსა და სხვა ძალოვანი უწყებების პირველ პირებსაც ეკისრებათ...

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თუკი 315-ე მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ერთ-ერთი საფუძველი მედიაში გამოქვეყნებული მასალა გახდა, ამდენი ხანია, იარაღით უკანონო ვაჭრობაზე მასალებს ვაქვეყნებთ და რატომ არ ინტერესდებიან? წესით, აქამდე გამოძიება ცხრაჯერ უნდა ჩაეტარებინათ. მთავარ პროკურორად არჩილ კბილაშვილი რომ იჯდა და ნაადრევ სექსუალურ სიმწიფეზე გველაპარაკებოდა, აშშ-ის ფედერალური ბიურო წერილებს რომ უგზავნიდა, ხალხი დაკითხეო, მაგ მამაცხონებულმა, სისხლის სამართლის საქმე რატომ არ აღძრა? ან ამ თემაზე გამოძიებას კბილაშვილის სამართალმემკვიდრეები რატომ არ იწყებენ?

რაკი იარაღით უკანონო ვაჭრობა ვახსენე, აქვე, ობამას მიერ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე ვეტოს დადებასაც შევეხები, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯია და იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი პოროშენკოს არ ენდობა, ანუ აშშ-ს უკრაინაში ომის ხელახალი ესკალაცია არ აწყობს, რადგან სირიაზეა გადართული.

თუ გახსოვთ, ადრე ვთქვი, თუკი სირიაში შევიდა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ახლო აღმოსავლეთში რუსეთი თავის გეოსტრატეგიულ ამოცანას გადაწყვეტს-მეთქი და, პრაქტიკულად, ასეც მოხდა. სხვათა შორის, ბაშარ ასადი თანახმაა, რომ სირიაში არჩევნები ჩატარდეს, ანუ ყველაფერ ამას დემოკრატიული ფონი ეძლევა და იცით, რატომ? – იმიტომ, რომ სირია ოპეკის ქვეყანაა და იქ რუსეთის ფეხისმოკიდება ერაყის დაკარგვასაც ნიშნავს. ამიტომ, ამერიკელები რუსეთთან შეთანხმებაზე წავიდნენ, რომ დაბომბვაზე ინფორმაციები გაცვალონ და ორივე სახმელეთო ოპერაციებზეც ლაპარაკობს. რუსეთს შეუძლია, სახმელეთო ოპერაციები დამოუკიდებლად ჩაატაროს. საბოლოოდ, ისე გამოვა, რომ მთელი ენერგორესურსები რუსეთის ხელში აღმოჩნდება და მაშინ მსოფლიოს ზესახელმწიფოდ აუცილებლად იქცევა!

– ბატონო კონსტანტინე, წეღან უნდა მეკითხა და დამავიწყდა, შესაძლებელია, სახელმწიფო შეთქმულება ისე მომზადდეს, რომ მასში პოლიცია, ან ჯარი არ იყოს ჩართული?

– გამორიცხულია!

– ანუ, წესით, შეთქმულები ძალოვან უწყებებშიც უნდა ეძებონ?

– ცხადია... ვთქვი და ვიმეორებ: საქმის აღძვრა ნაადრევია...

საერთოდ, სახელმწიფო გადატრიალების სამი გზა არსებობს: შეთქმულება, სამხედრო ამბოხი, ანუ იარაღის გამოყენება და არჩევნები. თუკი გამორიცხვის მეთოდით ვიმსჯელებთ, არჩევნები და რევოლუცია გამორიცხულია, რჩება მხოლოდ სამხედრო ამბოხი, რომელიც სამხედროების გარეშე არ არსებობს...

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი

(თემის გაგრძელება იქნება)

პოეზია

სტეპის ოდისეა

მანასი

ყოველ ერს აქვს თავისი მთავარი წიგნი, ქვეყნის უკვდავების ნიშანსვეტი. ყირგიზი ხალხისთვის ასეთია ეპოსი „მანასი“, რომელსაც იუნესკო-მ „სტეპის ოდისეა“ უწოდა. მე-11 საუკუნის შედევრი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ქართული სიტყვა“ პირველად გთავაზობთ პოემის ქართულ ვარიანტს, რომელიც მაყვალა გონაშვილმა თარგმნა.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ **№41**)

„კოკე-თენგირ, დავრჩი კენტად,
უშვილობის შემჭამს დარდი,
დამიბრუნე სიყმაწვილე
და დედობის მომეც მადლი.
შეიბრალე ჟაკიბ-ბაიც
ვერ გასცურავს სევდის მორევს,
მე თუ არა, ერთი ვაჟი,
გვედრი, მიეც, ჩვენს ბაკდოლეთს.
ცისკენ ლოცვად აპყრობილი
ქალს ხელები დაეღალა,
ცრემლის ტბაში ჩაეძინა,
თვალზე ბინდი დაეფარა.
ცის მინდორზე სავსე მთვარე
გადაგორდა, როგორც ნესვი,
ჩიირდიმ სიზმარი ნახა,
ცხადზე ბევრად უკეთესი:
მას ეზმანა ბერიკაცი,
ჭაღარა და პირად სათნო,
კაცმა უთხრა: ჰე, ჩიირდი,
სევდიანი რისთვის ხარო?
თენგირის დანაბარებით
გული უნდა გაგიხარო.
ნახავ, მალე, სიხარული,
ისე, როგორც კვიცი ურა
მოფრინდება თქვენს ოჯახში
და გაქრება დარდი-ურვა.
კაცი გაქრა და ჩიირდიმ
რა ჩაკბიჩა ტკბილი ხილი,
თითქოს უცებ დაავიწყდა
ამდენი ხნის გასაჭირი.
დაიხედა, ეს რას ხედავს —
უსაშველოდ გაზრდილ მუცელს
და ერთგული, როგორც რაში,
გველეშაპი ფერხთით უწევს:
ძილში შეკრთა ბაიბიჩი,
შიშმა დააფეთიანა,
სიზმარ-ცხადის გასაყართან
თრთოდა ქალი ერთიანად.
და ჟაკიპმაც გაიღვიძა; —
„დასტურ, ვნახავთ ლხენის დღესო,
ამ ჩვენს კარებს, ვიცი ბედი
მალე მიუკაკუნებსო.
ჩემო ცოლო, არ იდარდო,
მოდი, გულით მომენდეო,
მოვიწვიოთ ყველა ჩვენი
ნათესავი, მოკეთეო.
ამიტაცა სიხარულმა
ვერ ვერევი უკვე თავსო,
ეს სიზმარი სასწაული
იქნებ ვინმემ ამიხსნასო.
„მე ჩემს რიგს არ დაველოდე,
შეგაწუხეთ, ვიცი დიდად!“
თქვა უმცროსმა ცოლმა რიდით,
იურტაში შემოვიდა.
„უცნაური რამ მეზმანა,
ვერ მოვსულვარ ახლაც აზრზე,
ჟაკიპ, სიზმრად გნახე წეღან
შევარდენი გეჯდა მხარზე.
ფრთა გაშალა შევარდენმა,
მეც მომნუსხა თვალისარამ,
იურტასთან ჩამოფრინდა,
ძმები ფრთებქვეშ დაიფარა.
ჩიირდიმ თქვა: — „ჩემო ჟაკიპ,
მეტი აბა რა გითხრაო!
სიხარბისთვის კოკ-თენგირმა
უშვილობით დაგსაჯაო.
ახლობლები, მეზობლები
მოიწვიე ყველა სტუმრად,
ყალმუხებს ნუ დაივიწყებ,
არ იძუნწო შენებურად,
რადგან ღმერთი მოწყალეა,
ეს სიზმრებიც, რადგან ვნახეთ,
მაშ გაშალე სუფრა, ჟაკიპ,
ლხინში ყველას დაუძახე!“
დაკლეს ორი აქლემი და
ასი ცხვარი, შვიდი ძროხა.
ქეიფით და დროსტარებით
ყველამ გული მოიოხა.
მშობელ მიწას მოწყვეტილნი,
დევნილები ვაით, ვიშით,
ყირგიზები, აქ გამრავლდნენ
აქ, მადლიან ალტაიში.
თუმც ჟაკიპის გულუხვობამ
ყველა ძლიერ გააოცა,
როცა ბეშბარმაკი ჭამეს,
შეზარხოშდნენ კარგად როცა,
აჩურჩულდნენ: — „ეს რა ხდება,
ჟაკიპი და ხელგაშლილი?
მასპინძელმა ყველას უხმო,
ბრძანა: — იცით, არ მყავს შვილი,
მაგრამ ვნახე მე სიზმარი,
საუცხოო, საოცარი,
გამეგება თუკი რამე,
ნიშანია ზენაარის,
ვნახე ქორი ბასრნისკარტა,
საკვამურზე ჩამომჯდარი,
ისე ლაღი და ამაყი,
ვით ბრძოლაში ალამდარი,
ფრთებს ოქროსფერბუმბულიანს
უწეწავდა ნიავ-ქარი
და თვალები ჰქონდა, როგორც
მოელვარე ნაკვერჩხალი.
თავზე ადგა ათინათი
ჩამოღვრილი სხივად ციდან
სწორედ ამ დროს იურტასთან
შევარდენიც ჩამოფრინდა.
ის ქორი და შევარდენი
ნიშანია ნეტავ რისი?
ვინც ამ სიზმარს ამომიხსნის
სამი ხარი ალალ მისი.
საოცარი იყო ღამე,
ცა გვაძლევდა უცხო ნიშანს,
მინდა გითხრათ, უცნაური
რამ ესიზმრა ბაიბიჩსაც.
თითქოს კაცმა მისცა ვაშლი
შეჭამა და დაფეხმძიმდა,
ცეცხლოვანი გველეშაპი
ჩამოფრინდა თითქოს ციდან
ის ვაშლი და გველეშაპი
ნიშანია ნეტავ რისი?
ვინც ამ სიზმარს ამომიხსნის
ათი ცხვარი ფეშქაშ მისი.
რა წყალობის ღამე იყო
მოიცალა ჩვენთვის ღმერთმა,
სიზმრად მართლაც უცნაური
რამ იხილა ბაკდოლეთმა.
თითქოს ორი შევარდენი
შემოფრინდა იურტაში,
ვინც ამ სიზმარს ამომიხსნის
მას ფეშქაშად ჩემი რაში.
ყველა დიდად დააფიქრა
ჟაკიპ-ბაის გამოცანამ,
ვერვინ შეძლო სიზმრებიდან
აზრის სწორად გამოტანა.
რა თქვას ენამ, თუ არ იცის,
დაატანო თუნდაც ძალა,
ბოლოს ისევ აკბალტ-ბრძენი
წამოდგა და ასე ბრძანა:
— ქვეყნად მართლაც რა არ ხდება,
თუკი არის უფლის ნება,
გაიხარე, ჟაკიპ-ძმაო,
მალე ვაჟი გაგიჩნდება,
ქორი, ალბათ, ნიშანია
ძალისა და სიმამაცის,
ვაჟს ექნება ლომის გული,
ღონე კიდევ ათი კაცის.
ჩიირიდის თუ ეზმანა
ცეცხლოვანი გველეშაპი,
ნიშნავს — ვაჟი გაიზრდება
უძლეველი ფალავანი.
ბრძოლის ჟინით ანთებული,
რჩეული და ქვეყნის თვალი,
ყირგიზების დასაცავად
შეეწევა თვით უფალი.
შენც, უმცროსო ჩემო რძალო,
აბა, კარგად გაიგონე,
ტოკოლ, ორი შევარდენი
ორ შვილიშვილს ნიშნავს, ვგონებ.
„რა სიტყვები მოვისმინე,
საარაკო, სანუგეშო,
ჩემს ძმას, აკბალტს, სიბრძნის წყაროს,
განძი უნდა ვუფეშქაშო.
უნდა ლოცვა აღვავლინო
ყოველ ღამით, ყოველ დილით
და ვიცოცხლო ბერიკაცმა
მხოლოდ შვილის მოლოდინით.
მე თუკი რამ მაბადია,
თვით სიცოცხლეც, მისთვის მინდა,
მადლი უფალს, თქვა ჟაკიპმა
და ბავშვივით აქვითინდა.

●

გაირბინეს შრომაში
წლებმა, როგორც წამებმა,
გაზაფხული შეცვალა
ზაფხულმა — მზის თვალებამ.
შემოდგომაც გავიდა,
გაილია ზამთარიც,
მთებში ქარი ღმუოდა,
ვით მშიერი აფთარი.
ხმა გავარდა ჩიირდი,
რომ ფეხმძიმედ არისო,
ჟაკიბ-ბაის იურტა
მოლოდინით აივსო.

●

მზესაც ახლავს ჩრდილები და
ზოგჯერ ლოცვას მოსდევს წყევლა,
ბაიბიჩის სიხარული
ტკივილებმა გაანელა.
დღე და ღამე ტირის, მოსთქვამს,
აღარა აქვს მოსვენება,
ცრემლი ერთვის ნაკადულებს,
მისი ოხვრა ზეცას წვდება,
არ აკარებს პირს არაფერს
არაფერი აღარ უნდა,
გუნებაობს, ჭირვეულობს
ხასიათი გაუცუდდა.
„მიშველე და მიაქიმე,
ჟაკიპ, ჩემო თვალის ჩინო,
ვაჟკაცი და უშიშარი,
თუ გსურს ვაჟი გაგიჩინო,
თუნდაც ცხრა მთა გადალახე,
თუნდაც უღრან ტყეში წადი,
ვეფხვის გული მომიტანე,
დავიამო ხვაშიადი.
თუ არა და, ხედავ კარგად,
გულს რომ მიღრღნის დარდის ჭია“.
ერთ დღეს ჟაკიპს უთხრა მწყემსმა
მერგენჩს ვეფხვი დაუჭრია.
გაიხარა ბაიბიჩმა,
აჰა, ბადალ, ოქროს ზოდი,
ვეფხვის გული მომიტანე,
გევედრები მალე მოდი.
და მოხარშეს წყაროს წყალში
გულმამაცი ვეფხვის გული,
და დამშვიდდა ჩიირიდი
უჭმელობით გათანგული.

●

დღე-დღეს მიჰყვა, გაირბინა
ცხრა თვემ, როგორც ერთმა წამმა
და ფეხმძიმე ბაიბიჩი
ტკივილებმა გააწამა.
კივილით და ვაი-ვიშით
გააყრუა არე-მარე,
მგონი ვკვდები, კინდივ-ენე,
მომხედე და მომეხმარე.
გადავყვები, ვხედავ, მუცელს,
ვერ მიშველის ახლა ღმერთიც,
ძუნწ ჟაკიპს კი რჩება მხოლოდ
ახალგაზრდა ბაკდოლეთი.
მდიდარია ჟაკიბ-ბაი,
მე კი ვნახე რა ხეირი,
მე აქ ტკივილს შევეჭამე,
თავად დადის არხეინი.
იქნებ გულში კიდეც ხარობს,
მე კი მერგო ტანჯვა წილად,
მოიყვანეთ შავრა ცხენი,
კოკ-თენგირის შესაწირად.

●

ლოცულობდა ჟაკიპ-ბაი,
აღაპყრობდა ხელებს ზეცად,
გულს გაჰქონდა ბაგა-ბუგი
წამი საუკუნოდ ექცა.
დაუძახა მეზობლის ცოლს
ბერდიკ, ჩემს ქალს მიხედეო,
მოლოდინმა ლამის მომკლას
მთაში უნდა წავიდეო.
აღარ მერჩის უკვე მუხლი,
მიკანკალებს ხელებიო,
არ მსურს, ვინმემ დაინახოს
ბერიკაცის ცრემლებიო.
თუკი ქალი მეყოლება,
მთაში არვინ მომაკითხოს
ბებიაქალს ასე უთხარ,
სუიუნჩის ნუ მოითხოვს.
ღმერთი თუკი ვაჟს მიბოძებს,
არ დავეძებ წლობით ნაშრომს,
მახარობელს მე ორმოცი
რაში უნდა ვუფეშქაშო.

●

მთვარის ბილიკს ცხენოსანი
მისდევს, როგორც მთვარეული,
თითქოს იყოს ხელი ვინმე,
ვინმე ჟამ-კარარეული.
როცა ცაზე მიილია
მთვარე, ზეცის ავგაროზი,
მთის ფერდობზე დაინახა
ბაიმ თავის ჟორგობოზი.
აი, ცხენი სანაქებო,
უთვალავი ჩემი ფარა,
თქვა ჟაკიპმა და აღმართი
ნელა, ჩორთით აათავა.
ეს ცხენებიც და ეს ცხვრებიც
შვილს ველი და მისთვის მინდა,
თქვა ჟაკიპმა, ამ დროს შავრა
ბალახებში აჭიხვინდა.
სავრასაი მაკედაა?
ყოჩაღ, ჩემი ჟორგობოზი,
მალე შვილი გეყოლებათ,
მალი კვიცი — აიმანბოზი
რა თქმა უნდა, ჯიშიანი,
რა თქმა უნდა სანაქებო,
თუ მემკვიდრე გამიჩნდება,
კვიცს ჩემს ვაჟკაცს ვაჩუქებო.
ვერსად ნახავთ ქვეყანაზე
ფაშატს სავრასაის ბადალს.
მოეფერა კაცი ცხენს და
ამ დროს კვიციც დაიბადა.
თავის ჯოგთან და ფარასთან
დაე, დარჩეს ბაი მთაში,
მივაკითხოთ ბაიბიჩეს
მშობიარეს იურტაში.
თვალი არც კი მოუხუჭავს,
კვნესის, შფოთავს მთელი კვირა,
ბაიბიჩეს ასე ტანჯვამ
ყველა ძლიერ გააკვირვა.
„რით ვერ გაჩნდა ნეტა ბავშვი
არ ასვენებთ კითხვა ქალებს,
ზოგი აწვება მუცელზე,
ზოგი თავთან დასტრიალებს.
როგორც იქნა, აწრიალდა
ღვთის წყალი და დაიღვარა,
მზე დაწვა და მთვარე შობა,
ყველამ გულით გაიხარა.
იურტაში დღე ნათელობს,
თუმცა გარეთ წვება ბინდი,
დასთამაშებს პირზე სხივი,
აღარ კივის ჩიირიდი.
ვაჟია თუ ქალიშვილი,
დამანახეთ, ვინ არიო,
მოდი ჩქარა სულაიკა,
გადაუჭერ ჭიპლარიო.
მადლსა გწირავ კოკე-თენგირ!
ჩიირდიმ შვილს გადახედა
ათ ქალს ძლივს ეჭირა ბალღი
ხუთი — თეთრ ზეწარში ხვევდა.
და ქალები აჩურჩულდნენ,
ბალღია თუ დევიაო,
ბაკდოლეთმა ძვრაც ვერ უყო,
ათმა ვტაცეთ ხელიაო.
ბალღია თუ ბოკვერია,
ეს რა ხმა აქვს საზარიო,
ისე ძლიერ დაიყვირა,
მთებმა იწყეს ზანზარიო.
დაეწაფა დედის ძუძუს,
თვალიც გაუნაბიაო,
ბალღი არის თუ ვაჟკაცი,
ეს რა ჩიტი აბიაო.
ვერაფერი შეგვიტყვია,
ბალღია თუ აფთრის ძეო,
ძუძუს სისხლი დაადინა,
როცა შესვა დედის რძეო.
„დედა ვარ და თანაც, ვაჟის,
გულით გავიხარე, დებო“ —
თქვა ჩიირდიმ და გოლიათს
პირში გამოავლო ერბო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

6 | № 42 (306) | 28 X-3 XI

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲤᲐᲚᲔᲡᲢᲠᲐ

(ᲓᲐᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ)

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №41)

მაგრამ ამ წამს მეტრდოტელი პეტერეცს უახლოვდება და გადასცემს, რომ მას ტელეფონთან იხმობენ. პეტერეც წამოხტა და გავარდა. ჰაერში შერჩა „ჩაყლაპული“ ფრაზა.

„მაშასადამე?.. ეს შემდეგ იყოს... რომანტისტებს უყვართ გაგრძელება“...

დუმილი, რომელიც პელეტიესთვის უფრო აუტანელია. ამას გრძნობს უნგარიც და არღვევს სიჩუმეს.

„ახირებული კაცია ეს ჩვენი პეტერეც“...

„დიახ: დიდი პარადოქსალისტია“...

„საიდან სად რას წვდება!...“

„სწორედ... მართლაც საოცარია ამორძალთა საიდუმლო... ვიცით ფაქტი: ამორძალები ცალკე კლანებად ცხოვრობდნენ, დროგამოშვებით თავს ესხმოდნენ ვაჟთა კლანებს, მიჰყავდათ უკანასკნელნი ტყვეებად თავისთან, ემზადებოდნენ „ვარდის დღესასწაულისათვის“, ამ დღეს განცხრომას მიეცემოდნენ ტყვე ვაჟებთან ერთად, შემდეგ ტყვეებს ჰკლავდნენ... ჩვენ ვიცით: ეს ფაქტია“.

„დიახ: ფაქტია“...

„მაგრამ არ ვიცით ერთი რამ: თუკი ასე სწყუროდათ ამორძალებს ვაჟთა სიყვარული, რად ჰკვეთდნენ მათ თავებს“...

„სწორედ ეგ არის საიდუმლო“...

„და იცით, როგორ ხსნის ამას პეტერეც?..“

„როგორ ხსნის?..“

მაგრამ პეტერეცს უკვე მოვარდა და დიალოგი შეწყდა.

„მისტერ ლეიკ და მისის ჟანნეტ გვიხმობენ... მე და თქვენ, მოსიე პელეტიე... მე გადავეცი, ჰერრ უნგარ აქ არის-თქო... ვერ წარმოიდგენთ, რა გაუხარდა... მისტერ ლეიკ შეხტა სიხარულით (ხმაზე შევიტყვე)... მადამ ჟანნეტ ხომ ერთიანად ახალისდა... გთხოვენ, თქვენც წამოხვიდეთ, ჰერრ უნგარ“...

„წამოვალ, მხოლოდ ახლა ვერ, აქ ველი ერთ ნაცნობს“...

„მაშ, როდის?..“

„ერთი საათის შემდეგ“...

„უთუოდ?..“

„უთუოდ“...

„მაშ, არ გემშვიდობებით“...

პეტერეც და პელეტიე წავიდნენ.

ადოლფ უნგარ მარტო უზის მაგიდას. მისი თვალი ახლა თავისუფალია. თავისუფლად ისუნთქავს (პეტერეცი აღარაა) და მაგიდებს ათვალიერებს. უეცრად ერთ მაგიდაზე ვიღაცას თვალი მოკრა და წამსვე გაშტერდა. თითქოს ცქერას რაღაც მატერიალური მოხვდა და თავი განზე გადაქანდა. რატომ აქამდე ვერ დაინახა? ხედავს: გრძელი ფეხები ქალის, დაშვეტილი და მოქნილი: ფეხები – თითქოს ორი მწიფე ხილი. ფეხებზე „ტუფლები“ შავი აბრეშუმის და „ტუფლებზე“ თხილის კაკლისოდენა ბრილიანტი თვითეულზე. ადოლფ უნგარ თეძოებს ხედავს ქალისას. „ჰაა, ამორძალი, ნამდვილი ამორძალი“. უნგარ ერთიანად შეირხა: თითქოს მის სხეულს ახალი რასა მოხვდა ფიზიკურად. ქალმა მოიხედა. უნგარმა თავი დახარა. რა ემართება? ქალმა თავი ასწია. განზე იყურება. თმები შემორგვილი, მზის ფერი, ზღვაში ჩამავალის. პროფილი: მარჯვედ კვეთილი, ოდენის სიკუშტით. თვალები თითქოს სხვაგან არიან – ისე იხედებიან: ორ შავ ტალღის ფოთოლზე სრიალობს ზურმუხტის კიაფი. „ჰაა, ამორძალი, ნამდვილი ამორძალი“. უნგარის ტვინში ცეცხლია და გახარება. ჩამოწვა მძიმე ინტერვალი, როცა ორის ბედს ვიღაც მესამე სწყვეტს. ვაჟი ხედავს ამორძალს და ამორძალში ხედავს ქალს: ყოველი ასო ქალის, ხელი თუ ფეხი, თვალი თუ ყური, ცხვირი თუ შუბლი, ყელი თუ მკერდი, თეძო თუ თმა, ყოველი ნაწილი ქალის თითქოს თვითონ არის „ქალი“, რხევით და ძრაობით. ვაჟი ქალს თვალს ვერ აცილებს. მწვანე აბრეშუმის კაბაში ქალის ტანი თითქოს მოქნილი ქვის ნაკვეთია ბადეში გაკვალთული. ხედავს ვაჟი ქალს და გრძნობს: აღტაცება ქალით ცხელ ლითონად ეშვება მის სხეულში. ვაჟი სხვასაც გრძნობს: ლითონი გადნა ტანში და მთელი ტანი მოიცო. შემდეგ: გალხობილი ლითონი ისევ იკუმშება და იკვრივება, იბოჭება იმ ალაგას, საიდანაც სხეულში გადაეშვა. მაგრამ ლითონი გამოსავალს ვეღარ ნახულობს და იხრჩვება ვაჟი. არასოდეს უნგარს ასეთი რამ არ უგრძვნია. უნახავს ასეთი ქალი, შესაძლოა უფრო ლამაზი, ვიდრე ეს ქალი. ჰყვარებია მრავალი ქალი, შესაძლოა უფრო მოხდენილი, ვიდრე ეს ქალი, მაგრამ ასეთი რამ ქალის პირველ ხილვის წამს მას არ განუცდია. როცა უნგარ ლამაზ ქალს ხვდება ხოლმე, ღელვას იწყებს, მაგრამ იმავე დროს გრძნობს აღვივებულ ძალას ვაჟისას. ამ ქალის წინაშე კი: მართალია, ღელავს უნგარ, მაგრამ სად გაჰქრა ძალა ვაჟის? უცნობი ლამაზის წინაშე ადოლფ უნგარ „წახდა“. რაღაცამ იგრძნო მის არსში, რომ ქალმა სძლია მას: დაანარცხა, დაამცირა, გაანადგურა. ისევ ინტერვალი, როცა ორის ბედს ვიღაცა მესამე სწყვეტს.

ადოლფ უნგარ თვალს ვერ აცილებს ქალს. ვინ უნდა იყოს? ინგლისელი თუ ფრანგი, იტალიელი თუ რუსი, ჰოლანდიელი თუ ამერიკელი? არა: ეს სხვა რასაა, ჯერ კიდევ უხილავი. ქალი პაპიროზს სწევს. მარცხენა ხელის უსახელო თითზე დიდი ზურმუხტის ბეჭედი. პაპიროსის მქრალი ბოლო თითქო შარავანდს ავლებს ნათელ პროფილს. ვინ უზის გვერდით? ხმელი კაცი, რომლის სპლინი ნირვანაში აპირებს გადასვლას, მაგრამ მონოკლი აჩერებს. ელაპარაკება ინგლისურად. ამერიკელი უნდა იყოს, დაახლოებით 50 წლის. ვინც ხელის გამოცნობა იცის, დაინახავს, რომ ამერიკელის მჭნარი, მაგრამ მაინც ფუნჩულა ხელი ნაჩვევია ბაჯაღლო ოქროების გადალაგებას. ამერიკელი ლაპარაკობს. ქალი არას ამბობს, განზე იყურება, თითქო არც კი უსმენს. უნგარს სურს ქალის ხმა გაიგონოს: უკანასკნელ თრობისათვის საჭიროა ეს თასიც შესვას. მაგრამ ქალი სდუმს. ვინ არის იგი ამერიკელისათვის? ცოლი? მაგრამ ცოლს ასეთი მოკრძალებით არ ებაასებიან, ქალიშვილი? მაგრამ შვილს აგრე არ ექცევიან. ხასა? და უნგარის ტვინს რაღაც კბენს. ვაჟკაცს მხოლოდ ის ანუგეშებს, რომ ქალი ამერიკელის თანაყოფას არა გრძნობს. მაგრამ ქალი არც ვისსამე თანაყოფას ამჩნევს სხვისას: არც თვითონ უნგარის იქ ყოფას. უნგარ იმღვრევა.

ქალის წინ მაგიდაზე ჟურნალებია. ქალი იღებს ერთ ჟურნალს და შლის. ჰაა, კინოჟურნალი. რომელი ნომერი? სწორედ ის, საცა უნგარის სურათია მოქცეული. უნგარს უხარია და ღელავს. თვალს ადევნებს ქალის ხელს და იწურება. შინა ხილვით კი თავის თავს უცქერს. იგი მოხდენილი ვაჟკაცია. ტანად – საშვალოზე მაღალი, ჩასკვნილი და დაქნილი. ბრგე. ცხვირი: ოდნავ გაღუნული, მაგრამ „ხასიათის“. ნიკაპი: ფართო და მაგარი. შუბლი – მაღალი. თვალები – ფოლად–რუხი: მეზღვაურებს რომ აქვთ. თავი გადახოტრილი და „ტატუირით“ გადარუჯული. მარცხენა მაჯაზე რკინის სხვილრგოლიანი სამაჯური: თითქო ძალის ნიშანი საერთოდ: მიწაში ნახული ძველი რომაელის მედალიონი, ოდნავ გახრილი და დაჟანგული, მაგრამ მაინც მაგარი და მეტყველი. უნგარ ქალის თითებს უცქერს ჟურნალს რომ ფურცლავენ. რომელ გვერდზეა მისი სურათი? მეხუთმეტეზე. უნგარ ითვლის ფურცლებს. რათ აგვიანებს ნეტავ? ქალი კითხულობს რაღაცას. უნგარს უთმენობა ეზრდება. ეს რომელი გვერდია? მეცამეტე უნდა იყოს. და ქალი უეცრად, მეთოთხმეტეს არც კი ხედავს, პირდაპირ მეხუთმეტეზე გადადის. უნგარს ეგონა მანამდე, თავისუფლად ამოისუნთქავდა, მაგრამ სუნთქვა ეხლა უფრო შეეკრა. უნგარ ეხლა წამებს ითვლის (თუ რამდენ ხანს შეაჩერებს ქალის სურათზე თვალის ცქერას) და იჭერს ქალის სახის მეტყველებას. რად გადაფურცლა ასე მალე? არ მიიზიდა? ნეტავ თუ მოხედავს ვაჟს? უნგარ იწურება. ქალმა მართლაც მოხედა ერთი, სულ მოკლე წამით. მიხვდა თუ არა ქალი, რომ ის სურათი ამ ვაჟისაა? ან თუ მოეწონა ქალს? (ამის ალღო ვაჟს უნდა ჰქონდეს, ეს მაქსიმაა უნგარის). უნგარ უმზერს ქალს, მაგრამ ქალის სახეზე ვერაფერს ჰკითხულობს: ვერც „ჰოს“ და ვერც „არას“. უნგარ ოდნავ განრისხდა. ქვავურ მოკუმული ბაგე კიდევ უფრო მოეკუმა.

რა იქნება, რომ ადგეს და მივიდეს მაგიდასთან? ბოდიშს მოიხდის, გადასცემს, რომ დაეძებს ამორძალთა დედოფალს, სთხოვს „ფალესტრად“ გამოვიდეს. საძრახი აქ არაფერია. უნგარ მართლაც აპირებს ადგომას. უნდა – მივიდეს, მაგრამ ქალმა მოიხედა – და უნგარ ისევ სკამზე დაეშვა მოცელილი. რა ემართება? ნუთუ მართლაც ასე „წახდა“? ისევ ქალის მიმართ იცქირება, ხედავს: ამერიკელი საპირფარეშოსაკენ გაემართა. უნგარ იღებს სადარბაზო ბარათს და ზედ რაღაცას სწერს ფანქრით. სწერს ნერვიულად. შემდეგ გადასწყვეტს, ჩუმად გადასცეს ქალს ბარათი. მაგრამ გადაწყვეტას ვერ ასრულებს. რა ემართება? ბრუნდება ამერიკელი. „კავა, დროა წავიდეთ“. ეუბნება ქალს. ჰაა, სახელი მაინც გაიგო ვაჟმა: „კავა“. ეხლა თვითონაც ემზადება წასასვლელად. ანგარიშს ასწორებს და ამერიკელსა და ქალს შეპარვით უყურებს. ისინიც დგებიან. ჰოო, რა მაღალი ქალი ყოფილა! თითქმის უნგარზე უფრო მაღალია. ეხლა უნგარ კიდევ უფრო მოეშვა და კიდევ უფრო „წახდა“. (ვაჟი თუ ქალზე ოდნავ მაინც მაღალი არაა, ძნელია მაშინ უკანასკნელის მორევა – ესეც მაქსიმა უნგარის). ამერიკელი და ქალი წინ მიდიან. უნგარ მათ უკან მიჰყვება. შემოსასვლელ ტრიალა კარში გადასცემს ბარათს, – ამას ფიქრობს უნგარ. ქალი ხელთათმანს იბნევს. აი მოხდენილი წამიც. რამდენჯერ გადაუცია უნგარს უცხო ქალისთვის ასეთ ადგილს პაწია ბარათი! ქალს უცბად გამოურთმევია და ხელთათმანში ჩაუბნევია. მაგრამ რა ემართება მას? ქალი სარკეში იყურება. უნგარ აგვიანებს სვლას და უკნიდან სარკეში იმზირება. უეცრად ქალის ღიმილი გადმოხტა სარკიდან. დაცინვის იყო ღიმილი თუ წაქეზების? ვერ ცნობს უნგარ: დაეკარგა ალღო. ამერიკელი უკვე გავიდა გარეთ. ეხლა ქალი მიდის. უნგარ მისდევს, უნდა გადასცეს „დასწყევლოს ღმერთმა“ – ხელი უკანკალებს: ვერც ეხლა გადასცა. ამერიკელი და ქალი ავტოში სხდებიან. უნგარიც იმარჯვებს ავტოს. მიჰყვება წინ – გაქანებულ ავტოს. განვლეს ერთი ქუჩა, მეორე. შესახვევი. შემდეგ ხიდი, შემდეგ ისევ ქუჩა, ისევ შესახვევი. უნგარ არ აცილებს თვალს წინ მიმავალ ავტოს. მაგრამ ხალხის მასსა მატულობს თანდათან. მატულობს ტაქსების „ჯოგიც“. ბულვარია წინ და უნდა გადასერონ. ამერიკელის ავტო უკვე შევიდა რკალში. უნგარსაც უნდა გაჰყვეს. მაგრამ სწორედ ამ დროს შუცმანმა დირიჟორის პოზით ხელი ამართა – და მიმავალთა მასსა დაგუბდა. უნგარ ბედს სწყევლის. მაინც იმ ავტოს უცქერს. უეცრად ქალმა მოიხედა უკან, ვაჟის მიმართ. უნგარ იჭერს ქალის ხედვას. რას გაარჩევს ღამით. თუ გინდ ელექტროთი აშადრევანებულით? უნგარ თითქო ავტოს დააკვდა. ავტო ბურდღუნობს. უნგარის თვალებში ის „გამოხედვაა“ გარჩენილი. რა ამოშლის მის თვალებში ამ გამოხედვას? ადოლფ უნგარ გრძნობს: ბედისწერამ გაურბინა გვერდით და მხრები აუწვა.

ᲙᲐᲛᲐᲠᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

მისტერ დეიკ მაგიდას უზის საშუალო კაბინეტში. კაბინეტი ისეა მორთული და მოწყობილი, რომ ქალაქის ხმაური მასში არ შედის. იგი ხომალდის კაბინაა უფრო, საცა ოკეანის ხმაური, ამ შემთხვევაში ქალაქის, ძლივს მოისმის შორიდან. მაგიდა დაბალია და გრძელი, შავი ხისაგან ნამზადი. მაგიდაზე სატელეფონო იარაღია. გვერდით – რადიოსამართიც. საქმის ქაღალდების მოშორებით ორი კოლოფია უზარმაზარი: ერთი პაპიროსებით არის სავსე და მეორე სიგარებით. მისტერ ლეიკ იღებს ტელეფონის ტარს – (სტუმარის წინაშე ბოდიშს იხდის). ნელი, მაგარამ ბრძანებელი კილოთი იხმობს სადგურს. სტუმარი მოკრძალებით იხმობს გურს. სტუმარი მოკრძალებით უცქერს მასპინძელს. მისტერ ლეიკ ტელეფონით ლაპარაკობს: „მისტერ მაკ კოლახ... არ არის?.. როდის დაბრუნდება?.. კარგი.., გმადლობთ“... მისტერ ლეიკ დამშვიდებით დებს ტელეფონის ტარს, შემდეგ იღებს სათუთუნე კოლოფს და აწვდის სტუმარს: „მირთვი“. სტუმარი მოწიწებით იღებს პაპიროზს და ცეცხლს უკიდებს. მისტერ ლეიკ ლაპარაკობს. სტუმარი პელეტიეა. იგი ზის მაგიდის გვერდით დაბალსა და რბილ სავარძელში. მისტერ ლეიკის სავარძელი კი უფრო მაღალია და მაგარი. განზრახ ხომ არა არის მოწყობილი? პელეტიემ იცის, რომ დაბალი და რბილი სავარძელი ოცნებას აღვიძებს, მაგრამ ნებას აცდუნებს. ლაპარაკობს მისტერ ლეიკ. ფრაზა მოკლე და მაგარი. კილო აუჩქარებელია და დამაჯერებელი. პელეტიე უმზერს მისტერ ლეიკის პროფილს და ფიქრობს: „პირწავარდნილი იანკი“, მაგრამ ლეიკ იანკი არაა. იგი დაიბადა ოდესაში, არნაუტის ქუჩაზე. მამა მისი ვილნოდან გადმოსახლდა, საცა ლეიკის პაპა დიდი ბაალშემის სახელს ადიდებდა. გიმნაზიის მეექვსე კლასში ყოფნის დროს ერთხელ ვიღაცამ ლეიკს უთხრა: თქვენ ინგლისელს უფრო ჰგავხართ. ამ დღიდან ახალგაზრდა ლეიკ ანგლომად გადაიქცა. თავის რასსით იგი რომანტიკოსი იყო და ყოველდღე ინგლისელობაზე ფიქრობდა. ფიქრებში ხანდახან ნამდვილ ინგლისელად გრძნობდა თავს. ინგლისელობისთვის ენა იყო საჭირო. ლეიკმა იწყო ინგლისურის სწავლა. ბევრი იბრძოლა გამოთქმისათვის და სამი წლის განმავლობაში მიზანს მიაღწია. უნივერსიტეტში რომ გადავიდა, მაშინ მას უკვე „ინგლისელს“ უძახოდნენ მეტსახელად. ინგლისელობისათვის „ხასიათიც იყო საჭირო და ხასიათში „ნება“. ლეიკ ყოველდღე ვარჯიშობდა ხასიათის ლაქნისათვის და ნების გაჭედვისათვის. ხშირად ასეთ საშვალებასაც მიმართავდა: ბარათს რომ მიიღებდა და კონვერტზე საყვარელის „ხელს“ დინახავდა, აღელვებას აკავებდა და ბარათს მეორე დღეს ხსნიდა. მას აწუხებდა მხოლოდ ორი ასო თავის გვარში „ლეიკეს“ უკანასკნელი ორი ასო. თავის ფიქრებში შეკვეცა კიდეც ეს გვარი: „ლეიკეს“ იქცა „ლეიკ“. მაგრამ ოდესაში ამას არ ამხელდა. დიდი ომის დროს სპარსეთის ფრონტზე მოხვდა იგი, როგორც სამხედრო მოხელე „ქალაქთა კავშირში“. აქ შეისწავლა სპარსული. გახდა კავშირის სამნეო ნაწილის გამგე. „გამორჩენას“ დიდებულად ახერხებდა. აგროვებდა სპარსულ „თუმნებს“ და ხალიჩებს. ხშირად დადიოდა ყაზვინსა და ტფილისს შუა. ენზელში არ ჩხრეკდნენ (ჰქონდა სათანადო ქაღალდი). ტფილისიდან ქინა შეჰქონდა სპარსეთში, სპარსეთიდან ჰაშიში გამოჰქონდა. სიმდიდრე თანდათან ჰმატულობდა. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ სპარსეთის ფრონტიც მოშალა. ლეიკმა დაკარგა სწორი ალღო. გონით მას სწადდა ჰამადანისკენ წასულიყო. იქ შეუერთდებოდა გენერალ ბარათოვის რაზმს და ინდოეთისაკენ ან ბაგდადისაკენ გაემართებოდა. ამ გზით გადაარჩენდა სპარსულ თუმნებსაც და სპარსულ ხალიჩებსაც. მაგრამ მისი „გული უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდა, ვიდრე მისი „გონი“. მას ერთი სათნოების და უყვარდა, ქერა რუსი, და მასთან ერთად ჩრდილოეთის მიმართ გაემგზავრა. ხალიჩები ყაზვინში დასტოვა. გზაში, სამოქალაქო ომის ორომტრიალში, სათნოების დაც დაკარგა და სპარსული „თუმნებიც“. როგორც იქნა მიაღწია მოსკოვს.

(გაგრძლება შემდეგ ნომერში)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲡᲕᲔᲚᲘ ᲑᲔᲚᲣᲠᲐ

გაცოფებული სიცივე იცდის,
სველმა ქუჩებმა წვიმა იწამეს,
ვით უიზეზო დარდსა და სიცილს,
ხალხი წვიმასაც ათვლის წვრილმანებს.
მე კი, დავდივარ და არ ვსველდები,
ხმაური წვიმის მოჰგავს შენს კისკისს
და არ მანაღვლებს ჩემი სვე-ბედი,
ან შენს გარეშე რა ხვედრი მიცდის.
როგორც ამბორი იუდას, ისე,
ეშვება ციდან წვიმა ცბიერი
და ტალღა ზღვაურს ფეხდაფეხ მისდევს,
რომ მოუშალოს ზღვის სარბიელი.
გაურბის წვიმას ქუჩაში ხალხი,
ვით სეტყვის საფანტს სველი ბეღურა,
სანამ ქვაფენილს მტვრის კაბას გახდის,
ქალაქს ლექსებად ესაფეხურა.
გული მისკდება, რომ ასე მტკიცედ
მომინდი!.. ლექსი სამ წერტილს მარგებს
და ვუცდი, როდის ასწევს მზე კისერს,
რომ მისწვდეს მთვარის უფერულ ბაგეს.

ᲜᲘᲙᲐ (ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ) ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ

●

ტალღებს მზის სხივი წიგნივით ფურცლავს,
სინათლე ჰაერს მდორედ ერევა,
მზე გააღვიძებს ამ დილით ლურჯ ცას
და გაშლის სივრცეს მრავალფერებას.
მზე გაახარებს, ალბათ, აწ იმდენს,
ოღონდ მე არა, არც ჩემს აურას,
მინდა, უბრალოდ, ერთხელ გავწვიმდე
და გაგაღვიძოს ჩემმა ხმაურმა.
მინდა, უბრალოდ, დავღამდე ერთხელ,
დავახუჭინო თვალები ზეცას,
ერთგულებაში მივბაძო მერცხლებს
და თოლიების ქათქათა ზეწარს.
გადავაფენდი მძინარე ქალაქს,
მერე, უბრალოდ, შენ დაგიცდიდი
და მოვუსმენდი ლექსის შტორმს — გალას,
რომ გაჰქრობოდა ზღვას სუიციდი.
მოგინატრებდი ჩემთვის, უბრალოდ,
დავუყვებოდი ტალღებს ზღვაურად,
არ ვიცი, ამ ლექსს რა დავუბარო,
ან რა დავარქვა მე სათაურად.
მზე გაახარებს, ალბათ, აწ იმდენს,
ოღონდ მე არა, არც ჩემს აურას,
მინდა, უბრალოდ, ერთხელ გავწვიმდე
და გაგაღვიძოს ჩემმა ხმაურმა.

ᲨᲝᲠᲡᲐᲐ ᲖᲔᲪᲐ

შორსაა ზეცა! გამიშვით სადმე...
მიჭირს ნიღბიან ხალხთან ღიმილი,
თითქოს ქუხილი ცის გულმკერდს ამტვრევს
და მზეს ააგლეჯს მკერდზე ღილივით.
ვხედავ, აიმღვრა შენი თვალები
და სულიც ხორცის ნაჭერად იქცა,
ცრემლი უპესთან ჯერ იფართხალებს,
მერე ნაპერწკლად სწვავს გულის ფიცარს.
დაეშვა მთებზე გრძელი ჩანჩქერი,
როგორც „ტყაშმაფას“ დალალი წელზე,
შორს, სარფისაკენ საზღვარს გავცქერი
და დატოვებულ სამოთხეს ვეძებ.
შემოეხვია ნისლი ხეობას,
ვით აბლაბუდა წყეული ღამის,
გრძელდება დროთა ავი ღრეობა,
თუმცა მთებს კვირტის სურნელი ასდის.
შორსაა ზეცა! გამიშვით სადმე...
იქ, სადაც მხოლოდ მელის უფალი,
მე ვერ გავუძლებ აქაურ ავდრებს,
ვარ გლოვით სავსე ჭირისუფალი!

●

გარეთ ძლიერი ქარია, ვცდილობ...
აღარ გამოსდის ქარს აცილება,
როგორ მომინდა, გამინაწილო
სურნელი, სუნთქვა და გაცინება.
გასძახის ბედი: „ქარია, სულო!“
ასეთ ამინდში რა უნდა გეთქვა,
ბროწეულები ჰყვავის, ასულო,
თუ ისმის მათი ყვავილთა ფეთქვა.
ტანთ შემოგცლია ყვავილთა კაბა,
ატკბე მგოსნები შემოსეული
და სვი მზის სხივთა წვიმები ხარბად,
აყვავებული ხარ ბროწეული.
გარეთ ძლიერი ქარია, ვცდილობ...
აღარ გამოსდის ქარს აცილება,
როგორ მომინდა, გამინაწილო
სურნელი, სუნთქვა და გაცინება.

15 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲘᲐᲓᲕᲘᲚᲔᲑ

ინგა ეგუტიას

საით ფრთაშლილო, თეთრო თოლია,
ვხედავ, მიელტვი აფხაზურ ზეცას,
ნაპირზე გასწი, იქით შორია,
ჯერ მოლოდინი სურვილად გვეცვას.
ეგ თეთრი ფრთები — მშვიდობის დროშად,
მტერს თუ მოყვარეს აუფრიალე,
თუმცა სისხლისღვრა დამთავრდა, მორჩა,
შენ ძველებურად შფოთავ, ტრიალებ.
ხმას რად არ იღებ, რამ დაგამუნჯა,
თითქოს ტკივილმა ენაც დაგიბა,
გინდა აიგდო ტალღა აბუჩად,
„ფეხქვეშ მოიგდო კვლავ დედამიწა“.
ვიცი, შენც გტკივა, ვიცი, შენც გეწვის,
არ გიადვილებ, არც მე ვადვილობ,
გასავლელია გზაც, ხიდიც ბეწვის,
რომ დავახუროთ დედას მანდილი.
ჩვენ ერთნი ვართ და დავრჩებით ერთად,
თუმც ცა ეჭვებით არის ნახაზი,
ერთი გვაქვს გულის და მაჯის ფეთქვა,
მქვია ქართველი, გქვია აფხაზი!

●

ღამეა შავი, იმდენად შავი,
თითქოს ყვავებმა ფრთები გაშალეს,
ყელში მაწვება ხველება მშრალი
და მეჩვენება ცამდე გზა-შარად
გადაშლილიყო ღრუბლები თითქოს,
ცის ფარშევანგმა აშალა კუდი,
სული არნახულ სივრცეებს ითხოვს,
დედამიწა კი — ტყვედ ყოფნის სურვილს.
დღეს უსაშველოდ, ძალიან ცივა,
უიმედობის გავხდი მწეველი,
ციდან ქათქათა ფიფქები ცვივა,
როგორც ლექსები დაუწერელი.

ᲬᲕᲘᲛᲐ — ᲪᲔᲠᲑᲔᲠᲘ

ძაღლივით დასდევს წვიმა ბილიკებს,
ცას, რახანია, აცვია შავი
და ვეღარ ვხვდები, ნიღაბს ვინ ირგებს,
ღვარცოფში როგორ რჩებიან მშრალი.
და მაინც მინდა, შევსვა სიმართლე,
მაღალფარდოვან ტექსტის გარეშე,
მოეკითხებათ ცოდვა იმათვე,
რომლებმაც სიტყვა მოითარეშეს.
ამ სასაკლაოდ ქცეულ მიწაზე,
ამ ბრბოდ განწირულ ერთმუჭა ხალხში,
თუ უთქმელობა ასგზის ვინანე,
ათასგზით თქმითაც ამაოდ დავშრი...
გთხოვ, მაპატიო, შენ, ყოვლადწმინდავ,
დუმილით ცოდვის უღელში შებმა
და სანამ მიწას წარღვნა გაწმინდავს,
შხაპუნა წვიმა მომგვარე შვებად.
ძაღლივით დასდევს წვიმა ბილიკებს,
ცას, რახანია, აცვია შავი
და ვეღარ ვხვდები, ნიღაბს ვინ ირგებს,
ღვარცოფში როგორ რჩებიან მშრალი.

ᲨᲔᲛᲘᲜᲓᲔᲗ!

საყდრისს

ამინდია ცბიერი, ჯიუტი და უშნო...
მზის სხივებმა დაიწყეს მწველ ხელების სრესა,
გული ბევრჯერ ეცადა — კალამს სისხლი უშროს,
უპასუხო სიყვარულს მიუსაჯოს სევდა.
უეცრად მომეჩვენა, თითქოს დემონს ვბარდები,,
რადგან სული შევხსენი ამ უაზრო სხეულს,
ცაზე უკვე დაშლილან ღრუბლის დემონსტრანტები
და ელიან დიქტატორს, გრიგალს, გადარეულს.
ყველამ კარგად იცოდა, მაინც უნდა დაიქცეს...
მოთმინების ფიალა გადაგვექცა ყანწად,
მსმელთა სია შესწორდეს, ისევ ისე და იქცეს
მკვდრების სიად, პოემის სიდიადეს რომ გასცდა.
კუს რად უნდა თავიო, ბაკნის ძალა ეყოფა...
ამგვარ ფიქრში ჩამსხდარან „მაღლა მჯდომი ძმები“,
შიშად ქცეულ, დანგრეულ, უსაყდრისო ეპოქას...
არ იფიქრო, დობილად, ან ძმად მოუნდები.
ან მე და შენ რა გვინდა, ჩემო სიტყვის მტევანო,
როდის გამოგიჩნდება „ჯარისკაცის მამა“,
ყველა ღმერთობას ჩემობს, გვატყუებენ, მზე ვართო,
დატოვებულს მივხედოთ, ღირს ჭიდილი ამად.
გეშინოდეთ, რამეთუ ღმერთი ხედავს თქვენს სულებს,
ლოცვით შემოიმატეთ გადარჩენის იმედი...
და მივმართავ დანგრეულ სამშობლოდან წასულებს,
მოგვისწარით, სანამდე გოლგოთამდე მივედით.
მოდით, სითბო ვაჩვენოთ „ვეფხისტყაოსნის“ ენას,
შევაფხიზლოთ ოცნებით გამომთვრალი ხალხი,
უკვე ჟამი დამდგარა, კვლავ ილიას გაჩენის,
ხოლო მერე, ჩვეულად, — შუბლში ტყვიის დახლის!..

ᲐᲕᲢᲝᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲗ

(ნიკა ფუტკარაძე და ბელა ქებურია)

შენ გეშინია ხმელი ტოტის მსგავსად დავარდნის,
აქ ახლა მარტო ეკლებია და სატუსაღო,
დღე უფერული ამ ფურცლებზე სიტყვად დაბარდნის
და სიკვდილს უნდა, რომ სიცოცხლე კვლავ გაუსაღო!
უბრალოდ, დარჩი, ჩემთან დარჩი, წუთით იყავი,
რაც გულში მედო, ახლა მინდა, ბოლომდე სულ ვთქვა,
ჩვენ შეგვეყარა ბედისწერის ავი ჭილყვავი,
ტაბუ დაგვადო, აგვიკრძალა ფიქრიც და სუნთქვაც.
არ გეშინია შენ სიკვდილის და თუნდაც მოკვდე,
აქ სიკვდილია უფრო კარგი, ვიდრე — გაჩენა,
ჩამოსახრჩობად თოკი არა, სულია მოკლე,
სული, რომელიც სუფთა ფურცლად მოგცა გამჩენმა.
რომ დაგეხატა ეგ ცხოვრება იოლიც, მძიმეც,
გადაგეტანა ტკივილებად ცხოვრების შტორმი,
მიჭირს, დავადო ბორკილებად ამ სიტყვებს მძიმე
და გამოვკეტო წერტილებს და ძახილებს შორის.
აქ სამწერტილი... და ოცნება იმედის ხელით
ელის, რომ ისევ ამოუვსებს ზღვაური აფრებს
და ქარიშხლიან მძიმე ავდრებს გამცდარი გემი,
ალბატროსივით ფრთებგაშლილი გაჰყვება გამჩენს.

ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ

ᲣᲨᲜᲔᲑᲘ ᲮᲜᲐᲢᲝᲠᲨᲘᲜ

ᲨᲔᲜ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲓᲔᲑᲘ!

შენ, იბერიავ, გმირთა აკვანო,
მიწავ, მტერთაგან სისხლით მორწყულო,
ანგეგლოზთ გუნდი გარს გახვევია
და გულმხურვალედ შენთვის ლოცულობს.
უფლისგან გერგო მძიმე მისია,
მნიშვნელოვანი, არვის სადარი,
განგების ძალით მრავალთ იციან,
რომ ლაზარე ხარ, მკვდრეთით აღმდგარი.
ვინ შეაჩერებს დროის დინებას?
ვინ აღუდგება ნებას გამჩენის?
მოკვდავი ცას რომ ეპოტინება,
რად ავიწყდება ღვთის განაჩენი?!
არგასაძლების გვიწევს გაძლება,
შხამით ფიალაც ბევრჯერ გვაწოდეს,
გული დარდისგან რა ვქნა, არ ცხრება,
გონებას მისდგა და თავს აცოდებს.
შავი ურჩხული თვისას არ იშლის,
ხრიკებსა მზაკვრულს იგონებს ახალს,
მალე ჩაცხრება ქროლვა ქარიშხლის
და სამართალი თავის გზას ნახავს!
არ დაიდარდო, ჩემო მამულო,
თუმცა ცრუ არის წუთისოფელი,
განსაცდელისგან მუდამ დაგიცავს
იესო ქრისტეს დედა მშობელი.
ჟამი ახლოა ერის დიდების,
გულით მიხარის — ჭკუის ფანტვამდე,
დედა-სამშობლოვ, შენ გაბრწყინდები
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!

8 | № 42 (306) | 28 X- 3 XI

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲣᲠᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

„ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲡ ᲙᲝᲙᲐ ᲧᲐᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲘᲜᲐᲚᲐᲛ ᲨᲔᲛᲝᲔᲚᲐᲮᲐ

...რამდენიმე თვეა, „ფეისბუქმეგობრები“ ვართ, ინტერვიუც არაერთხელ დავგეგმეთ, თუმცა ხან იმას არ ეცალა, ხან – მე და შეხვედრა აქამდე ვერ მოვახერხეთ. ბოლოს, როგორც იქნა, პარლამენტის თბილისის „ოფისში“ ვესტუმრე. ამ დროს „რუსთავი 2“-ის გენდირექტორს სკანდალური განცხადება უკვე გაკეთებული ჰქონდა, თუმცა ჯერ ცნობილი არ იყო, თუ ვინ მიაწოდა ნიკა გვარამიას ხელისუფლების „მესიჯი“, გაჩუმდი, თორემ კონკრეტული ურთიერთობის ვიდეოს გამოგიქვეყნებთო... ცხადია, ვკითხე, ფარული კადრები თქვენზეც ხომ არ არსებობს-მეთქი. იუარა, ქეიფი მიყვარს და რა კადრები უნდა იყოსო... მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, „ქართული სიტყვა“ უმრავლესობის დეპუტატ ომარ ნიშნიანიძეს წარმოგიდგენთ, რომელმაც თავის დროზე სახელი დავით საგანელიძესთან „ბუნტით“ გაითქვა...

ᲝᲛᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ: „ᲨᲔᲒᲕᲔᲫᲚᲝ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲒᲕᲔᲚᲝ!“

„ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲝᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲭᲘᲠᲘ, ᲐᲡᲔ ᲗᲣ ᲘᲡᲔ, ᲛᲝᲘᲪᲘᲚᲐ, ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲛᲝᲗᲐᲕᲔ, ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲕᲘᲮᲛᲝᲑᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲑᲡ ᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ ᲮᲝᲚᲛᲔ.“

– ბატონო ომარ, საუბრის დაწყებას სხვანაირად ვაპირებდი, მაგრამ მე რომ შემხვედროდით, კომიტეტის სხდომა დატოვეთ, სადაც, თურმე, კოოპერატივების კანონს განიხილავდით. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ქვეყანა იქცევა და რა დროს კოოპერატივებია?

– კი ბატონო, მაგრამ აგრარული კომიტეტის წევრი ვარ და ვალდებული ვარ, გარკვეული საქმიანობა გავწიო – მაგალითად, კანონები, რომლებიც კომიტეტში შემოვა, განვიხილო. სამწუხაროდ, განათლებისა და კულტურის კომიტეტში არ ვარ, რადგან ჩემი ძირითადი საქმიანობა განათლებას უკავშირდება – პროფესორი ვარ, ლექციებს ვკითხულობ...

– იმაზე, რომ განათლების კომიტეტში არ შეგიყვანეს, პასუხი მე კი არა, უმრავლესობის ან უკვე ყოფილ ლიდერს უნდა მოსთხოვოთ...

– აგრარულის გარდა, გარემოს დაცვის კომიტეტშიც ვარ – თავმჯდომარის მოადგილე და კანონები რომ შემოდის, უნდა „მივყვეთ“, თუმცა გეთანხმებით, რომ დღეს ქვეყანაში უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია...

– ისე, გახსოვთ, „ოცნების“ პარლამენტმა მოღვაწეობა „პრეზერვატივების კანონის“ განხილვით დაიწყო...

– (იცინის) სხვათა შორის, იმ კომიტეტის წევრი ვიყავი, რომელმაც ეს კანონპროექტი განიხილა და ამის გამო დავტოვე...

– ჰოდა, რა დროს პრეზერვატივებია, ომარ ბატონო, ვერ ხედავთ, რა ხდება? სხვა თუ არაფერი, ამ ფარული კადრებით დავიღალეთ! ახლა, რომ გითხრათ, პირადი ცხოვრების კადრებს გამოგიქვეყნებთ-მეთქი, როგორ განწყობაზე დადგებით?

– აბა, რაზე მიმანიშნებთ?

– დავიჯერო, ნიკა გვარამიას განცხადება არ მოგისმენიათ?

– ამ განცხადებას, აპრიორი, ღებულობთ? მე, მაგალითად, აპრიორი ვღებულობ, რომ ცრუობს. ის ცრუპენტელაა.

– თუ შეიძლება, შეურაცხყოფების გარეშე! ნიკა გვარამიამ თქვა, რომ იმ ადამიანს, ვინც ინფორმაცია მიაწოდა, დაასახელებს!

– დაასახელოს! აი, წინ ნაბიჯი გადავდგით!

– მოკლედ, იმას, რომ ქვეყანაში პოლიტიკა ასეთი რაღაცებით „კეთდება“, არ განიცდით?

– რასაკვირველია.

– და ეს განცდა რაში გამოიხატება?

– სადაც ვიკრიბებით, ვამბობთ. ამ შემთხვევაში, ფრაქციისა თუ უმრავლესობის სხდომაზე, თუმცა უმრავლესობის სხდომაზე ამის შანსი არ იყო.

– რატომ? ყოფილი ლიდერი „გაჩმორებდათ“?

– მოდით, ამ სიტყვას მაინცდამაინც ნუ ვიტყვით, მაგრამ კრიტიკული შენიშვნები და ასეთ თემებზე საუბარი არ სიამოვნებდა და შეიძლება, თავის „შავ სიაშიც“ შემიყვანა. იმას, რაც არ მაკმაყოფილებს, ყოველთვის ალალად ვამბობ. ასე რომ, პროტესტი მიჩნდება და განცხადებების გაკეთებას არც პრესაში ვერიდები!

– ომარ ბატონ, პრემიერის დღევანდელი განცხადებები მოისმინეთ?

– საშუალება არ მქონდა...

– კარგი, გეტყვით: „ნაციონალებმა“ მადლობმა თქვან, ხალხი იმას რომ არ უკეთებს, რაც წამების ვიდეოებშია ასახულიო. პრეზიდენტმა პრემიერის ეს გამოსვლა, პრაქტიკულად, სამოქალაქო ესკალაციის წახალისებად მონათლა. ქვეყანაში რამე ცუდი რომ მოხდეს, როგორც „ოცნების“ დეპუტატი, ანუ როგორც პოლიტიკოსი, პასუხისმგებლობას აიღებთ?.. ისე, პოლიტიკოსი ხართ?

– ამ შემთხვევაში, ვარ... პოლიტიკაში, დაახლოებით, 25 წლის წინ მოვედი – ეროვნული ხელისუფლების დროს, საქართველოს ერთ-ერთი დიდი ქალაქის, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე ვიყავი... ყოველთვის აქტიური მოქალაქე ვიყავი. უნივერსიტეტში რომ დამინახავენ, ამბობენ ხოლმე, რევოლუცია მოდისო. სულ რევოლუციურ დროშას ვაფრიალებ, თუმცა რევოლუციის მომხრე არასოდეს ვყოფილვარ.

– რევოლუციურ დროშას დღეს რატომ აღარ აფრიალებთ?

– ჩემს გუნდში რევოლუციონერი ვარ! აი, თუნდაც გუშინწინდელი შეხვედრა ახლანდელ და ყოფილ პრემიერებთან ჩემი გამოწვეული იყო, რადგან ერთი წლის წინ, ყეფა სწორედ მე ავტეხე – პარტია „ქართული ოცნების“ ოფისები დალუქულია, მუშაობა მკვდარიამეთქი და მუშაობა დავიწყეთ... ასე რომ, მაინცდამაინც გაჩერებული არ ვართ, მაგრამ ჩვენზე ბევრი არაა დამოკიდებული.

– აბა, ვისზეა?

– ლიდერებზე.

– ეს ლიდერები ვინ არიან?

– კომიტეტის თავმჯდომარეები, ფრაქციის ხელმძღვანელი, უმრავლესობის ლიდერი, პრემიერი... პარტიაში აღმასრულებელი მდივანიცაა და გენერალურიც...

– პარტია „ქართულ ოცნებაში“ განხეთქილება მართლაა?

– არა, არა...

– ხომ თქვით, ყეფა მიყვარსო. ჰოდა, გულწრფელად მითხარით: პარტიაში ღარიბაშვილისა და კალაძის კლანები არსებობს?

– არ მგონია. შეიძლება, კულუარულად, რაღაც არის, მაგრამ ამის აშკარა სიმპტომი არ დამინახავს. აშკარად ვამჩნევ, რაც პრეზიდენტსა და პრემიერს შორისაა, მაგრამ არ შემიმჩნევია, რომ ღარიბაშვილსა და კალაძეს შორის კატას გაერბინოს...

– უმრავლესობის ბოლო სხდომაზე ბიძინა ივანიშვილმა დაგტუქსათ?

– არა... მეგობრული შეხვედრა იყო...

– ივანიშვილი უმრავლესობის სხდომას რა სტატუსით ესწრებოდა?

– ჩვენი მოძრაობის დამფუძნებელი და შეიძლება, არაფორმალური, მაგრამ მაინც ლიდერია.

– ესე იგი, ადასტურებთ, რომ „ქართულ ოცნებას“ დღესაც ბიძინა ივანიშვილი მართავს?

– მთავრობა გვერდზე გადავდოთ, მაგრამ ჩვენი მოძრაობის, რომელმაც სააკაშვილის ჭირი, ასე თუ ისე, მოიცილა, ამ შემთხვევაში, მოთავე, ლიდერი ის იყო, დღესაც ძალიან დიდი ავტორიტეტია და როცა გვჭირდება, ჩვენ თვითონ ვიხმობთ და რაღაცებს ვეკითხებით ხოლმე.

– გჯერათ, რომ „სააკაშვილის ჭირი“ მოიშორეთ?

– ეს კითხვის ნიშნის ქვეშაა. რკინის ძალაყინი ხომ იცით? – სადღაც ეგდო, ჩვენ ბორბალში გავურჭეთ და ახლა მუხრუჭით მივდივართ, რადგან კოჰაბიტაცია იყო. სხვათა შორის, თავის დროზე ყველა ტრიბუნიდან ვამბობდი, რომ ეს რეჟიმი უნდა გაგვესამართლებინა. ყველა საქმე მოიცდის, მაგრამ არ მოიცდის „ნაცმოძრაობის“ კოსმოპოლიტურ-ლიბერტარიანული იდეოლოგია, რომელიც ქვეყნისთვის დამღუპველია და რომელშიც ქართული გრამიც არაა.

– მაშასადამე, ბატონო ომარ, თვლით, რომ აშშ და, საერთოდ, დასავლეთი გვრყვნის და ქართველობას გვართმევს?

– აი, საქმე სწორედ ამაშია, რომ თუ დამნაშავეებს ხელს დააფარებენ, დასავლური ლიბერალური ღირებულებები ხალხში რაღაც რეაქციას გამოიწვევს.

– დამნაშავეებს ხელს დასავლეთი კი არა, „ოცნება“ აფარებს – მიშაზე შიდა დევნა ქიშმირის პალტოებზე დაიწყეთ, დაგავიწყდათ?

– (იღიმება) ამას პირადად ჩემზე ამბობთ?

– თქვენ მმართველი გუნდის წარმომადგენელი ხართ და ურავლესობის სხდომებზე, წესით, ანალოგიური შეკითხვები უნდა დასვათ!

– კი, რა თქმა უნდა, სწორი ხართ. სამწუხაროა, რომ ურავლესობა ამდენი ხანია, არ შეკრებილა, ლიდერიც არ გვყავდა და ახლა, დაიმახსოვრეთ: პირველი სწორედ მე ვიტყვი, რომ ბევრ რაღაცას ხელს ვაფარებდით და ჯერ კიდევ ვაფარებთ!

– რატომ აფარებთ?.. ისე, იზიარებთ ეჭვს, რომ მაგალითად, უდესიანისგან, როგორც პრესაში დაიწერა, „ოცნების“ ცალკეულმა ჩინოვნიკებმა 20 მილიონი აიღეს?

– რა თქმა უნდა, მაქვს ეჭვი, რომ ვიღაც ხელს აფარებს, მაგრამ პირველ ხალხზე არ გავდივარ, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ქვედა ეშელონებში, საშუალო რგოლებში „ნაცმოძრაობა“ კვლავ ყვავის და უმრავლესობის შეხვედრაზე პირდაპირ ვთქვით, რომ მაგალითად, რესურსცენტრები და სოციალური სამსახურები 70 პროცენტით კვლავ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებითაა გადაჭედილი, რომელთა საქმიანობა აბსოლუტურად ანტისახელმწიფოებრივია!

– თუკი „ნაცმოძრაობის“ წევრი და პროფესიონალი ვარ, თან პატიოსანი, სამსახურიდან უნდა გამაგდოთ და ჩემ ადგილზე ჯოკია ბოდოკია მოიყვანოთ?

– არც ამას ვამართლებ, მაგრამ დააკვირდით, არის ერთი პროფესიონალი, რომელიც საბოტაჟს ეწევა და არაფერს აკეთებს, არის მეორე, უცოდინარი, რომელიც შენ მოგყავს. ერთი „ვაია“, მეორე კი – „უი“. ამიტომ, „საბოტაჟნიკსა“ და ხელისუფლებაში ჩანერგილებს ბოდოკიას კი არა, პატიოსანს ვარჩევდი, რომელიც ჯერ პროფესიონალი, შეიძლება, არაა, მაგრამ ისწავლის... „ნაცმოძრაობის“ მომხრეთა უმრავლესობა იმდენად „იდეინია“, რომ საბოტაჟს ეწევა...

– „ნაცმოძრაობის“ მომხრეობა დანაშაული არაა. სხვათა შორის, კანონით, არც ის იკრძალება, რომ მაგალითად, „რუსთავი 2“ „ყოფილების“ იდეოლოგიას ატარებდეს...

– ამას ვინ ამბობს ან, საერთოდ, ვინ ეხება? ვანო, თუ დავრწმუნდები, რომ ეს კერძო სამართლებლივი დავა კი არა, ცოტა მეტია, პროტესტს მეც გამოვთქვამ...

– ბატონო ომარ, გონიერი ადამიანი ხართ და შეკითხვა არ გიჩნდებათ, ქიბარ ხალვაშს წართმეული „რუსთავი 2“-ის დაბრუნების სურვილი მაინცდამაინც ახლა, საარჩევნო წელს რატომ გაუჩნდა?

– მან დავა უფრო ადრე დაიწყო...

– ისე არ გამიგოთ, რომ „რუსთავი 2“-ს ვიცავ, მაგრამ ხალვაშის მერე ამ ტელევზიის მფლობელი ხომ გელა ბეჟუაშვილი იყო, რომელსაც „ოცნების“ ხელისუფლებაში კონტრდაზვერვის შეფის პოსტი ეკავა და ბატონი ხალვაში მას რატომ არ ახსენებს?

– კი ბატონო... გასაგებია... ეს სუფთა სამართლებრივი საქმეა და როგორ დაუშლი ქიბარ ხალვაშს, რომ ხმა არ ამოიღოს?! სასამართლოზე ხელი რომ არ წაგვცდენოდა, კუბლაშვილს არ შევეხეთ და ბოლომდე მივიყვანეთ. კუბლაშვილი ვინ არის, ან ქადაგიძე, ან პაპუაშვილი? ქადაგიძე დამნაშავეა და ციხეში უნდა იჯდეს.

– საამისო ფაქტები გაქვთ?

– ჩემი შვილი „კორსტანდარტ ბანკში“ მუშაობდა, სადაც ქადაგიძე შევარდა და დედა უტირა – სეიფები გაახსნევინა, საიდუმლო სიები ამოაღებინა, აბა, ვის რამდენი აქვს შემოტანილი და ბანკი სასწრაფოდ გააკოტრეთო.

– მაპატიეთ, ბატონო ომარ, დედათქვენი ცოცხალია?

– არა, გარდაცვლილია...

– ვიზიარებ... ისე, თქვენი აზრით, დედა ოჯახის წევრია?

– რას ჰქვია?! ოჯახის წევრია, აბა, რა არის!

– ცოლის ნათესავი ნათესავია?

– (იცინის) ნათესავია!..

– მარტივ შეკითხვას დაგისვამთ და მარტივად მიპასუხეთ: ნატო თუ რუსეთი?

– ჩვენ ბეწვის ხიდზე გავდივართ...

– უკაცრავად, კონკრეტულად მიპასუხეთ: ნატო თუ რუსეთი?

– ნატო!

– აგაშენათ ღმერთმა!.. ბოლო სამი წლის განმავლობაში, თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა თუ უარესობისკენ?

– უარესობისკენ – მატერიალურად.

– სამაგიეროდ, თავისუფლად ხომ სუნთქავთ?

– დიახ, მაგრამ კერძო ინსტიტუტი მქონდა და გავაჩერე.

– ჰოდა, რა გინდოდათ პარლამენტში?

– მინდოდა? ოღონდ ის ხელისუფლება მომეცილებინა და დროშას ყოველთვის ავიღებდი.

– ის ხელისუფლება რას გიშავებდათ?

– რას ჰქვია, რას მიშავებდა? – როგორც

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ- 9 ᲒᲕ.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სხვას, ჩემს ოჯახსაც დაერია და ქონება წამართვა.

— და წართმეული ქონება „ოცნებამ“ რატომ არ დაგიბრუნათ?

— ვერ დამიბრუნებს იმიტომ, რომ დაახლოებით, ნახევარი მილიონის ქონება წინა ხელისუფლებამ, აუქციონის წესით, გაყიდა, „ცენტრ პოინტმა“ იყიდა და ახლა, ვის ვედავო? — ფული ბიუჯეტს წავართვა?

— ანუ, „ნაციონალებმა“ სამშენებლო კომპანია წაგართვეს?

— არა, ინსტიტუტის ერთ-ერთი შენობა, რომელშიც დაახლოებით, ნახევარი მილიონის ინვესტიცია მქონდა ჩადებული...

— სამართლიანობის აღდგენა პირობითი მცნებაა...

— რა თქმა უნდა...

— თვალშისაცემია, რომ ეს „პირობითობა“ მხოლოდ ხალვაშზე ვრცელდება, არადა, კონკრეტული მაგალითები ვიცი, როცა ადამიანებმა წართმეულ ქონებაზე მთავარ პროკურატურას ჯერ კიდევ სამი წლის წინ მიმართეს, მაგრამ საქმის მოკვლევაც კი არ დაწყებულა...

— მეც სწორედ მაგას ვწუხვარ. ჩვენ ერთ პოზიციაზე ვართ — ჩვენი პროკურატურა, ალალად ვამბობ, წინ კუს ნაბიჯებით მიდის, ამაზე ვწუხვარ და ამის შესახებ უმრავლესობის სხდომაზეც ვიტყვი...

— ესე იგი, „ოცნების“ ხელისუფლების უკმაყოფილო ხართ?

— არა! აქ პროკურატურაზეა ლაპარაკი. ისე, უფრო მეტს ვითხოვ, რადგან შეგვეძლო, ხალხისთვის მეტი დაგვენახებინა და მეტი შედეგი მიგვეღო, მაგრამ ეს, ჯერ ერთი, არაფრისმთქმელი კოჰაბიტაციის შედეგია, რომელშიც ჩემს თავსაც ვადანაშაულებ — მეტი უნდა მეყვირა...

— რა ამის პასუხია და, ძალიან ლამაზი ფერის ჰალსტუხი გიკეთიათ, ომარ ბატონო!

— მაჩუქეს.

— ქრთამია?

— არა, კაცო, შვილის მეგობარმა დაბადების დღეზე მაჩუქა...

— როგორც პარლამენტარი, ბევრ საჩუქარს იღებთ?

— ვინ გაძლევს?.. საჩუქარი კი არა, პარლამენტში ორი კვირის დაგვიანებით შემოვედი და ნახევარი თვის ხელფასი იმდენი იყო, ვიფიქრე, აშენდა ომარ ნიშნიანიძე-მეთქი. მერე კი, ერთი თვის ხელფასი უფრო ნაკლები მომცეს...

— პირველ, ნახევარი თვის ჯამაგირს, ალბათ, პრემია ჰქონდა დამატებული...

— პრემია „ნაცმოძრაობის“ საპიარო თემაა, თორემ ერთი თეთრი პრემია არ აგვიღია და ამაზე პრეტენზიაც არ გამომითქვამს...

— რა ვიცი, გუგული მაღრაძე გარემოვაჭრეებს ანამუსებს, თქვენზე ბევრს ვმუშაობ და, დიახაც, მეტი ანაზღაურება მეკუთვნისო... ამ განცხადების ფონზე, არ გრცხვენიათ, რომ ის თქვენი თანაფრაქციელია?

— ყველას თავისი აზრი აქვს... მოდით, ასე შევხედოთ: იგივე „ნაცმოძრაობის“ მოსვლის პირველ პერიოდში, ხელფასებმა ძალიან აიწია, რაშიც მონაწილეობა ბიძინა ივანიშვილმაც მიიღო, ანუ როცა ადამიანს ქერის ორმოში აგდებ, თვალი რაღაცისკენ აღარ უნდა გაექცეს...

— ბატონო ომარ, სხვა რამ გკითხეთ: გუგული მაღრაძემ გარემოვაჭრე ქალბატონები რომ დაამუნათა, თავი უხერხულად არ იგრძენით?

— ვერ შევაფასებ, ჩემი კოლეგაა და ძალიან უხერხული გამოვა... პირად საუბარში ვეტყვი და მითქვამს კიდეც, მაგრამ ეს გამოსატანი თემა არაა...

— კარგი... „ოცნებაში“ როგორ მოხვდით?

— 2004 წლიდან, ერთი საპროტესტო აქცია არ ჩატარებულა, რომელშიც მონაწილეობა არ მიმეღო. 2012 წლამდე სტუდენტები მეუბნებოდნენ, დაგიჭერენო — ლექციაზე ხუთ წუთს ვიტოვებდი, რომ ჩემი აზრი გამომეთქვა და სტუდენტებისთვის კრიტიკული აზროვნება მესწავლებინა. იცით, უნივერსიტეტის დანიშნულება რა არის? — არა ის, რომ ანი და ბანი ასწავლო, არამედ, სტუდენტს კრიტიკული აზროვნება განუვითარო და სულ ამას ჩაჩიჩინებ...

— სხვათა შორის, ჩემს სტუდენტებსაც ამას ვეუბნები და მედიის დანიშნულებაც სწორედ კრიტიკაა...

— აბა, რა, მაგრამ გული მწყდება, რომ ჟურნალისტთა დიდი პროცენტი გაყიდულია.

— ეს თქვენი ეჭვია და, ასე, შემიძლია, მეც ვიეჭვო, რომ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი გაყიდულია... ბიძინა ივანიშვილი ვინ გაგაცნოთ?

— არ ვიცი, ამის უკან ვინ იდგა, მაგრამ როცა საქმე თერჯოლაზე მიდგა, დეპუტატობის ერთ-ერთ კანდიდატად, როგორც ჩანს, მე მომიაზრეს, რადგან მაშინაც „ანტინაცი“ ვიყავი... სხვათა შორის, გასაუბრება ირაკლი ალასანიასა და სოზარ სუბართან გავიარე...

— „ოცნება“ მართლა უნიათოა?

— ჩვენი უნიათობა იმაში გამოიხატება, რომ სარზე არ ჩამოვაცვით...

— ვაიმე, დედა!

— ფიგურალურად ვამბობ, მართლაც, სარზე ხომ არ ჩამოვაცვამთ...

— ბოლო დღეებია, „ნაცების“ ოფისებს არბევენ. ამართლებთ?

— არა, მაგრამ ჩვენი უნიათობა იმაში გამოიხატა, რომ კოჰაბიტაციას შევრჩით და ყოფილი რეჟიმი არ გავასამართლეთ. დანაშაულისთვის, ჩვენც რომ არ წაგვცდეს, ხელი უნდა მივაჭრათ, ვინც თუნდაც ის ჩაიდინა, კადრებზე რომაა ასახული. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ამას გავაკეთებდი, თუმცა ძალიან ლიბერალი ვარ და ფეხს ჭიანჭველასაც არ დავაბიჯებ.

— როგორ ფიქრობთ, თქვენზე ფარული ჩანაწერები არსებობს?

— რა უნდა ჰქონდეთ? ვთქვათ, ის, რომ სუფრა და მეგობრები მიყვარს...

— რა ვიცი, ეგებ, იბიარდზეც ხართ ნამყოფი?

— (იცინის) არა...

— რიგითი ამომრჩეველი რომ იყოთ, 2016 წელს ხმას „ოცნებას“ მისცემდით?

— რა თქმა უნდა, რადგან ძალიან ბევრი გავაკეთეთ.

— მაგალითად?

— ჯანდაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროები...

— „ოცნებაში“ ყველაზე ძალიან ვინ არ მოგწონთ?

— პიროვნულად?

— წარმოიდგინეთ, სკოლაში ვართ და დაფაზე — „ვინ გვარცხვენს“ ფოტოები უნდა გაკრათ. მე თუ მკითხავთ, ამ დაფაზე ადგილს მხოლოდ ზემოხსენებულ ქალბატონს კი არა, თოფაძე-ტყემალაძესაც მივუჩენდი. თქვენ, ბატონო ომარ?

— (იღიმება) მოდით, ასე ვთქვათ: უკვე ადამიანების ღირსებას ვეხებით... სხვათა შორის, გოგი თოფაძე ძალიან აქტიურია, თუ არ ვიგულისხმებთ რუსეთთან დაკავშირებით...

— სწორედ ეს უნდა ვიგულისხმოთ...

— ვანო, იცით, რა არის? — ბოლო შეკრებაზეც ვთქვი, ბოლოს და ბოლოს, იქამდე მივალთ, რომ ერთი იდეური მრწამსის ადამიანები გაერთიანდებიან და ქვეყანას ისე ააშენებენ-მეთქი. დღეს ჩვენ გარკვეული კონგლომერატი ვართ, ზოგი, შეიძლება ითქვას, ალთასაა, ზოგი — ბალთას, მაგრამ ყველა გულწრფელია — ქვეყნის აშენება გვსურს. ასეა თუ ისე, მაინც წინ მივდივართ. ყოველ შემთხვევაში, იმას არ ჩავდივართ, რასაც წინა ხელისუფლება ჩადიოდა.

— რას ჩადიოდა?

— მაგალითად, თავისი რეფორმებით, საყოველთაო გაუნათლებლობას ნერგავდა, თუნდაც ლომაიას გაგახსენებთ...

— არ დაგავიწყდეთ, განათლების მოქმედი მინისტრი ბუღალტერია...

— იმას მაინც არ აკეთებს, რასაც ის აკეთებდა. ჩვენ გვინდა, რომ უცბად სამოთხეში გადავხტეთ, მაგრამ კოსმოსში ვერ ავფრინდებით და წინ თითო-თითო ნაბიჯით წავიწევთ. ნიკო ნიკოლაძე ამბობდა, მეთანდათანე კაცი ვარო. ვიცი, რა წინააღმდეგობებიც გვხვდება, მაგრამ ისიც მწამს, რომ წინ თანდათან წავალთ.

— ანუ, მეოთხე საუკეთესო წლის გჯერათ?

— შეიძლება, საუკეთესოც იყოს, ვნახოთ. წლევანდელი რომ შარშანდელს აჯობებს, ამის ნამდვილად მწამს.

— წლევანდელი წელი შარშანდელს რითი ჯობია? — ჩემი ჯამაგირი არ შეცვლილა, ცხოვრება კი გაძვირდა!

— ვანო, განათლებული ჟურნალისტი ხართ და ფაქტორები არ იცით, რამაც განაპირობა? 80 პროცენტი საგარეო ფაქტორია თუ არა? — რა ხდება ლირას, მანათის, რუბლის, კრონას მიმართ...

— ბატონო ომარ, ხომ იცით, ვერ „დამაბოლებთ“...

— არც ვცდილობ, მაგრამ უდიდესი საგარეო ფაქტორია, თუმცა საშინაო ფაქტორებიცაა, რაც ჩვენს თავზეც უნდა ავიღოთ და რაშიც რაღაც წვლილი ეროვნულ ბანკსაც მიუძღვის...

— „ოცნება“ ისტორიაში როგორ შევა?

— როგორ და, — სხვას რომ თავი დავანებოთ, საქართველოსთვის ძალიან უკეთური ძალის გასტუმრების ინიციატორი და ქვეყანაში დიდი თავისუფლების დამკვიდრებელი. თუნდაც ის, რასაც გვარამია, ბედავს რაც მედიასივრცეშია, თავისუფლებაა. მაშინ ამის ნახევარსაც ვერ გავბედავდი.

— სამაგიეროდ, „ქართული სიტყვა“ და სხვა მედიასაშუალებები ბედავდნენ... მართალია, თინა ხიდაშელმა თქვა, კვერცხის სროლა დემოკრატიაა, მაგრამ ბოლო დღეებია, „ნაცების“ ოფისებს არბევენ...

— ჩემო კარგო, დათო ლორთქიფანიძესაც ხომ შემოახიეს პარლამენტთან პიჯაკი?!

— კი ბატონო, მაგრამ მათ, ვინც ლორთქიფანიძეს პიჯაკი შემოახიეს, როგორც ვიცი, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს, „ნაცების“ დამრბევები კი, არავის დაუსჯია...

— მოდით, ეს კანონს დავუტოვოთ...

— პრეზიდენტისა არ იყოს, სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნებს თქვენც ხედავთ?

— ამას ჩვენ კი არა, „ნაცმოძრაობა“ აკეთებს, ჩემო კარგო, და ამიტომ უნდა აილაგმოს!

— პარტიის ალაგმვა-აკრძალვა როგორ წარმოგიდგენიათ?

— ჩემო ვანო, მოდით, ასე ვთქვათ: თუკი ყველაფერს ძირის-ძირობამდე გამოვიძიებთ და შემკვეთები პარტიის ლიდერები გამოვლენ, ამ შემთხვევაში, საქმე სისტემურ დანაშაულთან გვექნება.

— მაგალითად, ზურაბ ადეიშვილი „ნაცმოძრაობის“ წევრი ოფიციალურად არ ყოფილა...

— ადეიშვილს შეიძლება, პარტიის მანდატი არ ჰქონდა, მაგრამ ლიდერი თუ არა, აბა, ვინ იყო?

— ბატონო ომარ, „ფეისბუქზე“ შვილიშვილების ფოტოსურათებს ხშირად „დებთ“. როცა გაიზრდებიან, რამე ხინჯი ხომ არ ექნებათ, რომ მათი ბაბუა „ოცნებელი“ იყო?

— არავითარი! პირიქით, იამაყენებენ, რომ ომარ ნიშნიანიძე „ქართულ ოცნებაში“ იყო. ჩემთვის საამაყო ისაა, რასაც ვაკეთებ და არა — ნუგზარ წიკლაურის, აკო მინაშვილისა და ჩიორა თაქთაქიშვილის, პირდაპირ ვიტყვი, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. ჩვენ შუალედური რგოლი ვართ და ძალიან ცუდიდან კარგისკენ უზარმაზარი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ კარგამდე ვერ მივედით, თუმცა ჩვენს შემდეგ მოვა თაობა და პოლიტიკური ძალა, რომელიც უფრო დიდ ნაბიჯებს გადადგამს. ისე, დამნახავი დაინახავს, რომ ცოტა არც ჩვენ გაგვიკეთებია...

— 100 ქარხანა ააშენეთ?

— მეტია, წაგიყვანთ და გაჩვენებთ.

— როდის წავიდეთ?

— ერთი კვირის შემდეგ, როგორც კი სასესიო კვირას მოვილევ, დავჯდეთ მანქანაში და ას საწარმოს გაჩვენებთ, მაგრამ ერთიც დაიმახსოვრეთ: ჩვენ დღევანდელ კვერცხზე არ ვართ გათვლილი და საფუძველს სამომავლო საქართველოს ვუყრით!

— პენსიონერი რომ იყოთ და პენსია 10 ლარით გაგზრდდათ, კმაყოფილი იქნებოდით?

— პენსია რაც შეიძლება, მაღალი უნდა იყოს და, ალბათ, იქნება, მაგრამ იგივე პენსიონერებს, თუნდაც საყოველთაო ჯანდაცვის თვალსაზრისით, ბევრი გავუკეთეთ, ესეც აწონეთ და მერე თქვით, პენსიონერის შემოსავალმა ათი ლარით მოიმატა თუ რამდენით?! ხომ ვიცით, რომ ადრე პენსიონერები მოძულებული ჰყავდათ და ზოგი ახლაც იძახის, დაანებეთ თავი, დაიხოცონ, რაც უნდათ, ის ქნანო.

— ...ბატონო ომარ, ნერვიულობთ?

— არა, რა შემატყვეთ?

— რა ვიცი, ხელში რაღაც ფურცელს ათამაშებთ...

— (იცინის) არ ვნერვიულობ, მით უმეტეს, ახლა...

— მოკლედ, ვთქვათ, გამოძიებამ დაადგინა, რომ ხელისუფლებიდან ვიღაცები ნიკა გვარამიას კონკრეტული ურთიერთობის კადრებით მართლა აშანტაჟებდა, „რუსთავი 2“-ის გვერდით დადგებით?

— იმ ადამიანების სასტიკად დასჯას მოვითხოვ, ვინც ამას აკეთებდნენ, მაგრამ „რუსთავი 2“-ის გვერდით არასოდეს დავდგები! სხვათა შორის, ამ ტელევიზიის მაყურებელიც არ ვარ.

— მე, როგორც ჟურნალისტი, თქვენს, როგორც დეპუტატის, სულიერ სიმშვიდეზე უნდა ვზრუნავდე?

— ალბათ, კი.

— რატომ, მოძღვარი ვარ?

— (იცინის) ყველა ადამიანი ღვთისაგანაა ნაშობი და, მიმაჩნია, რომ ერთმანეთს ნერვებს კი არ უნდა უშლიდნენ, არამედ, აკრიტიკებდნენ.

— ესე იგი, უხერხული შეკითხვები არ უნდა დავსვა?

— უნდა დასვათ, მაგრამ არაობიექტური არ უნდა იყოთ.

— არაობიექტურობის რამე შემატყვეთ?

— არა, ძალიან მომეწონეთ, კარგი ხართ...

— ...ოცნებობთ?

— ყოველთვის.

— ოცნებები გიხდებათ?

— იშვიათად...

— პოლიტიკური ოცნებებიც იშვიათად გიხდებათ?

— გარკვეულწილად, უკმარისობის გრძნობა მაქვს და ამას ვაღიარებ კიდეც, მაგრამ იმას, რაც კარგი გავაკეთეთ, ვერ დავივიწყებ და იმედს არ ვკარგავ, რომ ის ოცნებაც შემისრულდება, რაშიც უკმარისობის გრძნობა მაქვს.

— ბატონო ომარ, ხვალ რომ არჩევნები ჩატარდეს, ხელისუფლებაში ვინ მოვა?

— „ქართული ოცნება“. ბოლოს და ბოლოს, იმას, რაც გაგვიკეთებია, ხალხამდე მივიტანთ...

— ისე, მაინც ვერ გავიგე, საგანელიძე რას გერჩოდათ, მაგას უპატრონო ხომ არ ეგონეთ?

— (იღიმება) ალბათ...

— კარტ-ბლანში ვისგან ჰქონდა?

— მგონია, რომ პირადი ინიციატივები იყო და პირველ პირებთან შესხვაფერებული ამბები მიჰქონდა...

ამის მერე, მე და ომარ ნიშნიანიძემ კიდევ სამ-ოთხ წუთს ვისაუბრეთ და სიტყვა პიარზეც ჩამოვაგდეთ. თქვენისთანა „პიარშჩიკს“ ვისურვებდიო, — გამომიტყდა. გამეცინა, ზოგი ზემოთ, ყანდიაშვილებს ჰკითხეთ-მეთქი.

ომარ ნიშნიანიძე: — სხვათა შორის, ერთხელ, ყანდიაშვილი კინაღამ შემომელახა.

— იცოდეთ, ამას დავწერ!

— დაწერეთ! ბატონ ბიძინასთან ვიყავით შეხვედრაზე, ავდექი და იმაზე დავიწყე ლაპარაკი, რომ თანამედროვე პოლიტიკა პიარის გარეშე ნოლია. ამან წამოიკნავლა, რა ვქნათ, ტელევიზია არ გვაქვსო და ბატონმა ბიძინამ იფეთქა, ტელევიზია არ გაქვთ, მაგრამ ტელევიზია ხომ არსებობს და რას აკეთებთო.

— ...ომარ ბატონო, მიშა რომ დაგესიზმროთ, რას იზამთ?

— ფუი, ეშმაკს! სხვათა შორის, ამას წინათ, დამესიზმრა, „ნაცმოძრაობის“ ვიღაცები დამესივნენ. ფეხი რომ გავიქნიე, საძინებელში კარი ღია ყოფილა და კინაღამ ჩამოვაგდე...

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

№ 42 (306)
28 X- 3 XI
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პოზიცია

ვალერი გელბახიანი ამბობს, რომ დღეს სიმართლის თქმისთვის „ნაციონალის“ იარლიყს აკერებენ და ამიტომ, ქართული ანდაზის არ იყოს, „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს“... ვინ არის საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყნის პირველი პირი — კონსტიტუციის გარანტი თუ „ნაციონალების“ ინტერესების ფარული გამტარებელი, გამოაცხადებს თუ არა გიორგი მარგველაშვილი ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობას, რატომაა „რუსთავი 2“-ის საქმე პოლიტიზირებული. ვინ არის ალექსი (ალეკო) ახვლედიანი, ვისი დავალებით აშანტაჟებდა ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს და რამდენი „თეთრსაყელოიანი“ დამნაშავე გვყავს ხელისუფლებაში? — ამ და სხვა საკითხებზე „ქართული სიტყვა“ ვალერი გელბახიანს ესაუბრა.



ვალერი გელბახიანი: „ხელისუფლება „ნაციონალების“ პროვოკაციას წამოეგო!“

„თუ სიმართლე თქვი, ე.ი. „ნაციონალი“ ხარ!“

„ქიბარ ხალვაში რას კარგავს? — კომერსანტი კაცია, ორივე მხრიდან ფულს შოულობს, თუ წააგებს, „ნაციონალები“ გადაუხდიან, თუ მოიგებს — „ოცნება“. მას ფული აინტერესებს და არა — პოლიტიკა“.

— ბატონო ვალერი, ბოლო დღეებში „ნაციონალურ მოძრაობასა“ და ხელისუფლებას შორის დაპირისპირების ახალი ტალღა აგორდა. პარალელურად, „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე ამბები კულმინაციას აღწევს და მესვეურები ამტკიცებენ, რომ ტელეკომპანია იხურება. როგორც იურისტი იზიარებთ მოსაზრებას, რომ ქიბარ ხალვაში, როგორც ერთ დროს ტელევიზიის მფლობელი, წილის დაბრუნებას ითხოვს და მეტი არაფერი ხდება?

— როგორც ჩანს, საფუძველი არსებობს, ტელეკომპანიის თემა პოლიტიზირებული გახდეს. „რუსთავი 2“ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური დაკვეთების ჩარჩოებშია მოქცეული და მის მიმართ განვითარებული პროცესები როგორი ობიექტურიც უნდა იყოს, მაინც სუბიექტურ ჭრილში იქნება განხილული.

— სამართლებრივად, „რუსთავი 2“-ს აქვს უფლება, ასეთი იყოს?

— მე, როგორც მოქალაქეს და პიროვნებას, არ მინდა, რომელიმე პარტიას ტელეარხზე მონოპოლია ჰქონდეს — ასეთი უპირატესობა ანადგურებს თავისუფალ, კონკურენტულ გარემოს, კლავს თანასწორობის პრინციპს, საფრთხეს უქმნის დანარჩენ მედიასაშუალებებს და ვერ უზრუნველყოფს დემოკრატიულ არჩევნებს. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია და ტელეეკრანს მიჯაჭვულ უსაქმურ ხალხზე გავლენის მოხდენის ბერკეტები არსებობს. თანამედროვე ციფრული ტელევიზია ყველგან აღწევს, არაობიექტური და პარტიული ტელევიზიის ხმა ელექტორატს ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში წვდება. ეს იმ სარედაქციო ჯგუფსაც აზიანებს, რომელიც „რუსთავი 2“-ში მუშაობს. მიუხედავად ამისა, რეალობა ასეთია: აშშ-ს, დასავლეთის ავტორიტეტული სტრუქტურების, მათ შორის, ეუთო-სა და ევროკავშირის წარმომადგენლები ერთხმად აცხადებენ, რომ საკითხი პოლიტიზირებულია.

— თქვენი აზრით, ეს განცხადებები რას ეყრდნობა?

— გავიხსენოთ: საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენა იყო. ბუნებრივია, ეს პროცესი შეჩერდა ან, სულაც, არ დაწყებულა. პროკურატურაში შეტანილ ათასობით მოქალაქეს საქმის, ხანდაზმულობის გამო, განხილვაზე უარი ეთქვა.

— ამბობენ, რომ მთავარ პროკურატურაში, ქონების დაბრუნების მოთხოვნით, 20 ათასი განცხადებაა შესული და დავიჯერო, ყველა მომჩივანი ერთი და იგივე ტექსტით გაისტუმრეს?

— დიახ, ყველას უარი ერთი და იგივე ტექსტით ეთქვა, საქმე ხანდაზმულიაო და უცებ, ქიბარ ხალვაშის წინაშე ყველა კარი იღება და მის სარჩელს სასამართლო სასწრაფო წესით განიხილავს. რატომ ხალვაშის განცხადება და დანარჩენის — არა? არადა, როგორც იურისტს, რამდენიმე მაგალითის მოყვანა შემიძლია: კერძო მფლობელს წაართვეს და არ დაუბრუნეს თბილისის აბანოები; ბათუმში, ბიზნესმენ ოთარ მახარაძეს სასტუმროს შენობა წაართვეს და არ დაუბრუნეს; ქუთაისში, შალიკიანების 40 მილიონ დოლარად შეფასებული ქონება პატრონს არ დაბრუნებია. ყველა ინსტანციის სასამართლოში მათ ეუბნებოდნენ, სარჩელის მიღების უფლება არ გვაქვსო.

— ქონებაწართმეულებს სარჩელის მიღებაზე უარს რა საკანონმდებლო და იურიდიული საფუძველით ეუბნებიან?

— წინასაარჩევნოდ, დაზარალებულებს ჰპირდებოდნენ, რომ ხელისუფლება კანონში ცვლილებებს შეიტანდა, მაგრამ მერე, დაითვალეს და აღმოჩნდა, რომ თუკი წართმეული ქონების დაბრუნების საკითხს საკანონმდებლო სივრცეს გაუხსნიდნენ, სახელმწიფოს დაზარალებული მოქალაქეებისთვის 8 მილიარდი ლარის გადახდა მოუწევდა, რაც არ აწყობდათ. ასე დაიკეტა სამართლის კარი ყველასთვის და უცებ ხალვაშისთვის გაიღო.

— დაზარალებულები, როგორც წესი, ამბობენ, რომ „ნაცმოძრაობის“ დროს, „შეწირულ თანხას“ სპეციალურ ანგარიშებზე რიცხავდნენ. წართმეული ქონება ნამდვილად სახელმწიფოს ხელშია? მაგალითად, ოთარ მახარაძის სასტუმრო დღეს ვის ეკუთვნის?

— უძრავი ქონება, რომელიც სახელმწიფოს ჩაბარდა, რეესტრშია გატარებული და ყველას შეუძლია, გადაამოწმოს — ოთარ მახარაძის სასტუმრო დღეს საქართველოს შსს-ს ბალანსზეა და იქ გენერალიტეტი ისვენებს ხოლმე. პატრონს მიაჩნია, რომ სასტუმრო მისია, მაგრამ შიგ ცხვირსაც ვერ შეყოფს, მაშინვე დაცვა დააკავებს. მაინცდამაინც ქიბარ ხალვაში უნდა იყო, რომ ქონება დაიბრუნო?

— და ვინ არის ქიბარ ხალვაში?

— ქიბარ ხალვაში „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ შექმნილი ბიზნესმენია, რომელმაც ყველა მსხვილი ტენდერი მოიგო, მისი ფირმების მეშვეობით და სახელმწიფო ფულით ააშენეს ყველა ციხე, სხვა უამრავი პროექტი განახორციელეს. ყველაფერ ამით ქიბარმა უზარმაზარი კაპიტალი დააგროვა. გამდიდრებულ ხალვაშს ეროსი კიწმარიშვილისგან მიზერულ ფასად, რაღაც კაპიკებში, „რუსთავი 2“ აყიდვინეს. ტელევიზიის არაფორმალური მფლობელი ტელევიზიაში ერთხელაც არ იყო ნამყოფი, არც ამ ბიზნესს იცნობდა. როცა ირაკლი ოქრუაშვილსა და „ნაციონალებს“ შორის შავმა კატამ გაირბინა, მისი გუნდის წევრები თავიდან მოიშორეს, პოლიტიკასაც ჩამოაშორეს და ეკონომიკასაც, მათ შორის, ქიბარ ხალვაშიც. ახლა, ეტყობა, ხალვაში ვიღაცასთან გარიგებაში შედის. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა, 2006 წელს წართმეული ქონების დაბრუნების პროცესი 9 წლის მერე, მაშინ დაწყებულიყო, როცა ყველაფერში ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა არსებობს, მათ შორის, ამ თემაშიც?! პროცესები ხელოვნურად დაჩქარებულია, ისე, რომ სამართლიანობის საფუძველი არ არსებობს. შეიხედეთ საქალაქო სასამართლოში, დააკვირდით განხილვების გრაფიკს — ექვს თვეზე ადრე სამოქალაქო დავები არ განიხილება. ჩემი ბრალდების საქმე 2013 წლის თებერვალშია გადაგზავნილი სასამართლოში, სამი წელი გადის და თბილისის საქალაქო სასამართლო ვალერი გელბახიანის პოლიტიკურ საქმეს ხელს არ კიდებს, ქიბარ ხალვაშის ქონებრივი დავის პროცესს კი, აჩქარებს.

— რატომ?

— ვალერი გელბახიანზე დაუკვეთეს, რომ არ განიხილონ და ქიბარ ხალვაშზე დაუკვეთეს, დაუყოვნებლივ განიხილეთო. ორივე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

ისე, აქციები რომ არა, „რუსთავი 2“-ის პროცესი მომენტალურად დამთავრდებოდა. აცხადებდნენ, რომ დაუყოვნებლივ აღსრულებაში გადაეცემოდა. აქაც შეკითხვა მაქვს: რატომ არ აძლევდნენ კასაციის საშუალებას? რატომ უზღუდავენ უფლებას წაგებულ მხარეს — ტელეკომპანია იქნება თუ ქიბარ ხალვაში? მთავრობა ამბობს, ხელი დამიბანიაო. რაღაც ფარული ინტერესები და გარემოებებია, რის გამოც დაუყოვნებლივ აღსრულება საჭირო ხდება.

— მაინც, რა გარემოებებია?

— ეს გარემოება კარს მომდგარი 2016 წლის არჩევნებია — წინასაარჩევნოდ ხელისუფლებას სურს, ტელეკომპანია ერთ ჯგუფს ჩამოართვას და მეორეს გადასცეს. რატომ მოკვდა თავის დროზე „იმედი“, როგორც ტელევიზია?! იგივე ხდება „მაესტროზე“. დავიჯერო, ახლა, სხვადასხვა ქვეყნებში მყოფმა ტელებიზნესის მფლობელებმა ერთდროულად გადაწყვიტეს მათი დაბრუნება? აი, ასეთი ეჭვები და მოსაზრებები გახდა საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ეს ჩვეულებრივი სასამართლო პროცესი კი არა, პოლიტიკური სასამართლოა. ვინც ეს მთავრობას ურჩია, არ იცის, რომ მედიასთან ბრძოლა ცუდად დამთავრდება!

— გავიხსენოთ, თუ როგორ იხურებოდა რუსეთის ტელეარხები, მაგალითად, „ენ-ტე-ვე“...

— რაღა რუსეთს იხსენებთ, განა, „იმედის“ პრაქტიკა ნაკლებად რეზონანსული იყო? — ამის გამო პრეზიდენტი იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

— 2001 წელს, მაშინდელი პრემიერის, ზურაბ ჟვანიასა და შს მინისტრ კახა თარგამაძის გადადგომის საბაბიც „რუსთავი 2“-ში უშიშროების შესვლა გახდა...

— აგაშენათ ღმერთმა! — ყველაფერი ეს კარგად გვახსოვს და ვიცით, რომ ტელევიზიებზე შეტევას სამთავრობო ცვლილებები მოსდევს. ამიტომაც, ხელისუფლება დღესაც ვერ დაამტკიცებს, რომ „რუსთავი 2“-თან მიღებული ქონებრივი დავის გადაწყვეტილება პოლიტიკური არაა და ვერც ამით გამოწვეულ პასუხისმგებლობას აიცილებს. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ხელისუფლება „ნაციონალების“ პროვოკაციას

„ქიბარ ხალვაში „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ შექმნილი ბიზნესმენია, რომელმაც ყველა მსხვილი ტენდერი მოიგო, მისი ფირმების მეშვეობითა და სახელმწიფო ფულით ააშენეს ყველა ციხე, სხვა უამრავი პროექტი განახორციელეს. ყველაფერ ამით ქიბარმა უზარმაზარი კაპიტალი დააგროვა. გამდიდრებულ ხალვაშს ეროსი კიწმარიშვილისგან მიზერულ ფასად, რაღაც კაპიკებში, „რუსთავი 2“ აყიდვინეს. ტელევიზიის არაფორმალური მფლობელი ტელევიზიაში ერთხელაც არ იყო ნამყოფი, არც ამ ბიზნესს იცნობდა. როცა ირაკლი ოქრუაშვილსა და „ნაციონალებს“ შორის შავმა კატამ გაირბინა, მისი გუნდის წევრები თავიდან მოიშორეს, პოლიტიკასაც ჩამოაშორეს და ეკონომიკასაც, მათ შორის, ქიბარ ხალვაშიც. ახლა, ეტყობა, ხალვაში ვიღაცასთან გარიგებაში შედის. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა, 2006 წელს წართმეული ქონების დაბრუნების პროცესი 9 წლის მერე, მაშინ დაწყებულიყო, როცა ყველაფერში ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა არსებობს, მათ შორის, ამ თემაშიც?! პროცესები ხელოვნურად დაჩქარებულია, ისე, რომ სამართლიანობის საფუძველი არ არსებობს. შეიხედეთ საქალაქო სასამართლოში, დააკვირდით განხილვების გრაფიკს — ექვს თვეზე ადრე სამოქალაქო დავები არ განიხილება. ჩემი ბრალდების საქმე 2013 წლის თებერვალშია გადაგზავნილი სასამართლოში, სამი წელი გადის და თბილისის საქალაქო სასამართლო ვალერი გელბახიანის პოლიტიკურ საქმეს ხელს არ კიდებს, ქიბარ ხალვაშის ქონებრივი დავის პროცესს კი, აჩქარებს“.

გაგრძელება მე- 11 გვ.

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲛᲔ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

„თუ სახელმწიფო გადატრიალებას არაკონსტიტუციური გზით აპირებენ, ამაზე მტკიცებულება უნდა არსებობდეს, მაგრამ მოსაზრება და მისი გამოთქმა დანაშაულად არ ითვლება. ხვალ რომ გამოვიდე და ვთქვა, თუ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს დაარბევენ, ხალხი ქუჩაში გამოვა და ქვეყანაში არეულობა მოხდება-მეთქი, ყველა დამეთანხმება, რომ აქ კრიმინალი არაა. „სახელმწიფო გადატრიალება“ – ასეთი ფორმულირება ჰქონდა ჩემი და ბადრი პატარკაციშვილის შეხვედრასაც. ჩემთვის და ბადრისთვის საბედისწერო გახდა ფარულად ჩაწერილი საუბარი, სადაც ერეკლე კოდუას ვეუბნებოდი, თუ თქვენ არჩევნებს გააყალბებთ, ქუჩაში გამოვალთ-მეთქი. მე, როგორც მოქალაქეს, კონსტიტუციურ ჩარჩოებში ჩასმული პროტესტის გამოთქმის უფლება მაქვს, თუ ამ უფლებას დანაშაულს დაარქმევ, მაშინ ეს ერი და მისი ხელისუფლება ავადაა! ჯობია, ხელისუფლებამ პოლიტიკური კუდიანების დევნას თავი დაანებოს და არჩევნები ხალხის სახელით მოიგოს“.

წამოეგო.

– ბატონო ვალერი, ქიბარ ხალვაშიც პროვოკაციას წამოეგო?

– ქიბარ ხალვაში რას კარგავს? – კომერსანტი კაცია, ორივე მხრიდან ფულს შოულობს, თუ წააგებს, ,,ნაციონალები“ გადაუხდიან, თუ მოიგებს – ,,ოცნება“. მას ფული აინტერესებს და არა – პოლიტიკა.

– ,,რუსთავი 2“-ის საქმეს დამამძიმებელი გარემოებებიც ახლავს – გენერალურმა დირექტორმა, ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ ხელისუფლება ფარულად გადაღებული კადრებით აშანტაჟებს და ოჯახის აწიოკებით ემუქრება...

– გვარამიას განცხადებები სარწმუნოდ მეჩვენება, ამ მდგომარეობაში ტყუილს ვერ იტყვის, მაგრამ დაავიწყდა, რომ თავად იყო ამ ბინძური სისტემის შემქმნელი. გენერალური პროკურორის მოადგილის რანგში სწორედ მან შეთითხნა ბრალდება ჩემზე და ბადრი პატარკაციშვილზე, დაამონტაჟა და გაასაჯაროვა ჩვენი ფალსიფიცირებული საუბრები. სასჯელი მარტო ამისათვის ეკუთვნოდა, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, საქმე ადგილიდან არ დაძრულა. გვარამიას უსამართლობა, რასაც სხვას უკეთებდა, ახლა ძვლად ამოუვიდა, მაგრამ მისი დასჯა ვინმეს რომ სჭირდებოდეს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მხოლოდ ჩემი საქმის გამო მიეცემა, გამზადებული საქმეა, მაგრამ ჩემი და ბადრის გამართლება არც დღევანდელ ხელისუფლებას აწყობს. ეს კონიუნქტურული თამაშებია. გვარამიას მიმართ განხორციელებული პროვოკაცია ,,ნაციონალების“ ნაცადი ხერხია და ხალხი არ იჯერებს.

კადრების ,,კომპრომატების ომიც“ ცნობილი თემაა, რომლის ავტორი ყველაფრის მკადრებელი ,,ნაციონალური მოძრაობაა“, მაგრამ ხომ შეიძლება, ამის ჩვენება მოსახლეობამ ძალადობის პროპაგანდად აღიქვას?

– პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლას გულისხმობთ?

– დიახ, მიმაჩნია, რომ ამ გამოსვლას შეიძლება, ძალადობის მხარდამჭერი მოწოდება ეწოდოს.

– ბატონო ვალერი, პრემიერის გამოსვლა ასე გავიგე, რომ ,,ნაციონალურ მოძრაობას“ ანგარიში ხალხმა უნდა გაუსწოროს...

– კაცობრიობის ისტორიაში, ლინჩის წესით გასამართლება შუა საუკუნეებში იყო პოპულარული. ახლა, 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და პრეტენზია გვაქვს დემოკრატიასა და ცივილიზაციაზე. თავისი გამოსვლით, პრემიერმა დაადასტურა, რომ ,,ნაციონალების“ ოფისებზე საღებავები მან შეასხა; კარიც აჭედა; ადამიანთა შეურაცხყოფისა და წამების დახურული კონფიდენციალური მასალები საჯარო გახადა, რაც კანონსაწინააღმდეგოა. ,,ნაციონალებმა“ ის მაინც იცოდნენ, რას აკეთებდნენ, ამათ კი, არ იციან, რას ჩადიან. მათ შორის განსხვავება ესაა.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ თუ სიმართლე თქვი, ე.ი. ,,ნაციონალი“ ხარ.

– გვარამიაც რამე გარიგებაში ხომ არ მონაწილეობს?

– გვარამიას ისტერიკა უფრო თავდაცვის მექანიზმი მგონია, მაგრამ რამდენადაა დასაცავი ნიკა გვარამია, ეს კიდევ საკითხავია. ჯერ თავის დანაშაულებზე აგოს პასუხი და მერე მოაწყოს მიტინგები და მორალი გვიკითხოს. მისი პიროვნების კი არა, ზოგადად, ადამიანის დაშანტაჟების, მუქარის წინააღმდეგ გამოვდივარ.

– გვარამიას დანაშაულებს ხანდაზმულობის ვადა არ გასვლია?

– ჩემს მიმართ ნიკა გვარამიას მიერ ჩადენილ დანაშაულს ვადა არ გასვლია, ეს ცოცხალი საქმეა, რომელიც ჯერაც არ განხილულა. სახელმწიფოს ანგრევს შერჩევითი სამართალი და პოლიტიკა. მე-17 საუკუნეში ფრანგმა მონარქმა თქვა, სახელმწიფო, ეს მე ვარო და მას მერე სამყარო სამარცხვინო ბოძზე აკრავს.

– მონარქის სიტყვა იქით იყოს და, ,,ნარუშილოვკები“ ხომ აღმოგვაჩნდა...

– ,,ნარუშილოვკების“ მფლობელი ჩინოვნიკების ნათესაობა პრივილეგირებული არისტოკრატიაა, რომელსაც არც თანამდებობა აქვს, არც – სტატუსი და არც – სამსახური.

– სამაგიეროდ, კანონის დარღვევის უფლება აქვს...

– აშშ იურისპრუდენციაში ასეთი ტერმინი არსებობდა: ,,თეთრსაყელოიანთა დანაშაული“ – საქმე ეხებოდა მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკების მიერ ჩადენილ დანაშაულს, მათ მთელმა ქვეყანამ ომი გამოუცხადა, შექმნეს „რიკოს კანონი“ და დაუნდობლად ასამართლებდნენ სამართალდამრღვევებს.

– ნეტა, ჩვენ რამდენი ,,თეთრსაყელოიანი“ გვყავს?

– ვისაც თანამდებობა აქვს, ყველა ,,თეთრსაყელოიანია“ – სამსახურს ყველა ბოროტად იყენებს.

– ნიკა გვარამიას თქმით, ხელისუფლებამ შუამავლად ალექსი ახვლედიანი მიუგზავნა. ამ უკანასკნელს კი, რამდენადაც ცნობილია, „ნაციონალების“ ხელისუფლებაც სწყალობდა. ახვლედიანს იცნობთ?

– ალეკო ახვლედიანს ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობიდან ვიცნობ. საინტერესო პიროვნებაა, რომელიმე პარტიის თავგადადებულ წევრად არ აღიქმებოდა, მაგრამ ყოველთვის სამთავრობო წრეებში ჩანს და იქ ტრიალებს, სადაც ფულია. ახლაც, ეტყობა, რაღაც ხლართებში გაეხვია.

– ბატონო ვალერი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში 315-ე მუხლის პირველი ნაწილით საქმე აღიძრა, რაც სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად შეთქმულებას, ან ხელისუფლების დამხობას გულისხმობს.

– ..ოცნების“ ხელისუფლება ერთი-ერთში იმეორებს ,,ნაციონალების“ მეთოდებს. მიხეილ სააკაშვილი და გიგა ბოკერია ერთმანეთს სადღაც შეხვდნენ, სად არის აქ დანაშაული? ერთი პარტიის თავმჯდომარეა, მეორე – მისი იდეოლოგი.

– შეხვედრა არაა დანაშაული, მაგრამ თუკი შეთქმულების მოწყობას აპირებენ?

– თუ სახელმწიფო გადატრიალებას არაკონსტიტუციური გზით აპირებენ, ამაზე მტკიცებულება უნდა არსებობდეს, მაგრამ მოსაზრება და მისი გამოთქმა დანაშაულად არ ითვლება. ხვალ რომ გამოვიდე და ვთქვა, თუ ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“-ს დაარბევენ, ხალხი ქუჩაში გამოვა და ქვეყანაში არეულობა მოხდება-მეთქი, ყველა დამეთანხმება, რომ აქ კრიმინალი არაა. „სახელმწიფო გადატრიალება“ – ასეთი ფორმულირება ჰქონდა ჩემი და ბადრი პატარკაციშვილის შეხვედრასაც. ჩემთვის და ბადრისთვის საბედისწერო გახდა ფარულად ჩაწერილი საუბარი, სადაც ერეკლე კოდუას ვეუბნებოდი, თუ თქვენ არჩევნებს გააყალბებთ, ქუჩაში გამოვალთ-მეთქი. მე, როგორც მოქალაქეს, კონსტიტუციურ ჩარჩოებში ჩასმული პროტესტის გამოთქმის უფლება მაქვს, თუ ამ უფლებას დანაშაულს დაარქმევ, მაშინ ეს ერი და მისი ხელისუფლება ავადაა! ჯობია, ხელისუფლებამ პოლიტიკური კუდიანების დევნას თავი დაანებოს და არჩევნები ხალხის სახელით მოიგოს.

– ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ,,რუსთავი 2“ ვიწრო პარტიული ტელევიზიაა, რომლის დასაცავად ტელეკომპანიის ეთერში ,,ნაციონალების“ ხელისუფლების მიერ დარბეული „იმედის“ ჟურნალისტი, გიორგი თარგამაძე და ,,ნაციონალების“ მუდმივი „მტერი“ შალვა ნათელაშვილიც ვიხილეთ. ამაზე რას იტყვით?

– გიორგი თარგამაძე პოლიტიკური სტატუსით არ იყო მიწვეული, რაც შეეხება ნათელაშვილს, ის ბიძინა ივანიშვილს ებრძვის და მისი ინტერესები „რუსთავი 2“-ის ინტერესებს დაემთხვა. ჩვენ შეფასებებს ვაკეთებთ, მაგრამ ტელევიზია ხომ არაპოლიტიკურ პროდუქტსაც ქმნის – იქ ადამიანები მუშაობენ. ,,რუსთავი 2“-ს მოსახლეობის 63% უყურებს, ,,ჯი-დი-ეს“-ს – 1,7%. რატომ უზღუდავს ხელისუფლება მოსახლეობის ამ ნაწილს, მისთვის საინტერესო ტელეარხს უყუროს?

– ბატონო ვალერი, ამ ინტერესს ზოგჯერ იმითაც ხსნიან, რომ „რუსთავი 2“ კარგად დაფინანსებული, მაღალი ტექნიკური აღჭურვილობის ტელევიზიაა, რომელმაც პაირ-ტექნოლოგიები კარგად იცის...

– მერე, ბიძინა ივანიშვილს ფულის მეტი რა აქვს?!

– რაც ჰქონდა, ისიც გააუქმა და ახალ ტელევიზიას დააფინანსებს?

– ადამიანის ბედი არავის აწუხებს, 2012 წლის არჩევნებში ივანიშვილმა შედეგი მიიღო და ტელეარხიც გააუქმა. ,,ოცნებას“ ტელემაყურებელი კი უნდა, მაგრამ ხარჯის გაწევა – არა. მოსვლისთანავე განაცხადეს, ჩვენ პიარი არ გვჭირდებაო. მოსახლეობაში შესაბამის რეიტინგსაც იმკიან.

– ბატონო ვალერი, პრეზიდენტისა და მთავრობის კინკლაობა ქვეყანას, საბოლოოდ, კარგს არაფერს მოუტანს. ამას წინათ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, თამაზ მეჭიაურმა განაცხადა, პრეზიდენტსაც მოვუვლითო. მოსახლეობამ, მგონი, ვერ გაიგო, ვინ არის ქვეყნის პირველი პირი...

– კონსტიტუციაში გასაგებად წერია, რომ ქვეყნის გარეთ პირველი პირი პრეზიდენტია, რომელიც ხელს აწერს ხელშეკრულებებს და ა.შ. ქვეყნის შიგნით ხელისუფლება სამადაა დაყოფილი: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. პრეზიდენტი კონსტიტუციის დაცვის გარანტიაა და უფლება აქვს, მისი დარღვევის, ან დარღვევის საფრთხის შემთხვევაში ყველას მიუთითოს.

– კი ბატონო, მაგრამ საზოგადოების ნაწილი პრეზიდენტ მარგველაშვილს ,,ნაციონალების“ ინტერესების გამტარებელს უწოდებს.

– რა თქმა უნდა, ეს ფორმულაა: ვინც სიმართლეს იტყვის, ყველას ,,ნაციონალებთან“ აიგივებენ.

– ბიძინა ივანიშვილმა „აღიარა“, მარგველაშვილის წარსული რომ მცოდნოდა, პრეზიდენტობის კანდიდატად არ დავასახელებდიო...

– ამ თემის განხილვა არ მინდა, ეს ბატონი ბიძინას პრობლემაა და არა – კონსტიტუციის. ,,რუსთავი 2“-ის საქმეში გაიჭედებიან და მერე სხვას დააბრალებენ. მარგველაშვილი სწორ კონსტრუქციულ სვლებს აკეთებს, ეს ,,ნაცობა“ კი არა, კონსტიტუციის დაცვაა. მთავრობის მხრიდან მისი ინიციატივების უგულებელყოფა არანორმალურია, სახელმწიფო ინსტიტუტების უპატივცემულობა. ვინც ამას აკეთებს, მისი განსჯის დროც მოვა.

– ვინ განსჯის?

– 2016 წელს ახალი მთავრობა მოვა და იტყვის, რომ კონსტიტუციას არღვევდნენ და ამის ჩამდენთ პასუხსაც მოსთხოვს.

– მიმდინარე პროცესების შემაჩერებელ ძალას ხედავთ?

– ვერა, მარგველაშვილს, პათოსზე ვატყობ, რომ საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს.

– კონსტიტუციური ჩარჩოებიდან ხელისუფლების გამოსვლის შესახებ გაკეთებულ განცხადებას გულისხმობთ?

– დიახ, ,,რუსთავი 2“-ის საქმე პოლიტიზირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, კონსტიტუცია ირღვევა.

პრემიერი მოსახლეობას ძალადობისკენ მოუწოდებს და კონსტიტუცია ამით ირღვევა.

მთავრობა პრეზიდენტს აკრიტიკებს და კონსტიტუცია ამითაც ირღვევა.

საკანონმდებლო ორგანოს წევრი აცხადებს, პრეზიდენტს მოვუვლითო და ამითაც ირღვევა კონსტიტუცია. რა, მაინცდამაინც თოფი უნდა გავარდეს იმ სამწუხარო რეალობის დასანახად, რომ ქვეყანა სწორი გზით არ მიდის?!

„ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲫᲛᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲬᲠᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲘᲥ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲤᲣᲚᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐᲪ, ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲠᲐᲦᲐᲪ ᲮᲚᲐᲠᲗᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲔᲮᲕᲘᲐ“.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ

12 | № 42 (306) | 28 X-3 XI

ეროვნული ტელევიზია

ეროვნული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ცნობადი სახე

„ციყვი“ პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს!

დავით გოგიშვილი: „იუმორი ტინგიცობასა და მაიმუნობასთანაა გაიგივებული!“

„ის, რაც თბილისის მერიაში ხდება, გულისამრევად მიმაჩნია. საქართველოს დედაქალაქის მმართველობა თავიდან ბოლომდე მიშვებულია, რა სიტუტუცე და თავზე დამხობაა ეს პრემიები, რა, დედაქალაქი ააყვავეს? ნამუსი არ აქვთ, არ რცხვენიათ? ვფიქრობ, თბილისის მერიაში არსებული სიტუაციის საბოტაჟია და ამაზე დიდი საბოტაჟი მას შემდეგ, რაც „ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოვიდა, არ ყოფილა. რა შუაშია „ნაცმოძრაობა“, ამათ რომ გააკეთეს თბილისში (სადაც „ქართულმა ოცნებამ“ 95% აიღო) და მისი დისკრედიტაცია მოახერხეს, ამისთანა არავის უნახავს“.

საზოგადოებამ იუმორისტული გადაცემებით გაიცნო... დღემდე „ციყვს“ ეძახიან, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას თვალყურს აქტიურად ადევნებს და, როგორც ამბობს, საკმაოდ კვალიფიციური ისტორიკოსია... ამ დღეებში სოციალურ ქსელში მისი მოწოდება გავრცელდა. „პრეზიდენტი სათავეში ჩაუდგა მოძრაობას, რომელსაც ხელისუფლების შინ გაშვება აქვს განზრახული და თუკი უახლოეს პერიოდში პრეზიდენტს არ გადააყენებთ, უახლოეს დღეებში, თქვენ გადაგაყენებთ“, – ამბობს დავით გოგიშვილი... „ქართული სიტყვა“ იუმორისტ დავით გოგიშვილს, იგივე „ციყვს“ ესაუბრა:

– ვაღიარებ: პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომელიც აღელვებულმა გააკეთა, გარკვეულ შენიშვნას იმსახურებდა, მაგრამ გიორგი მარგველაშვილის, როგორც პრეზიდენტის ბოლოდროინდელი განცხადება, პრაქტიკულად, ფასეულობითი დემარში იყო იმ საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც 2011 წლის 4 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების (ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას ვგულისხმობ) და იმ ფასეულობების ერთგულია, რომელიც 2012 წლის 27 მაისს გაცხადდა, როცა ქართველმა ხალხმა სააკაშვილის წინააღმდეგ ერთგვარი რეფერენდუმი ჩაატარა: ამ დღეს ქართველმა ხალხმა მიზნად დაისახა, რომ მსოფლიოს წინაშე თავი ემართლებინა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ნიშნების მქონე მარაზმს გამიჯვნოდა, რასაც ადამიანის წამება და სააკაშვილის ხელისუფლება ერქვა. ამ ღირებულებათა ამბოხის პროდუქტია გიორგი მარგველაშვილი და, თავისი თანამდებობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ვალდებულია, რომ იმ ფასეულობებს, რასაც 27 მაისს ჩაეყარა საფუძველი, პატივი სცეს და ანგარიში გაუწიოს!

– ამ ფასეულობებს პატივს ხშირად „ქართული ოცნებაც“ არ სცემს, თუმცა მის წასვლას არ ითხოვთ და პასუხს მხოლოდ გიორგი მარგველაშვილს სთხოვთ. რატომ?

– ეს ცალკე საუბრის თემაა. ამაზე ქართველ ხალხს „ქართულ ოცნებასთან“, რბილად რომ ვთქვათ, სასაუბრო, მართლაც, აქვს. იქ ძალიან ბევრი „ბალასტი“ და ბევრიც ღირსეული პიროვნებაა. საერთოდ, კოალიცია ეკლექტური გაერთიანებაა და ძალიან ჭრელია.

– რაკი „ოცნებამ“ მოიყვანა, გიორგი მარგველაშვილს საკუთარი აზრი არ უნდა ჰქონდეს?

– რომ არა ეს ფასეულობები, დღეს გიორგი მარგველაშვილი ჯიპა-ს ჩვეულებრივი ლექტორი იქნებოდა. საქართველოში ადამიანები არჩევანს, სამწუხაროდ, პოლიტიკური პერსონალიების გარშემო აკეთებენ. მიხეილ სააკაშვილს ჩემთვის პიროვნულად არაფერი დაუშავებია, მასთან ფასეულობითი არათანხვედრა მაქვს. ის ფასეულობები, რასაც ე.წ. მედასავლეთეები მისდევენ, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისთვის სახიფათო, მიუღებელი და საქართველოს სწორი განვითარებისათვის საფრთხის შემცველია.

– ანუ, საქართველოსთვის საფრთხის შემცველი დასავლეთია?

– არა, დასავლეთი კი არაა საფრთხის შემცველი, არამედ, ის მანკიერი ადამიანები, რომლებიც ქართველი ხალხის ცნობიერებაში დასავლეთის პროპაგანდასთან ასოცირდება და საქართველოში მათ ლობისტად მოიაზრებიან. ვიმსჯელოთ, მათი ბეგრაუნდი განვიხილოთ, მათი მედიააქტივობის ანალიზიც გავაკეთოთ და მივალთ დასკვნამდე, რომ პროდასავლური ფასეულობების ნომერ პირველი მტრები ისინი არიან, რომლებიც თავიანთი მრწამსითა და აზროვნებით, თავიდან ბოლომდე, ნეობოლშევიკები არიან. მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში ხელმძღვანელობდა პრინციპით – ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია. ამ თეზას საფუძველი თავის დროზე კომკავშირმა და პავლიკ მოროზოვმა ჩაუყარეს. ასე, დასავლურ იმიჯში შეფუთული პავლიკ მოროზოვები არიან მიხეილ სააკაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, დეფი და ეს ე.წ. „პრადვინუტი“ პროდასავლური სექტა, რომელსაც თავისი საქმიანობითა და მენტალიტეტით დასავლეთთან არაფერი აკავშირებს. ამ ადამიანებში დევს საპირისპირო აზრის შეუწყნარებლობა და, უფლება რომ მისცეთ, ნებისმიერს, ვინც მათ არ ეთანხმება, კედელთან მიაყენებენ და დახვრეტენ. მათგან განსხვავებულია მარგველაშვილი, რომელიც კარგი დრამატურგია და შეფუთვის უნარი აქვს. პირადად ვარ მომსწრე, როცა გიორგი მარგველაშვილი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ბიძინა ივანიშვილის სამეფო კარს (მათი საუბარი არ მომისმენია, მაგრამ როცა ვიზუალურ დონეზე მათ ურთიერთობას შევსწრებივარ), მივხვდი, რომ ეს ადამიანი ტიპური მლიქვნელი და მაამებლური დრამატურგია. ეს ასე კარგად ერთ ქართველ პოლიტიკოსსაც არ განუხორციელებია, როგორც გიორგი მარგველაშვილს!

– დათო, მლიქვნელობა მხოლოდ თქვენ შეამჩნიეთ და სხვები ვერ მიხვდნენ?

– არც „ქართულ ოცნებას“ და არც ბიძინა ივანიშვილს ამ პასუხისმგებლობას არ ვარიდებ და ამაზე ისინი ღია ტექსტებით საუბრობენ. ადამიანები ვართ და შეიძლება, ყველა შევცდეთ.

არასოდეს დამიმალავს, რომ „ვარდების რევოლუციის“ მონაწილე ვარ და იმ პროცესებში გიორგი მარგველაშვილიც მახსოვს. „ვარდების რევოლუციას“ მხარი იმიტომ კი არ დავუჭირე, რომ ახალი თაობის კახა თარგამაძე გავმხდარიყავი, პროტესტი წყობილებას გამოვუცხადე იმიტომ, რომ იმათნაირი არ ვყოფილიყავი. ამ ადამიანებმა კი, იმ წყობილებას პროტესტი იმიტომ გამოუცხადეს, რომ საქართველოს დახვეწილი და კარგად შეფუთული კახა თარგამაძეები ჰყოლოდა. თავისი ღირებულებით გიორგი მარგველაშვილი სულაც არ მოდიოდა იმ დაკვეთასთან, რაც 27 მაისს გაჟღერდა და ეს მმართველ კოალიციას უნდა სცოდნოდა და რადგან გიორგი მარგველაშვილმა იმ ღირებულებს დემარში გამოუცხადა, არსებობს ლეგიტიმური საფუძველი, რომ თანამდებობიდან გადადგეს!

– თუკი ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება ცხელ გულზე გაკეთებულად მიაგაჩნიათ და მის პასუხისმგებლობაზე არ საუბრობთ, მარგველაშვილმა იმისთანა რა თქვა, რომ უნდა გადადგეს?

– კიდევ ერთხელ ვამბობ: ღარიბაშვილის განცხადება ნამდვილად არ ჰგავდა სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირის მიერ გაკეთებულ განცხადებას, მაგრამ რაც მარგველაშვილმა გააკეთა, ეს კარგად გამიზნული ფასეულობითი გადატრიალების მცდელობა იყო.

– „ქართულ ოცნებას“ ისიც კი მოუწოდეთ, პრეზიდენტი გადააყენე, თორემ^თვითონ გადაგაყენებსო. სახელისუფლებო გუნდს რა მექანიზმი აქვს, რომ მარგველაშვილი გადააყენოს?

– ვაღიარებ, რომ მარგველაშვილის გადაყენების იურიდიული მექანიზმი არ არსებობს, მაგრამ ხომ შეიძლება, კონსულტაციები გაიმართოს და აიძულონ, წავიდეს? თუ ეს ვერ მოხერხდა, იქნება სახალხო პროტესტი და ის თანამდებობას დატოვებს. მარგველაშვილის გამოსვლა იმის წინაპირობა იყო, რომ სათავეში 27 მაისის უდიდესი ეროვნული შეკრების საწინააღმდეგო რევანშისტულ მოძრაობას ჩაუდგა. ეს არ იყო განცხადება სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიის დასაცავად.

– ზემოთ მარგველაშვილის მლიქვნელობაზე საუბრობდით და „ქართული ოცნება“, თავიდან ბოლომდე, ერთი დიდი მლიქვნელების გაერთიანება რომაა, ამაზე რაღას იტყვით?

– „ქართული ოცნების“ პრობლემა ისაა, რომ ცაიტნოტურ რეჟიმში წარმოიქმნა. იმის დრო არ იყო, ბიძინა ივანიშვილს სელექცია მოეხდინა და პოლიტიკური გუნდი ისე ჩამოეყალიბებინა. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: სააკაშვილს 2012 წლის არჩევნები რომ მოეგო, რამდენიმე თვეში ძალიან ძლიერი სამოქალაქო ომი დაიწყებოდა. „ქართული ოცნება“, როგორც გაერთიანება, იმდენად ეკლექტურია, რომ სახელისუფლებო ვერტიკალი ისეთი ძლიერი ვერ გახდა, როგორიც საჭიროა. როცა „ნაცმოძრაობამ“ ჟვანია და ბურჯანაძე შეიერთა, პირველი მოთხოვნა იყო, რომ მომხდარიყო პარტიის ლიკვიდაცია და შერწყმოდა „ნაცმოძრაობას“, ანუ პრევენცია განახორციელა და დემარშის შესაძლებლობები მოსპეს. „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებაში ეს პრობლემა სერიოზულად დგას და არა მარტო იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა პარტიას წარმოადგენენ. არამედ, იმიტომაც, რომ ისინი, ღირებულებითი თვალსაზრისითაც, სხვადასხვა პოზიციაზე დგანან. „რესპუბლიკელები“ ავიღოთ, ისინი სულ სხვა ხალხია და მათ „დახვეწილ ნაციონალებს“ ვეძახი. ამიტომ თუ რამდენად პასუხობს „ქართული ოცნება“ ხალხის მოთხოვნებს, საკითხავია. ბევრი გულისტკენის საფუძველი არსებობს, მაგრამ მომავალი არჩევნებისთვის სწორი დასკვნები უნდა გაკეთდეს და კოალიციის შიგნით რებრენდინგი ჩატარდეს. წინა პლანზე სხვა სახეები წამოვიდნენ, არადისკრედიტირებული, გაუსვრელი და ყველა სახელისუფლებო ვერტიკალი უფრო მოქნილად და ორგანიზებულად მართონ.

– „ქართულ ოცნებას“ იმის რესურსი აქვს, ამომრჩეველი დაარწმუნოს, რომ ხმა ისევ მას მისცეს?

– აქვს, რადგან ვხედავ – ამ კოალიციის რესურსი არასწორადაა რეალიზებული. და კიდევ ერთი: „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი პოლიტიკური შეცდომა ისაა, რომ ამომრჩეველამდე მესიჯები სწორედ ვერ მიიტანა. არავინ დავობს, რომ არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი გადამწყვეტი იყო, მაგრამ როცა კოალიციის რიგითი წევრები ამომრჩეველთან შესახვედრად მიდიოდნენ, ისეთი ადამიანები უნდა გაეშვათ, რომლებიც სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას კვალიფიციურ პასუხს გასცემდნენ. ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს შეურაცხყოფას კი არ ვაყენებ, მაგრამ მათ ვერ გააცნობიერეს, რომ ბიძინა ივანიშვილის პირით საუბრობდნენ და, შესაბამისად, იმედგაცრუების შემდეგ, ხალხმა პასუხის მოთხოვნა მათ დაუწყო. დეტალები ვიცი და იმაზე მეტს, რაც „ოცნებამ“, რეალურად, სამ წელიწადში გააკეთა, არაფრით ველოდი!

არსებობს ასეთი გამოთქმა: ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო – ვითარების რადიკალიზაციას ხელოვნურად ცდილობენ. „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებს მინდა, მივმართო, მით უმეტეს, იქ ვმუშაობდი: როცა ყველაფერი დამშვიდდება, მოვა დრო და გააცნობიერებთ, თუ რა უბედურება დაგმართათ ნიკა გვარამიამ. მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან როგორც პიროვნება და მოქალაქე, დამთავრებულია. ის ქართული საზოგადოებისთვის ლუსტრირებულია და გამოსავალი აღარ ჰქონდა, გარდა იმისა რომ ვა-ბანკზე წასულიყო.

ისე, ინფორმაციის მიმტანის, მესენჯერის პროფესია უხსოვარი დროიდანაა. ქართული მედია კი, მნიშვნელოვანწილად არღვევს მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს. ხელისუფლების აუცილებელი კრიტიკა მედიის თავისუფლების განმსაზღვრელია. ხელისუფლების კრიტიკა, ბუნებრივია, ერთ-ერთი კომპონენტია, მაგრამ სხვა მიმართულებები ქართულ ჟურნალისტიკაში ვერ განვითარდა, რაც ძალიან ცუდია, რადგან რა ენერგიასაც კოსმოსში უშვებ, ის გიბრუნდება. ქართული მედია კი, ნეგატივზეა აგებული. დღეს აშშ-ის ელჩი ხოტბას რომ გასხავს და, თავისი ორმაგი სტანდარტებიდან გამომდინარე, თავისუფალ მედიას გიწოდებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაგარი ჟურნალისტი ხარ. როცა რუსლან გილაევს კადრებს უღებდი და შს მინისტრი გეხვეწებოდა, ეს არ გადაიღო, სახელმწიფო საიდუმლოაო, ეს რა იყო? გახსოვთ, რუსეთმა ულტიმატუმი წაგვიყენა, თუ საქართველო ტერორისტებს არ გაანეიტრალებდა, პასუხისმგებლობას იღებდა, ეს, ჩვენს ტერიტორიაზე, თვითონ გაეკეთებინა. ეს კი შესაძლო ოკუპაციის „გაპრავება“ იყო. იმის გულისთვის, რომ მსოფლიოს დაანახო, რუსეთი რა საზიზღარია, ახლო კადრით იღებ რუსლან გილაევს იმიტომ, რომ იქნებ, რუსეთმა პანკისი დაბომბოს და მერე, ერთი ამბავი ავტეხოთო. ეს მოწინააღმდეგისთვის დაშიფრული, კოდირებული ინფორმაციის მიწოდებაა და ეს იმიტომ, რომ მსოფლიოს დავანახოთ, რუსეთი საზიზღარია?

– და რუსეთი საზიზღარი არაა?

– რას ჰქვია, არ არის? – როგორ არ არის, მაგრამ ეს იცის მსოფლიომ, არ სჭირდება ახალი განმარტებები და სისხლი. ჩვენ უნდა ვიაზროვნოთ სახელმწიფოებრივად და, რა თქმა უნდა, ხელისუფლება უნდა გავაკონტროლოთ. მაგალითად, ის, რაც თბილისის მერიაში ხდება, გულისამრევად მიმაჩნია. საქართველოს დედაქალაქის მმართველობა თავიდან ბოლომდე მიშვებულია, რა სიტუტუცე და თავზე დამხობაა ეს პრემიები, რა, დედაქალაქი ააყვავეს? ნამუსი არ აქვთ, არ რცხვენიათ? ვფიქრობ, თბილისის მერიაში არსებული სიტუაცია საბოტაჟია და ამაზე დიდი საბოტაჟი მას შემდეგ, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, არ ყოფილა. რა შუაშია „ნაცმოძრაობა“, ამათ რომ გააკეთეს თბილისში (სადაც „ქართულმა ოცნებამ“ 95% აიღო) და მისი დისკრედიტაცია მოახერხეს, ამისთანა არავის უნახავს.

– ე.წ. კადრების ომზე რა აზრის ხართ?

– გასაგებია, რომ ეს მოხდა და შეხსენება არ სჭირდება, მით უმეტეს, მაშინ, როცა იგებ, რომ კოხტა კოდუა დაუსჯელი დადის. ამიტომ ამ კადრების ტირაჟირების დიდი მოტრფიალე არ ვარ. იმის გულისთვის, რომ „ნაცმოძრაობა“ და „რუსთავი 2“ აშშ-ის ელჩის მხარდაჭერით სარგებლობენ და ევროპაში მხარს სახალხო პარტია უჭერთ, იმას არ ნიშნავს, რომ „რუსთავი 2“ წამებულად გავხადოთ. თურმე, მასზე ხუმრობა მკრეხელობაა, მასზე კრიტიკული მოსაზრების გავრცელება დაუშვებელია, ეს რას ნიშნავს? საქართველოში შერჩევითი მართლმსაჯულება დავამკვიდროთ? მართლმსაჯულება ბოლომდე მივიყვანოთ და თუ კითხვები კიდევ გვექნება, მერე ვილაპარაკოთ. დარწმუნებული ვარ, ამ ტელეკომპანიას არაფერი ემუქრება!

– დავით, გისმენთ და ცოტა დავიბენი, ველარ გამიგია: თქვენი პროფესია პოლიტიკაა და ჰობი იუმორისტობა თუ პირიქით?

– პროფესიით ისტორიკოსი ვარ და ვთვლი, რომ საკმაოდ კვალიფიციური ისტორიკოსიც ვარ, თუმცა იუმორი ძალიან მიყვარს. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ისეთი სტერეოტიპი ჩამოყალიბდა, რომ იუმორი ტინგიცობასა და მაიმუნობასთანაა გაიგივებული, რასაც იუმორთან კავშირი არ აქვს. ის ინტელექტუალთა პრივილეგიაა. დავესესხები შალვა ნათელაშვილს, რომლის პოლიტიკასთან, რა თქმა უნდა, კოჰაბიტაციაში არ ვარ, მაგრამ მისი ფრაზა გონებაში ძალიან ჩამრჩა: პოლიტიკოსი, რომელსაც იუმორის გრძნობა არ გააჩნია, საშიშია, პოლიტიკაში იყოსო.

ესაუბრა ნათია ვერძეული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საინფორმაციო მხარდაჭერა

1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის ხანგრძლივობა მესამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1200 ლარი.

პროგრამის ხანგრძლივობა მეოთხე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის ხანგრძლივობა მეხუთე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

2) მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის ხანგრძლივობა მეოთხე საფეხურზე 60 კრედიტი (ორი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის ხანგრძლივობა მეხუთე საფეხურზე – 120 კრედიტი (ოთხი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი (წლიური).

„თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ აცხადებს სტუდენტთა მიღებას პროფესიული პროგრამების ფაკულტეტზე:

კურსდამთავრებულს ენიჭება მცირე ბიზნესის მწარმოებლის შესაბამისად მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

საბუთები მიიღება 1 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე.
სწავლა დაიწყება 28 სექტემბერს.

საბუთების ნუსხა: სკოლის ატესტატი, ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვის ბარათი,

2 ფოტო სურათი (3X4), დაბადების მოწმობა, განცხადება.

სურვილის შემთხვევაში გადახდის გრაფიკი შედგება ინდივიდუალურად სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. 55
ტელ.: 2960104
tbuniver.edu@gmail.com

14 | № 42 (306) | 28 X-3 XI

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲝᲠᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲞᲠᲔᲡᲑᲚᲝᲒᲘ

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲞᲝᲠᲜᲝ-ᲞᲔᲠᲤᲝᲠᲛᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ „ᲛᲔᲮᲛᲐᲢᲙᲑᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲖᲛᲘ“

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ

ცირკის დირექტორთან მიდის კაცი და ეუბნება:
– არაჩვეულებრივი ნომერი მაქვს, ასეთს ვერსად ნახავთ. დამითმეთ არენა. ოღონდ, რეკვიზიტები მჭირდება!
– რა რეკვიზიტები? – იკითხავს დაბნეული დირექტორი.
– სპილო, უზარმაზარი კასრი, ფეკალიები, ბაგირი, მაკრატელი და თოვლივით ქათქათა კოსტიუმი!
– რისთვის?
– არენაზე დავდგამთ ფეკალიებით სავსე კასრს, რომლის თავზეც ბაგირით ჩამოვკიდებთ სპილოს. უნიფორმისტი მაკრატლით გადაჭრის ბაგირს და სპილო ფეკალიებიან კასრში ჩავარდება. წარმოგიდგენიათ სურათი? – არენა ფეკალიებშია, ხალხი ფეკალიებშია, კედლები ფეკალიებშია, ყველაფერი ფეკალიებშია!
– მერე? – გადაირია დირექტორი.
– და აი, აქ, სცენაზე გამოვდივარ მე... თვალისმომჭრელად ქათქათა კოსტიუმში!

გგონიათ, ანეგდოტი მოგიყევით? არა, ბატონო, საქართველოს დღევანდელი რეალობა დაგიხატეთ მეტაფორულად. რატომ? დავიწყოთ თითქმის თავიდან.

დღისით-მზისით, სამეგრელოს დედაქალაქ ზუგდიდში, ცენტრალურ მოედანზე, ქალაქის მერის განკარგულებით, უშველებელ ეკრანებზე გაუშვეს... პორნოფილმი! დიახ, იმ კადრებზე მოგახსენებთ, სადაც ერთი სახედაფარული მამაკაცი მეორესთან იძულებით სქესობრივ კონტაქტს ამყარებს! დიდი ამბავი, რომ ამ დროს ქუჩებში ბავშვები, მოზარდები, მოხუცები და თუნდაც მოწიფული ქალები და მამაკაცები დადიოდნენ! **სექსი დიდი ხანია, აკრძალული აღარ არის და არც ჩვენ ვართ საბჭოთა კავშირში, ოღონდ ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ქალაქის ცენტრალურ მოედნებზე, თუნდაც წინა ხელისუფლების გულის გასახეთქად და მის მიმართ სიძულვილის გასამძაფრებლად, პორნოფილმის გაშვება არ შეიძლება, არანაირი მიზეზით, საბაბითა და მიზნით იმიტომ, რომ ეს არაა მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ მიმართული შავი პიარ-აქცია, ესაა, – არც მეტი, არც ნაკლები – გარყვნილების, ძალადობისა და სიძულვილის შოკისმომგვრელი პროპაგანდა და პოპულარიზაცია!** ეს არაა „წერტილოვანი“ დარტყმა მტერზე, ეს იგივეა, ბომბი ჩამოაგდო მშვიდობიანი მოსახლეობის თავზე და მერე, თავი იმით იმართლო, რომ მხოლოდ კონკრეტული მოწინააღმდეგის განადგურება გინდოდა!

უფრო მეტიც, **ესაა მძლავრი ფსიქოლოგიური ზემოქმედება მასებზე,** მისი სავალალო შედეგების გაუთვალისწინებლად.

ზუგდიდის მერსა და მის თანამოაზრეებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ამით მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკაზე უმძლავრესი იერიში მიიტანეს და შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი, პერსპექტივაში, მოძალადედ და ჯალათად აქციეს! როგორც წესი, მყიფე და დაუდუღარი ფსიქიკა ასეთ შოკს ვერ უმკლავდება და ნანახ კადრებს მისაბაძ მაგალითად აღიქვამს. აღარაფერი რომ ვთქვათ იმაზე, რომ **ამ კადრების საჯაროდ გამშვები ბობოქარი ფსიქოპათია!** მას არ ჰქენჯნის სინდისი იმიტომ, რომ უბრალოდ, არ იცის, ეს რა ხილია. მისთვის ყველა საშუალება, რომელიც მიზანს მიაღწევინებს, მისაღები და ნორმალურია.

საინტერესო გახლავთ იმ ადამიანების მოტივაციაც, რომლებმაც ქალაქის ცენტრში ამ კადრებს უყურეს... ბოლომდე! და ამ პროცესს მათთვის, მერწმუნეთ, სიამოვნების გარეშე არ ჩაუვლია, თუმცა, ცხადია, ამაში საკუთარ თავსაც არ გამოუტყდებიან, ანდა არც კი იციან, რომ ნეტარებდნენ იმით, რაზეც თვითონ ძალიან ღრმად, გულის სიღრმეში (უფრო სწორად, არაცნობიერის სიღრმეში!) ოცნებობენ! გსმენიათ, ალბათ, რომ ამ დუნიაზე არსებობენ სადისტები და... მაზოხისტებიც, ხომ?

მეტსაც გეტყვით და ეს ჩემი მოგონილი არაა: ძალიან ცნობილი და მსოფლიო სახელის მქონე ფსიქოანალიტიკოსების თეორიაა, რომ ძალადობის მსხვერპლად იქცევა ადამიანი, რომელსაც აქვს ძლიერი დანაშაულის განცდა, თუნდაც არ იცოდეს, რის გამო იმიტომ, რომ დანაშაულის განცდის მქონე ადამიანს გაუცნობიერებლად სურს, დასაჯონ! ეჟი ლეცი ამბობდა: „ჩასვით ციხეში ნებისმიერი უდანაშაულო ადამიანი 10 წლით და მას გულის სიღრმეში მშვენივრად ეცოდინება, რისთვის ისჯება!“

ზემოთქმული მხოლოდ განმარტებაა იმიტომ, რომ **არანაირ ძალადობას, ზეწოლას, წამებას, სხვისი ღირსების შელახვას, ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ ანგარიშსწორებას, დისკრიმინაციას ამა თუ იმ ნიშნით, ქსენოფობიას, ფაშიზმს და ამნაირებს საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან და, მით უფრო, ცივილიზაციასთან.**

ჩვენ კი პრეტენზია გვაქვს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ კი არადა, უკვე ავაშენეთ და ახლა შედეგებით, ანუ ძალადობრივი პორნოკადრებით ვტკბებით! დიახ, ვტკბებით! რომ არ ვტკბებოდეთ, არც ვუყურებდით ასეთ სადისტურ „სერიალებს“ და, მით უფრო, არ გავასაჯაროებდით, რომ ორგაზმი სხვებსაც განეცადათ! და ეს ყოფილიყო მასობრივი, შეხმატკბილებული და ფოიერვერკებიანი ორგაზმი!

ამგვარივე „ნეტარება“ განიცადეს „თავისუფალი თაობის“ წევრებმა, რომლებმაც აღნიშნული პორნოკადრები თბილისში, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებთან ვეება ეკრანებზე გაუშვეს. დიდი ამბავი, რომ იქაც დადიოდა სხვადასხვა ასაკის, შეხედულების, მენტალობის, მყარი თუ მყიფე ფსიქიკის მქონე მშვიდობიანი მოსახლეობა...

თუმცა, ახლა ჯობს, გადავიდეთ მოტივაციაზე: რამ აიძულა ეს ადამიანები, მოეწყოთ საჯარო პორნო-პერფორმანსები?

რამ და, – შიშმა! დიდთვალებამ, ოხერმა!

სრულიად საქართველოს ახსოვს 2012-ის ამბები. პირადად მე, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს არც თეთრი და არც შავი პიარის, თუმცა ამ დროს ესთეტიკას მთლად ნუ დავივიწყებთ, ბატონებო! არაესთეტიური და ბინძური ქმედებები მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ამ საქციელის ჩამდენი ადამიანიც ბინძურია და ამას აღარაფერი ეშველება.

მას შემდეგ გავიდა 3 წელი ნაწილობრივი კოჰაბიტაციითა და რეანიმირებული ოპოზიციით. ნუ ვიტყვით, რომ არაფერი გაკეთდა ქვეყანაში, ნუ ვიქნებით უმადური: კი, გადასახადებმა მოიმატა, ლარის კურსი დაეცა, კრიმინალმა მოიმატა, სადარბაზოებთან კვლავ გამოჩნდნენ ჩაცუცქული „კაი ბიჭები“, დროდადრო სინათლესაც გვითიშავენ, სექსუალურ და ეროვნულ უმცირესობებსაც ჩაგრავენ, საპატიმროებშიც უწინდებურად თავს იკლავენ პატიმრები, მაგრამ სამაგიეროდ, ფილტვები გვისკდება თავისუფლების ჰაერით! და კიდევ, კინაღამ დამავიწყდა, ჩინური ინვესტიციები შემოგვაქვს ქვეყანაში! რაც მთავარია, საზღაურს მივაგებთ წინა, დამნაშავე, ბოროტმოქმედ და მოძალადე ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის სახელით. დიახ, სამართლიანობამ, იდეაში, აუცილებლად უნდა იზეიმოს, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება იმიტომ, რომ სამყარო ობიექტურია – არც ბოროტია და არც კეთილი, ის, უბრალოდ, აწონასწორებს სასწორის პინებს. ესაა და ეს.

ახლახან, ბატონმა პრემიერმა განაცხადა, რომ მთავრობის წინააღმდეგ მახვილის აღმმართველი მახვილითვე დაიღუპება, რაშიც სრულებით ვეთანხმები და ვგონებ, ეს სწორედ ის მახვილია, რისიც თავად, ტანში ჟრუანტელამდე, ეშინია „ქართულ ოცნებას“ იმიტომ, რომ წინა მთავრობის თავიდან მოსაშორებლად მანაც აღმართა მახვ... უკაცრავად, პორნოკადრები...

ვგონებ, თემას გადავუხვიე, რადგან შიშზე მინდოდა მეთქვა ორიოდ სიტყვა. დამეთანხმებით, ალბათ, რომ არსებობენ მხდალი და მამაცი ადამიანები. და ახლა კონკრეტულად მოგახსენებთ, რაშია მათ შორის განსხვავება. არა მხოლოდ იმაში, რომ მამაც ადამიანებსაც ეშინიათ, მაგრამ ამ შიშს თრგუნავენ, არამედ, იმაშიც, რომ თუ მხდალ ადამიანს კუთხეში მოამწყვდევ, უკაცრავად და, ვირთხასავით ყველა გზას მოუჭრი, ის გავეშდება! ისე გავეშდება, რომ თვითგადარჩენის ინსტინქტით მართული და სასოწარკვეთილებით გონებადაბნელებული, ყველა გზას, იარაღსა და ღონეს მიმართავს ხაფანგისგან თავის დასაღწევად! და შესაბამისად, არც მეთოდებს დაგიდევს. აი, სწორედ ამიტომ, ხელისუფლებაში ყოფნის მესამე წლისთავზე და არა მაშინვე, 2012 წელს, გამოამზეურეს სამი წლისწინანდელი კადრები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ საბრძოლველად „ქართული ოცნების“ მთავარი იარაღი ესაა!

ახლა კვლავ მახვილის აღმართვის თემას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ ეს ბიბლიური პერიფრაზი არაფრით უკავშირდება რეალობას და გათვლილია ფანატიკოს მორწმუნეებზე, რომლებიც მრავლად გვყავს საქართველოში და თითოეულ მათგანს ერთი-ორი ტაბურეტკა მაინც მოეძევება სახლში! ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს გახლდათ ირიბი მუქარა...

ჰოდა, ამ ერთი-ორი ტაბურეტკის გამოისობით იყო, რომ კადრების გავრცელების შემდეგ, აქაოდა, ამის გამო არავინ დაგვსჯისო, გარკვეული ჯგუფები ნაპრეზიდენტალის ბიბლიოთეკას და „ნაცმოძრაობის“ ოფისებს ისე დაერივნენ, რომ ერთი-ორი შენობა სხვაც მიაყოლეს ზედ (ხომ გაგაფრთხილეთ, რომ „წერტილოვანი“ დარტყმები მითია!)

ასეთივე მუქარას წარმოადგენდა სიტყვები იმის თაობაზე, რომ „ნაცმოძრაობა“ უკიდურესად უნდა ემადლიერებოდეს „ქართულ ოცნებას“, რომ ხალხმა იგივე არ დამართა, რასაც ის „უშვრებოდა“ ადამიანებს ზემოხსენებულ კადრებში. ოღონდ, ეს ლამის პირდაპირი მოწოდება და წაქეზებაა ძალადობისკენ, გაუპატიურებისა და საზღაურის მიგებისკენ, რაც არ ეგებით მთავრობის წევრებს. და როგორც ჩანს, ამას თავადაც მიხვდნენ, რადგან სხვაგვარად, არ ჩამოურიგებდნენ საქართველოში მყოფ დიპმისიებს ახსნა-განმარტებით ბარათებს, რას ბრძანებთ, ამას როგორ ვიტყოდითო!

თუმცა, „სერიალები“ გრძელდება და ორგაზმის ტალღაც იმატებს, მრისხანებასა და სიძულვილთან ერთად, რომელიც ეუფლებათ ამ შოკისმომგვრელი კადრების მნახველებს ისევე, როგორც გეომეტრიული პროგრესიით იმატებს იმ, თუნდაც სახედაფარული ადამიანების ფსიქოლოგიური ტრავმის ხარისხი, რომლებიც ამ კადრებში მსხვერპლის როლში არიან და რომელთა ამჟამინდელ (და მერწმუნეთ, არც მაშინდელ) მდგომარეობაზე არავის უნაღვლია იმიტომ, რომ **ამ სახელმწიფოში, ბოდიში მომითხოვია და, ფეხზე კიდიათ ადამიანის ღირსება და პატივი, რომელიც, წესით, კონსტიტუციით უნდა იყოს დაცული!** აღარაფერი რომ ვთქვათ იმაზე, ეს ადამიანები, ამდენი წლის შემდეგაც კი, დიდი ალბათობით, პოსტტრავმული სინდრომით იტანჯებიან.

ვწერ ამას და ვფიქრობ: კარგი, კუთხეში მიიმწყვდიე ვირთხა, კუთხეში მიიმწყვდიე გაუბედავი ან მშიშარა ადამიანი, მაგრამ სახელმწიფო მანქანა? სისტემა? ამას ხომ უზარმაზარი რესურსი და ძალა სჭირდება? გამოდის, ჰქონია ეს ძალა ყოფილ მმართველ გუნდს. გამოდის, იმდენი შესძლებია, რომ სახელმწიფოს ახალი მმართველები აშკარა მუქარაზე გადავიდნენ და საზოგადოება, პირობითად კი არა, პირდაპირ ორად დაჰყვეს: მოძალადეებად და მსხვერპლად – გაუპატიურებულებად და გამაუპატიურებლებად. და რაც მთავარია, ამ სიძულვილის ტალღის აზვირთებით, ბედკრული ქვეყანა ახალ სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიდის, რომელიც, ღმერთმა არ ქნას და, თუ დაიწყო, უმართავ პროცესებში გადაიზრდება და ქვეყანას გააჩანაგებს იმიტომ, რომ სიძულვილს შენება არ შეუძლია...

რაკიღა თავად „ძლიერთა ამა ქვეყნისებმა“ „მოიშველიეს“ ბიბლიური გამონათქვამი, მე, უბრალოდ მოკვდავი, თავს უფლებას მივცემ და კიდევ ერთხელ მოვიშველიებ პოლონელი პოეტისა და ფილოსოფოსის ეჟი ლეცის გამონათქვამს ასევე, ბიბლიურ თემაზე: „ვინც უცოდველია, პირველი ქვა იმან ესროლოს“ – ბლეფი და ხაფანგია იმიტომ, რომ ის, ვინც ქვას დაწვდება, უკვე ცოდვილია და შესაბამისად, ამ ქვის სროლაც აღარ შეუძლია!“

დამნაშავემ, უდავოდ, პასუხი უნდა აგოს! ბოროტმოქმედი, უდავოდ, უნდა დაისაჯოს! უკანონობა, უდავოდ, უნდა გასამართლდეს, ოღონდ მხოლოდ სამართლებრივი გზით და არა – ქვებითა და ტაბურეტკებით! ხელისუფლებამ კი, არ შეიძლება მომხრეებს ოპონენტების წინააღმდეგ ანგარიშსწორებისკენ მოუწოდოს იმიტომ, რომ ის სახელმწიფოს წარმოადგენს და თუ უსუსურობა აიძულებს, ძალაუფლება უმსგავსი მეთოდებით შეინარჩუნოს, ის არ ყოფილა ხალხზე მზრუნველი!

ასე რომ, მას შემდეგ, რაც ბაგირი გადაჭერით და სპილო ფეკალიებიან კასრში ჩააგდეთ, ხალხიც, არენაცა და გარემოც ფეკალურ მასებში ამოავლეთ, აღარ გამოგივათ თოვლივით სპეტაკი კოსტიუმით არენაზე გამოსვლა, ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებო!

ᲜᲐᲜᲐ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

28 X-3 XI | № 42 (306) | 15

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

საზოგადოება

სად მიდიან მოძალადისგან გაქცეული ქალები

როგორ ხდება მსხვერპლის სტატუსის მინიჭება და რა უჯდება სახელმწიფოს ერთი ბენეფიციარის შენახვა

საქართველოში ჯერ არ არსებობს ისეთი ადგილი, ანუ კრიზისული ცენტრი, რომელიც ადამიანს მანამ შეიფარებს, ვიდრე ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსს მიანიჭებენ.

„რამდენიმე დღის წინ ქალი დაგვიკავშირდა, რომელიც შველას გვთხოვდა. გვითხრა, რომ მაშინვე წამოვიდოდა მოძალადე ქმრის სახლიდან, თუკი სადმე გადავიყვანდით“, – ამბობს ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის წარმომადგენელი ბაია პატარაია.

პატარაიას თქმითვე, ისეთი თავშესაფარი, სადაც ქალს პირველად დახმარებას აღმოუჩენდნენ, ვერ იპოვეს და ქალი ამ დრომდე მოძალადესთან რჩება.

საქართველოში დღეს მხოლოდ ორ არასამთავრობო ორგანიზაციას – „ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელსა“ და ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლს“ აქვს მსგავსი ტიპის შემთხვევებისთვის გათვალისწინებული კრიზისული ცენტრი. ამასთან, მეორე ორგანიზაცია მხოლოდ ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლ დევნილ ქალებს ეხმარება.

„ამჟამად 5 ქალი და 5 მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობს ჩვენს კრიზისულ ცენტრში. ფიზიკურად მეტი ადგილი არ გვაქვს“, – ამბობს რუსუდან ბაინდურაშვილი, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის წარმომადგენელი.

მისი განმარტებით, ქალების რიცხვი, რომელთაც ამგვარი პირველადი დახმარება ესაჭიროებათ, მზარდია.

ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის წარმომადგენელმა – ბაია პატარაიამ და კიდევ რამდენიმე ქალმა 21 ოქტომბერს ჯანდაცვის სამინისტროსთან აქცია გამართეს და სამინისტროსგან ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთათვის კრიზისული ცენტრის გახსნა მოითხოვეს.

„მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ ამ საკითხზე მუშაობა ახლახან დააანონსა, უნდა დავინახოთ კონკრეტული ნაბიჯები, მხოლოდ განცხადებების არ გვჯერა, - დღესვე უნდა მიხედოს სახელმწიფომ ამ თემას. არასამთავრობოთა კრიზისული ცენტრები არ კმარა. პირველ ეტაპზე 5-კაციანი ასეთი ცენტრიც რომ გახსნას სამინისტრომ, ვფიქრობ, საკმარისი იქნება, ვინაიდან ამ ცენტრიდან უკვე არსებულ, თავისსავე დაქვემდებარებაში არსებულ თავშესაფარში გადაიყვანს სტატუსმინიჭებულ ძალადობის მსხვერპლს“, – ამბობს პატარაია.

ამჟამად ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამი სახელმწიფო თავშესაფარი არსებობს. მეოთხე კი, კახეთის რეგიონში, ახლა შენდება, თუმცა მანამ, ვიდრე სახელმწიფო მსხვერპლს თავშესაფარში გადაიყვანს, ძალადობის მსხვერპლის სტატუსი უნდა მიანიჭოს, რაც მყისიერად ვერ მოხდება. შესაბამისად, სტატუსის მინიჭებამდე ქალი ქუჩაში, მეგობართან, ნათესავთან, ან მოძალადესთან უნდა დარჩეს.

ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთათვის კრიზისული ცენტრის შექმნაზე მუშაობა უკვე დაწყებულია და ამჟამად განიხილავენ, ცენტრი სად აშენდება, რამდენ ადამიანზე იქნება გათვლილი, რა ადამიანური და ფინანსური რესურსით იფუნქციონირებს.

„მესმის, ისეთი თემაა, ყველას ეჩქარება. მომართვიანობა და ასეთი ცენტრების საჭიროება იზრდება, ვინაიდან ქალები ნელნელა გამოდიან ოჯახებიდან და ხმას იმაღლებენ ძალადობაზე. ეს კარგია. ძალადობა მუდამ არსებობდა, მაგრამ ახლა ქალებმა იპოვეს საკუთარ თავში ძალა, რომ წამოსულიყვნენ მოძალადეებისგან, პოლიციაც უფრო კარგად რეაგირებს, ვიდრე აქამდე რეაგირებდა“, – ამბობს ნუცა ოდიშარია, ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი.

იმას, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო თავშესაფრებში ადამიანთა რაოდენობა იზრდება, ოფიციალური რიცხვებიც მოწმობს.

„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ ინფორმაციით, 2010-დან 2014 წლამდე ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა, რომელმაც სახელმწიფო თავშესაფრით ისარგებლა, თითქმის სამჯერ გაიზარდა. ერთი ბენეფიციარის (ზოგ შემთხვევაში, მსხვერპლი თავშესაფარში შვილთან, ან შვილებთან ერთად იმყოფება) მომსახურება სახელმწიფოს, ყველა ხარჯის გათვალისწინებით, დღეში, დაახლოებით, 10 ლარი უჯდება.

სახელმწიფოს განსახილველი კიდევ ერთი, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხი „მოძალადეებისთვის რეაბილიტაციის ცენტრის“ გახსნაა, თუმცა ჯანდაცვის სამინისტროში დარწმუნებული არ არიან, რომ მსგავსი ტიპის ცენტრი საქართველოში აუცილებლად იმუშავებს.

„ბოლომდე არ ვართ ჩამოყალიბებული, საით უნდა წავიდეთ, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება სხვადასხვა შედეგს გვაჩვენებს. მაგალითად, აშშ-ის მოძალადეთა რეაბილიტაციის შემდეგ ძალადობის რეციდივი 10-დან 8-ს აქვს. იქ არ გაამართლა. ცოტა სხვანაირი სურათია ესპანეთში. რამდენად წარმატებული იქნება საქართველოში, არ ვიცი. ამიტომაც უწყებათა საბჭოზე ვგეგმავთ ამ საკითხის განხილვას“, – ამბობს სამინისტროს წარმომადგენელი ნუცი ოდიშარია.

„ნეტგაზეთი“

16 | № 42 (306) | 28 X-3 XI

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲕᲘᲜ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐ „ᲗᲕᲘᲗᲔᲑᲡ“ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ

19-ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘ – ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲜᲔᲑᲘ

თსუ-ს მიმდებარე ტერიტორია „თვითების“ ყიჟინამ მოიცვა, არიქა, აქციას ვატარებთ და გვერდით დაგვიდექითო! მე, როგორც რიგით „თსუ-ელს“, აქციების გამართვა არ მიკვირს. აი, თვითმმართველობისგან კი, უჩვეულოდ მომეჩვენა... უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის წინააღმდეგ აქციები, მართლაც, გაიმართა, მოთხოვნებიც ძველი და ნაცნობია. სხვათა შორის, ამ მოთხოვნებს ადრე სხვა რომ დააყენებდა, თვითმმართველობის წევრები მუშტების ქნევით პასუხობდნენ... მოკლედ, თვითმმართველობა, ადმინისტრაციასა და სხვა მაღალ რგოლებთან, როგორც წესი, სტუდენტების წარმომადგენელი უნდა იყოს, მაგრამ დღევანდელ წარმომადგენლობით ორგანოს ლეგიტიმაცია თითქმის არ აქვს. შესაბამისად, თსუ-ში სხვადასხვა სტუდენტური მოძრაობა არსებობს, რომელიც უნივერსიტეტისა და ჩვენი ბედკრული განათლების სისტემის მომავალს განსხვავებულად ხედავს. ამიტომ, ის ათზე მეტი მოთხოვნა, რომელიც თვითმმართველობამ წამოაყენა, მხოლოდ ვიწრო ჯგუფის სურვილია, რომელიც შეიძლება, ყველა სტუდენტის სურვილს ემთხვევა, მაგრამ „თვითები“ უკვე მარგინალური ჯგუფია... და აი, ეს „არაპოპულარული“ ჯგუფი ითხოვდა რექტორის გადადგომას. შიმშილობაც დაიწყო (22 საათით), თუმცა თამარ სანიკიძემ სულზე მოუსწრო და დიალოგი შესთავაზა, „საქმის გამკეთებელმა“ ხალხმაც შიმშილობა და ლადო პაპავას გადადგომის მოთხოვნა გადაიფიქრა და მრგვალ მაგიდას ხუთკაციანი ჯგუფი მიუჯდა. უნივერსიტეტის სამომავლო გაჯანსაღებაზე ზრუნვა განათლების მინისტრისა და ამ ხუთკაციანი ჯგუფის ხელში რომ არ იყოს, სხვადასხვა სტუდენტური მოძრაობა აქციების მოწყობასა და თვითმმართველობის გაუქმებას მოითხოვს... ამ ამბავში ყველაზე მთავარი თვითმმართველობის მოულოდნელი გააქტიურებაა, თანაც საკმაოდ ავანტიურისტული მოთხოვნებით... „ქართული სიტყვა“ სოციალურ და პოლიტიკური ფაკულტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარეს, ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲘᲠᲔᲛᲐᲫᲔᲡ ესაუბრა:

– უნივერსიტეტში ძალიან ბევრი პრობლემაა, რასაც გარკვეული ჯგუფები მუდამ აპროტესტებენ, მაგრამ სტუდენტური თვითმმართველობა ამაზე საჯაროდ არასოდეს საუბრობდა. ახლა კი, შეიქმნა პრეცედენტი და ის, რაც გვაწუხებს ყველას დასანახად გავაპროტესტეთ. აქამდე პრობლემებზე საუბარი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, რადგან მდგომარეობის გამოსასწორებლად საუკეთესოდ სწორედ ეს გზა მიგვაჩნდა. ორი წლის განმავლობაში მოლაპარაკებები ლადო პაპავასთანაც გვქონდა. ამაზე სტუდენტებს შეიძლება, ინფორმაცია არ აქვთ, მაგრამ ნამდვილად ასე იყო. ამ მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რექტორს საჯაროდ შევხვედროდით... მრავალი საკითხი დავსვით, თუმცა ადექვატური პასუხი არაფერზე მიგვიღია.

– მაინც, რა საკითხები დასვით?

– პირველ რიგში, კორუფციული გარიგებებითა და საეჭვო ტენდერებით ვიყავით დაინტერესებულნი. მეტად განსავრცობად ვიტყვი, რომ უნივერსიტეტში საკმაოდ საეჭვო და დიდი რაოდენობის თანხებთან დაკავშირებული ტენდერები ჩატარდა... მოკლედ, უნივერსიტეტს უნდა შემოეყვანა საკვები ობიექტის კომპანია, თავისი პერსონალითა და ყველა სხვა საჭირო კომპონენტით უზრუნველყოფილი. ტენდერის წესდებაში ეწერა, რომ კანდიდატ კომპანიას ამ პროფილით მუშაობის სამწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონოდა... ასეთი სამწლიანი გამოცდილება საქართველოში მხოლოდ ერთ კომპანიას აღმოაჩნდა, შესაბამისად, ყველა სხვა კანდიდატი ავტომატურად გაიცხრილა... მეორე ასეთი საეჭვო ტენდერი უნივერსიტეტის კომპიუტერებით აღჭურვას შეეხებოდა. ამ ტენდერის წესდებაში ეწერა, რომ კომპანიას, რომელიც უნივერსიტეტს კომპიუტერებით მოამარაგებდა, აუცილებლად ერთი ბრენდის ინვენტარი უნდა შემოეტანა, ანუ „მაუსი“, „ქეისი“, ეკრანი ერთი და იმავე ფირმის უნდა ყოფილიყო. პრაქტიკულად, ძალიან რთულია, ისეთი კომპანია იპოვო, რომელიც ზემოხსენებულ პირობას დააკმაყოფილებს, თუმცა ასეთიც ერთადერთი კომპანია აღმოჩნდა და სწორედ მან უზრუნველყო უნივერსიტეტის კომპიუტერებით მომარაგება. ყველაფერი ეს ძალიან საეჭვოა, როცა ისეთ პუნქტებს დებენ წესდებაში, რომლებიც მხოლოდ ერთ კომპანიას მიესადაგება. საგამოძიებო სამსახურები ამ ამბებით უკვე დაინტერესდნენ და დაველოდოთ დასკვნას.

მეორე მწვავე პრობლემა ინფრასტრუქტურის საკითხია – რამდენიმე კორპუსი ძალიან სავალალო მდგომარეობაშია...

– ბევრი წელია, ინფრასტრუქტურის პრობლემა არსებობს...

– ასეა, თუმცა სამინისტრომ, სწორედ ამ ინფრასტრუქტურული საკითხების მოსაგვარებლად, დაახლოებით, 8 მილიონ ლარამდე გადაურიცხა უნივერსიტეტს. დაგეგმილია მესამე კორპუსის სრული რეაბილიტაცია და მეორე კორპუსის ფასადის განახლება. ზემოხსენებული პრობლემა ძალიან კომპლექსურია და ერთიანად რომ აღმოიფხვრას, დიდი თანხები უნდა დაიხარჯოს, რაც ამ ეტაპზე შეუძლებელია, თუმცა იმედია, ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდება.

მესამე პრობლემა ბაზების გაუმართავობაა, რაზეც ადრეც ბევრი სტუდენტური დაჯგუფება აპელირებდა.

– ერთ-ერთი სტუდენტური მოძრაობა გადანაშაულებთ, რომ როცა ანალოგიური მოთხოვნებით გამოდიოდა, თქვენ ჩრდილში იყავით და მისთვის მხარი არ დაგიჭერიათ. შესაბამისად, დღეს თქვენს გვერდით არ დადგება...

– დიახ, სტუდენტური თვითმმართველობა პრობლემებზე ადრე საჯაროდ არ ლაპარაკობდა. ჩვენთვის პრობლემის მოგვარების პირველადი გზა ყოველთვის მშვიდობიანი იყო. ამ ადამიანების მეთოდები კი, აშკარად განსხვავებულია... მიმაჩნია, რომ პრობლემის მოგვარების პირველი ეტაპი დიალოგია.

– ეს პრობლემის მოგვარების სუბიექტური ხედვაა. თქვენ შეიძლება, დახურულ კარს მიღმა საუბრობდით, მაგრამ ყველაფერმა ამან მარგინალებად გაქციათ – მხარდაჭერა აღარ გაქვთ, არადა, თქვენი ფუნქცია სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფაა...

– კი, სამწუხაროდ, ასეა, თუმცა ახლა ყველა პრობლემა დაისვა...

– მოკლედ, აქამდე ჩუმად ყოფნა შეცდომა იყო, არა?

– კი, თუმცა ამის გამამართლებელი საბუთიც გვაქვს.

– თქვენი ოპონენტები იმასაც ამბობენ, რომ პროტესტი დაფინანსების შემცირების გამო დაიწყეთ და სხვა დეკლარირებული მოთხოვნები ფარსია...

– არა, ეს ცრუ ინფორმაციაა, სენატი ადგენს ბიუჯეტს და თვითმმართველობას ცალკე დაფინანსება არ აქვს. მეტიც, ნებისმიერმა სტუდენტმა, თუკი კარგი პროექტი ექნება, შეუძლია, დაფინანსება მოითხოვოს.

– თვითმმართველობა ყოველთვის ხელისუფლების რუპორად ითვლებოდა. შესაბამისად, თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ პოლიტიკურად ანგაჟირებულები ხართ...

– ვეთანხმები იმ აზრს, რომ ადრე თვითმმართველობა ხელისუფლების დაკვეთის შემსრულებელი იყო და თავს არ ვიბრმავებ: 5-6 წლის წინ, რა თქმა უნდა, არსებობდა გარე ძალების მხრიდან თვითმმართველობის საქმიანობაში ჩარევის ფაქტები. მაგალითად, მესამე მოწვევის თვითმმართველობა მთლიანად პოლიტიზირებული იყო და ეს გაცხადებულიცაა, მაგრამ დღეს სათავეში ის ადამიანები აღარ არიან და სხვა კადრები მუშაობენ. დღევანდელი თვითმმართველობის პრეზიდენტს, შალვა საბაურს ყოველთვის ჰქონდა პრობლემის შიგნიდან შეცვლის პოლიტიკა, ის მოვიდა სისტემის სათავეში და გარდაქმნა დაჭაობებული ვითარება. კრიტიკა კრიტიკისთვის არ იყო შალვას საქმე... ის დამოუკიდებელი კანდიდატი იყო ისევე, როგორც სხვა 120 დელეგატი...

– როგორც ვიცი, არჩევნები არცთუ გამჭვირვალედ ჩატარდა და მომხრეების მობილიზება აკრძალული ხერხებითაც ხდებოდა...

– სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თვითმმართველობის არჩევნებზე ყოველთვის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს ხოლმე იმიტომ, რომ სულ არსებობს განსხვავებული პოზიცია და შეხედულება. ჩემი აზრით, მაინც არ არის კარგი, როცა არჩევნები ხანდახან არაგამჭვირვალედ ტარდება, თუმცა ადმინისტრაციიდან იყო ჩარევა... ლადო პაპავას მრჩეველი, გიორგი ბენაშვილი პირადად მეთვალყურეობდა არჩევნებს და ცდილობდა ლევან ლორთქიფანიძესა და ნიკა მეტრეველს გამარჯვებაში მიხმარებოდა. ეს გიორგი ბენაშვილი სკოლის ატესტატით დაინიშნა პაპავას მრჩევლად, არადა, საჯარო სამსახურში მუშაობის მინიმალური მოთხოვნა ბაკალავრის დიპლომია, თანაც ამ ბატონს არც აკადემიური მოსწრება ჰქონდა სხვა სტუდენტებისგან გამორჩეული. როგორც ლადო პაპავამ გვითხრა, მისი მრჩევლად დანიშვნის გადაწყვეტილება პირადად მიიღო, თუმცა რაზე დაყრდნობით, უცნობია. გიორგი ბენაშვილი რამდენიმე კანდიდატის პირდაპირ აგიტაციას ეწეოდა, რაც დაუშვებელია.

– ტატო, ოპონენტები ბაკურიანში, 19 ათასლარიან ტრენინგსაც ხშირად გახსენებენ. თანხების არამიზნობრივად ხარჯვა რატომ ხდებოდა?

– თვითმმართველობამ ერთ ტრენინგში 19 ათასი ლარი ნამდვილად დახარჯა, მაგრამ ეს 2014 წელს მოხდა, ანუ მაშინ წინა მოწვევის თვითმმართველობა იყო. ჩვენ დროს კი, ამ რაოდენობის თანხები არ დახარჯულა.

– განათლების მინისტრი დიალოგის დაწყებას შეგპირდათ, ხუთკაციანი ჯგუფიც შეიქმნება. ამ სამუშაო ჯგუფში, თვითმმართველობის წევრების გარდა, სხვა სტუდენტების ყოფნა არ განიხილება? ბევრ სტუდენტს არ სიამოვნებს, რომ მათი სახელით საუბრობთ...

– ჩემი აზრით, ამ საბჭოში შესვლა იმას ეკუთვნის, ვინც იშიმშილა და თავისი აქტივობით დიალოგის შესაძლებლობა მოიპოვა, თუმცა არც სხვა სტუდენტების ჩართულობის წინააღმდეგი ვარ.

მხოლოდ თვითმმართველობის კომენტარს რომ დავჯერებოდი, „ჟურნალისტიკის მამები“, ალბათ, გამაკრიტიკებდნენ. ამიტომ ერთ-ერთი სტუდენტური მოძრაობის წევრის, გიორგი არობელიძის პოზიციასაც ვაფიქსირებ. სხვათა შორის, გიორგიც და მისი მოძრაობაც დიდი ხანია, იბრძვის უნივერსიტეტში არსებული პრობლემების წინააღმდეგ:

– ვიდრე უშუალოდ უნივერსიტეტში განვითარებულ ბოლოდროინდელ მოვლენებზე ვისაუბრებდე, თვალი გადავავლოთ თვითმმართველობის საქმიანობას – ალბათ, ყველას გვახსოვს განსხვავებული აზრისა და პროტესტის გამო გალახული სტუდენტები, ასევე, ყველას გვახსოვს თვითმმართველობის მილიონიანი ბიუჯეტი, რომელიც ღმერთმა უწყის, რაში იხარჯებოდა. როგორც თავად ამბობენ, მეხუთე მოწვევის თვითმმართველობა რადიკალურად განსხვავდება წინამორბედებისგან და სულ სხვა მიზნები და იდეალები აქვს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელ თვითმმართველობაში აღმოვაჩენთ „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ სახეებს, რაც ნიშნავს იმას, რომ არსებითად არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, ახლა სტუდენტებს ვეღარ სცემენ, რადგან აღარ ჰყავთ ისეთი ძლიერი ზურგი, როგორც ადრე ჰყავდათ, თუმცა საინტერესოა, რა ხდება ამ ახალ, ტრანსფორმირებული თვითმმართველობის პირობებში: 1. დიდი ოდენობით თანხები იხარჯება არამიზნობრივად (მაგალითად, ზურაბ ვადაჭკორიას მოწვევა – 3 ათასი ლარი, პოზიტივის ფესტივალი – 4 ათას ლარზე მეტი) 2. სტუდენტთა პრობლემებზე ისევ ჩვეული სტილით პასუხი, „ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის“. ალბათ, ვერ ხვდებიან, რომ სტუდენტები სთხოვდნენ არა წიგნების თარგმნას, არამედ, იმაზე საუბარს, რომ ამ მხრივ პრობლემებია უნივერსიტეტში, თუმცა მრავალი მცდელობისა და შეთავაზების მიუხედავად, დაარსების დღიდან, ერთი შეხვედრაც არ გაუმართავთ უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებზე სასაუბროდ. ალბათ, ყველას გახსოვთ „მაღლივის“ გაზგასამართი სადგურის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, მაშინ სრულიად სტუდენტობა იდგა უნივერსიტეტის ინტერესების დასაცავად, თვითმმართველობა კი, სხვაგან იყო. ალბათ, ესაა სწორედ მთავარი პრობლემა, რომ თვითმმართველობა დგას სხვაგან, ფაქტია, ის ჩამოყალიბდა ელიტურ ჯგუფად, რომელიც უნივერსიტეტში სარგებლობს სხვადასხვა პრივილეგიით. ისინი ხშირად აპელირებენ თავიანთი წარმომადგენლობებით, ამბობენ, რომ სწორედ ისინი აირჩიეს სტუდენტებმა. არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ როგორ ახდენდნენ ხმების მობილიზაციას და სწორედ ახლა უნდა დავსვათ კითხვა: აქვთ ამ ადამიანებს სტუდენტებისაგან ლეგიტიმაცია? ყველაფერ ამის მერე კი, უცებ ვხედავთ აქციებს და მოშიმშილე სტუდენტებს რექტორის გადადგომის მოთხოვნით. ფაქტია, ისინი არა პრობლემებს და არსებულ სისტემას, არამედ, პიროვნებას დაუპირისპირდნენ. თუ რატომ მოხდა ასე და საიდან იმართებოდა ეს პროცესები, ამაზე დასკვნის გაკეთება თქვენთვის მომინდვია. ფაქტია: სასწრაფო რეფორმებია საჭირო უნივერსიტეტში, რომელიც თვითმმართველობასაც უნდა შეეხოს. ეს მახინჯი სისტემა, ტოტალური ელემენტებით, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს!

მოამზადა ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

28 X-3 XI | № 42 (306) | 17

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ხელოვნება

სცენაზე ნინელი ჭანკვეტაძის გამოჩენა მაყურებლისთვის უკვე დღესასწაულია. რა არის ამის მიზეზი, რა ქმნის მაყურებლის ასეთ განწყობას — მსახიობის ნიჭი? — ნიჭიერი სხვაცაა, მაგრამ ასეთი სიხარულით ცოტას თუ ხვდებიან; პიროვნული თვისებები? — საამისოდ არც ესაა საკმარისი, რადგან სცენაზე, განსაკუთრებით დღეს, ბევრი კარგი პიროვნება უფრო დგას, ვიდრე — მსახიობი!

ნინელი ჭანკვეტაძის სცენური საიდუმლო

თვითნაბადი სტიქია

ნინელი ჭანკვეტაძე სცენაზე თვითნაბადი სტიქიაა. გარდა იმისა, რომ გავლილი აქვს მიხეილ თუმანიშვილის ბრწყინვალე სამსახიობო სკოლა და საკუთარი პროფესიის საიდუმლო ესმის, მასში ის იშვიათი თვისებებია (პიროვნულთან ერთად), რომლებსაც სკოლა ვერ მოგცემს. პირველი და უმთავრესი, რომელიც მაშინვე მიგანიშნებს, რომ სცენაზე ნინელი ჭანკვეტაძე დგას, არის გმირის ცხოვრების გააზრების მთავარი ფაქტორი, აზროვნების თავისებურებაში რომ ვლინდება. ნინელი იმ რანგის მსახიობია, რომელიც როლთან მიდის არა თავისი მოდელებითა და კლიშეებით, არამედ, ამოდის „ავტორისეული ვითარებიდან“ (გ. ტოვსტონოგოვი), ანუ იქცევა არა ისე, როგორც პირადად მისთვისაა დამახასიათებელი, არამედ, მოქმედებს პერსონაჟისებურად. ამიტომ, ამ ვითარებათა გათვალისწინებით, იცვლება მისი აზროვნების თავისებურებაც, პლასტიკაც, ტემპერამენტიც, ჟესტიც და მიმიკაც.

ერთი გასაოცარი თვისებაც ამკობს მსახიობს: მუდამ ცდილობს, მაყურებელთან ჰქონდეს მჭიდრო კონტაქტი და შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან, რომ ჩაგრთოს და იმ სიტუაციის თანამონაწილე გაგხადოს, რომელშიც მისი პერსონაჟია. ამის გამო, გიყურებს სცენიდან, განიშნებს თვალებით, მიმიკით, ხელით, რომ შენც შეაფასო მისი პარტნიორის ქმედება თუ ჟესტი. მსახიობი აუცილებლად ჩართავს გმირის რეპლიკაში თავისებურს, სიტუაციიდან, რეალობიდან გამომდინარეს და ეს ისე, რომ წარმოდგენის მხატვრული ქსოვილი არ დაირღვეს. მისი როლი არასდროსაა ამოვარდნილი სამსახიობო ანსამბლიდან, ზუსტად გრძნობს და განიცდის პარტნიორს სცენაზე.

ნინელი ჭანკვეტაძის ნიჭს განსაზღვრავს მუსიკალობა, ჰარმონიად დაღვრილი მეტყველება და სიმღერა სცენაზე ქმნის დრამატურგიულ მონახაზს — ზუსტსა და შთამბეჭდავს.

შიში სცენაზე გასვლის წინ — პროფესიული ნიშანი — დღემდე გრძელდება. 37 წელია, თამაშობს „ბაკულას ღორებში“ და მაინც კანკალებს სცენაზე გასვლამდე, არადა, დასაწყისი მართლაც, მღელვარებით იყო დაღდასმული: მესამე კურსზე სწავლობდა, როცა „ბაკულას ღორები“ დადგა მიხეილ თუმანიშვილმა. მერე, ეს საკურსო სპექტაკლი კინომსახიობთა თეატრში გადმოიტანა დიდმა მაესტრომ. თავდაპირველად, ჩაბარებისას, სპექტაკლს დარბაზში რეაქცია არ გამოუწვევია (წესისამებრ). მეორე დღეს პირველად უნდა ეთამაშათ მაყურებელთა წინაშე. ინტერესი თავიდანვე დიდი იყო.

ქართულ თეატრში დავით კლდიაშვილის შემოქმედების ასეთი ზუსტი, ღრმა და ყოვლისმომცველი ინსცენირება არ მინახავს. რომ არა ჭინკების (ასე ერქვა თავდაპირველად, მერე ჭორიკნები დაარქვა რეჟისორმა. ჯერ ნინელი და ნინო შარაბიძე იყვნენ ჭინკები, შემდეგ — დარეჯან ხაჩიძე და რუსუდან ბოლქვაძე) სცენები, არც კი ვიცი, საბოლოოდ, როგორი გამოვიდოდა ეს სპექტაკლი. მაშინაც და ახლაც პირველი ნინელი შემოდიოდა სცენაზე. კულისებში მდგომი ჰგავდა სიფრიფანა, დამფრთხალ, შეშინებულ გოგოს, რომელსაც ესმოდა გუგუნი მაყურებელთა დარბაზიდან, სუნთქვა მაყურებლისა, 37 წელია, თან რომ სდევს!..

მისი გამოჩენა თეთრი ქოლგითა და გიტარით ამ წარმოდგენის აპოთეოზია. მაყურებელი განსაკუთრებით მონუსხული მაშინაა, როცა ჭორიკნები ესაუბრებიან, პირადად მიმართავენ, პასუხსაც რომ ითხოვენ დარბაზისგან. ყოველთვის შეუდარებელია ნინელი ამ ეპიზოდებში. მთავრდება სპექტაკლი და იქვე იბადება გასაოცარი ნოსტალგია: — კიდევ გინდა ნახო ის სასწაული, რომელიც შენ თვალწინ გათამაშდა.

30 წელია, „ბაკულას ღორების“ მაყურებელი ვარ და ვერა და ვერ ვძლიე მის მარადიულ მონატრებას.

ზომიერი იმპროვიზაციის უნართან ერთად, ნინელი ჭანკვეტაძეს ამშვენებს კიდევ ერთი იშვიათი თვისება — მეტყველი თვალები. რაღაც გასაოცარი სხივი ეფინება დარბაზს. ეს ნათლის სვეტი იმ სამყაროს გამონაშუქია, რომლის წიაღსაც თავად მსახიობი ქმნის თავისი პრინციპული, მართალი, შეუვალი და დიდოსტატის ნიშნით დაღდასმული ცხოვრებით.

რაც დრო გადის, ბუნებრივია, იზრდება მისი შემოქმედების მხატვრული ხარისხი და, ამასთანავე, მატულობს თვითკრიტიკის მასშტაბიც. სრულყოფილებისა და სრულქმნის მისეულ სურვილებს საზღვარი არ აქვს — არ იქნებოდა ურიგო, ამ თვისებასაც პროფესიულ ნიშნად თუ ჩავუთვლიდით.

ნინელი ჭანკვეტაძეს შემოქმედებითი შუადღე უდგას. ისევ აქტიურია მისი წარმოსახვა. უფრო მეტიც, აქვს სამყაროს მხატვრული აღქმა, მისი სააზროვნო მოდელი სახეობრივია. სახეებით აზროვნება კი, ხელოვნების, შემოქმედების უპირველესი ნიშანია, ამიტომ გრძნობს თავს ყველაზე კარგად იქ, სადაც მისი შეუცვლელი ადგილია — საკუთარ თეატრში, სცენაზე!

ცხოვრება საინტერესოა თავისი წინააღმდეგობებით, პარადოქსული ხასიათით. ასეთივეა ნინელის სცენური გმირები — მათ შინაგან განწყობილებათა სიმწვავე და კონტრასტულობა სდევთ. ამიტომაცაა ეს სახეები აღსავსე მოულოდნელი რაკურსებით, მსუყე და ფერადოვანი ხასიათებით. მათ არ აკლიათ სიმძაფრე და სინატიფე, არც — სიღრმე, რადგან თავად მსახიობი ცხოვრებას აღიქვამს ემოციურად, საგნისა და მოვლენის მიმართ დამოკიდებულება სწორედ ასეთია. მისი, როგორც მოქალაქის, თვისებაა ისიც, რომ არ შეუძლია იყოს ე.წ. მდუმარე უმრავლესობა. როგორც ჩვენს ყოფით ცხოვრებაში, ისე თეატრშიც რაღაც იცვლება, მაგრამ ხშირად ცვლილება სტრუქტურირებულია და თავად სტრუქტურებით იცვლება. ამიტომ, პოლიტიკური ვითარების აბსურდულობა არასოდეს ყოფილა ნინელი ჭანკვეტაძის არსებობის მთავარი ორიენტირი. ის პოლიტიკურ სარბიელზე არ გამოსულა. უბრალოდ, საკუთარი მრწამსის გამო დადგა იქ, სადაც ქვეყნისთვის საჭიროდ მიაჩნდა — ეს მისი პიროვნული პოზიცია იყო და არა — პოლიტიკური განაცხადი.

ნინელი ჭანკვეტაძის გმირები სცენაზე ფიქრით შექმნილი არსებები არიან. მათ ყოველთვის აქვთ მიზანი, სათქმელი, პროტესტი. ყველაფერი, ალბათ, სამყაროს შემეცნების სურვილითაა განპირობებული. ამ პროცესში ისინი პოულობენ საკუთარ თავს და გრძნობენ საკუთარ მისიასაც.

ნინელი გარეგნულ ეფექტებზე არ მუშაობს. მას აინტერესებს თავისი პერსონაჟის, როლის ფარული სულიერი წახნაგები.

ჯერ კიდევ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც ვუყუროთ სცენაზე მის ელისაბედს (სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“). როგორი მიწიერი, ნამდვილი სახეა ელისაბედი — კონკრეტული ცხოვრების კონტექსტში არსებული და, ამავე დროს, განზოგადებული, ტიპობრივი. მასში ხასიათთა და თვისებათა ისეთი პალიტრაა შერწყმული, ყველა ადამიანი რაღაც თავისას რომ ამოიკითხავს. ამისი მიზეზი ისიცაა, რომ ნინელი ჭანკვეტაძისთვის სცენაზე მთავარი ადამიანია.

რა ტიპის ესთეტიკაც უნდა დაამკვიდროს ცხოვრებამ, რა სახეობის სტილისტიკაც უნდა შემოგვთავაზონ, ვერასოდეს ვერაფერი ჩაანაცვლებს იმ ფენომენს, ადამიანის სამყარო რომ გვთავაზობს. ასეთ ლაბირინთებში ხეტიალი ყველას არ შეუძლია. ნინელი ჭანკვეტაძე კი, ამ საიდუმლოს წიაღში ტრიალებს და დაეძებს ყოველთვის რაღაც ახალსა და იდუმალს. ამიტომაცაა აღიარებული მისი შემოქმედება ნამდვილ ხელოვნებად და ასეთი შეფასება საკამათო არასოდეს ყოფილა!

„თაიმერ.გე“

18 № 42 (306) 28 X-3 XI

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲕᲔᲠᲐ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲓᲜᲔᲜ

იტალიური მედიის ცნობით, ჯგუფ „ვიაგრა“-ს ყოფილი სოლისტი ვერა ბრეჟნევა კომპოზიტორ კონსტანტინე მელაძეზე დაქორწინდა. ამავე წყაროს ინფორმაციით,, საქორწინო ცერემონია იტალიის საკურორტო ქალაქ ფორტე-დეი-მარმიში გაიმართა. სხვათა შორის, წყვილმა ერთმანეთი სწორედ ამ ქალაქში გაიცნო.

ქორწილს მხოლოდ ახლო მეგობრები და ნათესავები ესწრებოდნენ.

ახალდაქორწინებულები თაფლობის თვეს, როგორც ამბობენ, ტოსკანას სანაპიროზე გაატარებენ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲓᲘᲓᲐᲠ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲐᲓ ZARA-Ს ᲛᲤᲚᲝᲒᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐ

ესპანელი ბიზნესმენი, კომპანია ,,inditex“-ისა და მაღაზიათა ქსელ ,,Zara“-ს მესაკუთრე, ამანსიო ორტეგა ჟურნალ ,,ფორბსის“ მილიარდელების რეიტინგის სათავეში პირველად მოხვდა. როგორც გავლენიანი გამოცემა წერს, მისი ქონება მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში 4, 5 მილიარდი დოლარით გაიზარდა და, საერთო ჯანში, 80, 3 მილიარდი დოლარი შეადგინა.

შარშან „ფორბსის“ მილიარდერების სიას გეიტსი ლიდერობდა, რომლის ქონება 7,1 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

ორტეგამ ,,Zara“ 1975 წელს დააარსა. 2009-2014 წლებში კი, 45 მილიარდი იშოვა, რისი მიზეზიც „ინდიტეხ“-ის აქციათა ფასის ზრდა გახლდათ.

მსოფლიოს მასშტაბით პლანეტის უმდიდრესი ადამიანი სულ 6064 მაღაზიას ფლობს.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ 15-ᲓᲦᲘᲐᲜ ᲬᲧᲕᲓᲘᲐᲓᲨᲘ ᲒᲐᲔᲮᲕᲔᲕᲐ

აშშ-ის კოსმოსური სააგენტო NASA ოფიციალურ ვაშინგტონს აფრთხილებს, რომ 15 დღის განმავლობაში მთელ დედამიწაზე წყვდიადი ჩამოწვება.

„სიბნელე პლანეტაზე 15 ნოემბრის დილის 03:00 საათიდან დაისადგურებს და 30 ნოემბრის შუადღის 4:45 წუთამდე გაგრძელდება“, — აცხადებენ ნასა-ს სპეციალისტები და განმარტავენ, 15-დღიანი წყვდიადი იმ ასტრონომიულ პროცესებს უკავშირდება, რომელიც ვენერასა და იუპიტერს შორის მოხდება. ნასა-ს ხელმძღვანელის, ჩარლზ ბოლდენის 1000-გვერდიან დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პლანეტებს შორის პარალელიზმი ერთი გრადუსით შეიცვლება. კერძოდ, ვენერა იუპიტერისგან სამხრეთ-დასავლეთით გადაინაცვლებს და იუპიტერზე 10-ჯერ მეტი სიძლიერით დაიწყებს ნათებას. ვენერასგან არეკლილი შუქი იუპიტერზე არსებულ გაზის ფენებს გაათბობს, რაც რეაქციას გამოიწვევს. აირისებრი რეაქცია კი, კოსმოსში უპრეცედენტო რაოდენობის წყალბადს გაუშვებს. აირისებრი წყალბადი მზესთან კონტაქტში ზუსტად 15 ნოემბერს, 2:50 წუთზე შევა. მზესთან ურთიერთრეაქციას ძლიერი აფეთქებები მოჰყვება და მზის ზედაპირზე ტემპერატურა მყისიერად 9000 გრადუსამდე გაიზრდება. ამ პერიოდის განმავლობაში, მზე შეეცდება, მასზე მიმდინარე აფეთქებები თავისივე სიმხურვალის წყალობით გაანეიტრალოს. ძალიან მაღალი ტემპერატურა მზეს მუქი ფერის მოლურჯო იერს მისცემს. ეს პროცესები გალაქტიკაში 14 დღეს გასტანს, რის შემდეგაც მზეს ბუნებრივი შეფერილობა აღუდგება.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული იდეა

28 X-3 XI | № 42 (306)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

არა-ჩვეულებრივი გვერდი

„მის ავსტრია“ გარდაიცვალა

ალპებში, გაურკვეველ ვითარებაში „მის ავსტრია 2013“ ენა კადიჩი გარდაიცვალა. გოგონა ინსბრუკის რაიონში 13 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა, რის შემდეგაც ძმასთან დარეკვა მოახერხა, თუმცა, ვიდრე მაშველები მივიდოდნენ, გონება დაკარგა.

გოგონა, ვერტმფრენით, უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი დახმარება ვერ შეძლეს — კადიჩი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

მომხდარს სამართალდამცველები იძიებენ.

სერიული მკვლელი მამაკაცებს წამლავდა და აუპატიურებდა

ბრიტანეთში სერიულ მკვლელობაში ბრალდებული მამაკაცის სასამართლო პროცესი იწყება. „ევრონიუსის“ ინფორმაციით, 40 წლის სტივენ პორტს ბრალად ოთხი ადამიანის მოწამვლა, გაუპატიურება და მკვლელობა ედება, მსხვერპლთა ასაკი 21-დან 25 წლამდე იყო, დანაშაულის ჩადენის პერიოდი კი, 2014 წლის ივნისიდან 2015 წლის სექტემბრამდეა.

ბრალდების მხარის ინფორმაციით, სტივენ პორტი მსხვერპლებს ჰომოსექსუალების გაცნობის საიტზე არჩევდა და მათ საკუთარ სახლში ეპატიჟებოდა. სტუმრებს საწამლავის სასიკვდილო დოზას ასმევდა, რის შემდეგაც ისინი გონებას კარგავდნენ. ვიდრე მსხვერპლი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მკვლელი აუპატიურებდა. ცხედრები ლონდონში, ეკლესიების ეზოებში აღმოაჩინეს. პოლიცია მხოლოდ მეოთხე გარდაცვლილის პოვნის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ ოთხივე მათგანი ერთი ადამიანის მიერ იყო მოკლული.

შოუმენი კანიე უესტი აშშ-ს პრეზიდენტობას გეგმავს

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. გამოკითხვის მიხედვით, მოგების ყველაზე დიდი და რეალური შანსი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ ჰილარი კლინტონს აქვს. გამარჯვების შემთხვევაში, ჰილარი აშშ-ს პირველი ქალი პრეზიდენტი იქნება. საკუთარ ძალებში ჰილარი იმდენადაა დარწმუნებული, რომ უკვე სახელისუფლებო გუნდს აკომპლექტებს. ამბობენ, რომ ჰილარი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეპერს, დიზაინერსა და შოუმენ კანიე უესტისაც დაასაქმებს. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრის.

Playboy შიშველი ქალების ფოტოებს აღარ დაბეჭდავს

ეს გადაწყვეტილება გამოცემის დამფუძნებელმა ჰიუ ჰეფნერმა მიიღო. „ჩვენ კვლავაც გამოვაქვეყნებთ ქალების მაცდუნებელ ფოტოებს, თუმცა ფოტოებზე ისინი მთლიანად გაშიშვლებულნი აღარ იქნებიან“, — აცხადებს ჰეფნერი. ჟურნალის განახლებული ვერსია 2016 წლის მარტში გამოვა. სხვათა შორის, 2014 წლის აგვისტოდან, ჟურნალი საიტზე შიშველი ქალების ფოტოებს აღარ აქვეყნებს, რის გამოც მკითხველთა საშუალო ასაკი 47-დან 30-მდე შემცირდა, საიტის მნახველთა რაოდენობა კი ოთხჯერ გაიზარდა.

შეგახსენებთ: Playboy მამაკაცების ჟურნალია, რომელიც აშშ-ში 1953 წლიდან გამოიცემა. სხვადასხვა დროს ჟურნალის ყდისთვის პოზირებდნენ მერლინ მონრო, ელიზაბეტ ტეილორი, სინდი კროუფორდი და პამელა ანდერსონი. დენტო არჩევნებში კენჭს იყრის.

ზურა მეგრელიშვილის ფოტო

ჯანსულის სიცილნათელები

აგონია
„ნაცო“, შენი მოქმედება,
ერთი მითხარ, რა გგონია?
დღეს ვისაც სძულს საქართველო,
ყველა თქვენი გამგონია.
საქართველოს სიყვარულის
გააზრებაც არ გქონიათ,
სიკვდილის წინ საქართველოს
აქვს ნამდვილი აგონია!

„ნაცური“
შენ უბრალო ვინმე არ ხარ,
როცა გინდა, მაშინ წახვალ,
დღეს ხო გნახე, ხვალაც გნახავ,
შენ არ გავხარ ვინმე ახვარს.
ჩამოვარდნილ ქვასა გავხარ,
ვახ-ვახ, ვახ-ვახ,
კიდევ ვახ-ვახ,
ვესალმები, ვინც დაგმარხავს.

ჩვენ სამნი ვართ
მე მებრძოდა თურქი, სპარსი
და ვერც ერთმა ვერ დამცა,
რუსეთის და ამერიკის
და ევროპის დედაცა,
ჩვენ სამნი ვართ ქვეყანაზე,
მე და მიწა,
მე და ცა.

რეზიდენტი
შენ იყავი პრეზიდენტი,
მერე გახდი რეზიდენტი,
რეზიდენტი ნიშნავს მზვერავს,
ვერ დაგაკლებს ვერვინ ვერას.
სამშობლოში ვეღარ მიხვალ,
შენ კიევის მზვერავი ხარ.

„ნაცებო“
თქვენა ხართ ნაღდად
ძმის მტრები,
ხან წვიმა მოგდით,
ხან — თოვლი,
თქვენა ხართ
აფერისტები,
ესენი —
უანიათონი!

დაბრუნება
შენს სიძულვილს
ბოღმა ვინ უზიარა?
დაბრუნება
შენი ილუზიაა.
ჰეროინით
რაც არ უნდა გაბრუვდე,
კიევიდან
ვეღარ უნდა დაბრუნდე.

იმერული
როცა გინდა, მარტი ხარ და
როცა გინდა, აპრილი ხარ,
დედა, რაფრა გამიხარდა,
სისხლისმსმელი ვამპირი ხარ.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი
რეგისტრირებულია
რეგიონალური
ცენტრის
(საგადასახადო
ინსპექცია) მიერ.
რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოძველებს თავისუფალი პრესის პრინციპით